სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 იანვარი პარასკევი 2011

№009 (13306) ფასი 60 თეთრი

ძველ-ახალი დინამო



ფოტოები: www.fcdinamo.ge

მოგებით იწყებს

2

დღეს ბუნდესლიგა სუპერმაჭრით განახლდება

6

ვის დარჩება გორგოძე?

13

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

ფოტო: www.fcdinamo.ge

ძველ-ახალი დინამო მოგებით იწყებს

თბილისის "დინამომ" გუშინ მოსამზადებელ ეტაპზე პირველი საკონტროლო შეხვედრა რეგიონული ლიგის სტუ-სთან გამართა.

დინამო-სტუ	3:1

1:0 კახელიშვილი (12, შ. კაშიას პასით), 2:0 ბრაიტი (21, კოშკაძის პასით), 2:1 ქუცურუა (23, პენალტით), 3:1 ოდონელი (88, თექთურმანიძის პასით).

დინამო: ზარქუა - ციმაკურიძე, კვარაცხელია, ოდონელი, ფოფხაძე - კვეკვესკირი, კოშკაძე - შ. კაშია, დერასი, კახელიშვილი, - ბრაიტი.

შეცვლაზე: კაკუბავა, თომაშვილი, ლექვთაძე, ფირცხალავა, ედნილსონი, თექთურმანიძე, ტოდოროვი, ტატანაშვილი.

"დინამომ" ორჯერადი ვარჯიშების ფონზე ითამაშა; გუნდის ტაქტიკური განლაგება არ შეცვლილა (4-2-3-1) და საინტერესო ის უფრო იყო, კლუბის მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** ახალწვეულებს რა პოზიციაზე დააყენებდა. შეხვედრა სწორედ მათზე დაკვირვებას ისახავდა მიზნად და ამით იყო გამოწვეული, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმა უმთავრესად შეცვლაზე რომ ითამაშეს.

გიორგი ციმაკურიძე დაცვის მარჯვენა ფლანგზე იდგა, **დანიელ ოდონელი** - ცენტრში, **გიორგი ფოფხაძე** კი - მარცხენა ფლანგზე. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ნიკა კვეკვესკირი** საყრდენად **ალეკო კოშკაძეს** შეუწყვილდა, **შოთა კაშია** მისთვის ჩვეული მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, ალჟირელ ფრანგ **სემი დერასს** გამთამაშებლობა დაეკისრა, ახალი ზელანდიის ნაკრებში ნათამაშევ **კრის ბრაიტს** კი - ცენტრალური თავდამსხმელობა. მეორე ტაიმში იტალიაში გაზრდილმა ბულგარელმა **ანდრეა ტოდოროვმა** ფლეიმეიკერის ამპლუაში დერასი შეცვალა, ასევე შეცვლაზე შესული **დიმიტრი ტატანაშვილი** კი, ცხადია, თავდასხმაში მოსინჯეს.

თბილისის "დინამომ" ანგარიში მალე გახსნა: კაშიამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში **გიორგი კახელიშვილი** შენიშნა, რომლის თავური დარტყმაც ზუსტი გამოდგა.

გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი უცხოელებმა ითამაშეს: 21-ე წუთზე ახალზელანდიელმა ბრაიტმა კუთხურიდან კოშკაძის ჩაწოდებული ბურთი კარში თავით გააგზავნა და "დინამო" ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა.

მესამე გოლი კი ინგლისელმა **დანიელ ოდონელიმ** გაიტანა. თავი მანაც თავური დარტყმით გამოიჩინა, რაც ინგლისელი მცველისგან არც უნდა გაგვიკვირდეს. ეს გოლიც კუთხურის გათამაშების შედეგად გავიდა, ამ შემთხვევაში „სტანდარტული" **გიორგი თექთურმანიძემ** შეასრულა.

"დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ კომენტარი ახალწვეულებზე გააკეთა: *"საერთოდ, ერთი მატჩით გასასინჯ ფეხბურთელებზე დასკვნის გამოტანა არასწორია. ანთალიაში გამგზავრებამდე კიდევ სამი საკონტროლო შეხვედრა დავგეგმეთ და აქმყოფთა გარდა, იმ უცხოელებსაც დავაკვირდებით, ამ დღეებში „დინამოში" სინჯებზე რომ ჩამოვლენ".*

● ფუტსალი. ეროვნული ნაკრები

ლატვია-საქართველოს მატჩი ვირუსმა ჩაშალა

საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი** დეკემბრის ბოლოს თანამდებობიდან გაათავისუფლა. ასათიანი უკმაყოფილებას და გაოცებას ვერ მალავდა, რადგან მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. თუმცა გასული წელი ნაკრებმა ჩაადგო, თამაშები ვერ ჩაატარა და ელიტრაუნდში მოპოვებული ადგილიც დაკარგა.

რატომ არ ენდობოდა ასათიანს, ამის შესახებ ასოციაციის პრეზიდენტ **გიზო ფხოველიშვილის** კომენტარს უახლოეს პერიოდში ველით. მანამდე კი შევიტყვეთ, რომ ფუტსალის ნაკრები **ზაალ ჩიტალაძეს** ჩააბარეს, ფუტსალის "ბიზნეს ლიგის" დამფუძნებელს, რომელიც მანამდე ორი წელი საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე "ალგოს" ავარჯიშებდა.

ამას გარდა, ნაკრების მენეჯერად საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, რიგის "ოლიმპსის" გენერალური მენეჯერი **ალექსანდრე რეხვიაშვილი** დაინიშნა, **ლევან ხაბულიანი** ფიზმომზადების მწვრთნელი გახდა, **ანდრეი პოპკოვი** - მეკარეების მწვრთნელი, ჩვენი ყოფილი კოლეგა და "ამერის" ყოფილი ადმინისტრატორი **მამუკა კვანტალიანი** ნაკრებშიც ადმინისტრატორად იმუშავებს.

საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრმა **გიორგი დარჯანიამ** მეკარეთა ახალ მწვრთნელი ანდრეი პოპკოვზე.

"პოპკოვი ზაალ ჩიტალაძესთან მეგობრობს და შარშან "ალგოში" ჩამოიყვანა. ანდრეი საინტერესო ადამიანია, რუსეთის ნაკრების ყოფილი მეკარეა, რუსებს კი, კარგად ვიცით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ. პოპკოვი ახლაც "ალგოში" თამაშობს და ვფიქრობთ, მისი გამოცდილება ჩვენს ნაკრებს არ აწყენდა", - ამბობს დარჯანია.

11 იანვარს ნაკრები ლატვიაში მოსამზადებლად გაემგზავრა. დაგეგმილი იყო ორი ამხანაგური მატჩი მასპინძელთა ნაკრებთან, რომელიც ასევე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. ჩიტალაძემ რიგაში შემდეგი ფეხბურთელები ნიყვანა:

მეკარეები: **ჯაბა ჯამბურია ("იბერია"), დავით კეფაშვილი ("მარბო", სერბეთი).**

წინახაზელები: **მურთაზ კაკაბაძე, დავით ლუკავა, შოთა ჭანყვაძე, დიმიტრი მაყიშვილი, არჩილ სებისკვერაძე, ლევან კობაიძე, დავით ბობოხიძე, ზურაბ შერმადინი (ყველა - "ალგო"), რეზო დევდარიანი, გიორგი თოთლაძე (ორივე - "არარატი", ნიქოზია, კვიპროსი), გიორგი ნიშნიანიძე ("მიტიშჩი", რუსეთი), კახა მაისაია ("იბერია").**

გუშინ რიგაში ლატვია-საქართველოს პირველი მატჩი ჩაიშალა: ქართველი ფეხბურთელებიდან მხოლოდ ოთხია ჯგუნმრთელად, ყველა დანარჩენს ვირუსი შეეყარა და, ცხადია, მატჩი ვერ გაიმართებოდა. ლატვიასთან მეორე სპარინგი 16 იანვარსაა დაგეგმილი და, იმედია, ჩვენი ფეხბურთელები ლატვიას უთამაშებლად არ დატოვებენ, მანამდე მომჯობინდებიან. მაკედონიაში შესარჩევი ციკლის მატჩები 22 იანვარს იწყება და დარჩენილ დროში სპარინგს გუნდის შესათამაშებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ლატვია კი, მართალია, გრანდი არაა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი გუნდია.

დარჯანიას თქმით, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, დებიუტანტები მხოლოდ ალგოელები **დავით ლუკავა** და **მურთაზ კაკაბაძე** არიან. სხვათა შორის, ორივე თბილისის "ამერის" ფეხბურთელი იყო და ფუტსალში გადავიდნენ.

ტრავმის გამო ნაკრებს გამოაკლდნენ "იბერიას" მოთამაშეები, გუნდის კაპიტანი **გოგა ალთუნაშვილი** და **ალექსანდრე ძაბირაძე**, ასევე თსუ-ს წევრი **თემურ ჯაფარიძე**.

საინტერესო ისტორია აქვს ნაკრების წევრ **გიორგი ნიშნიანიძეს**. ის ქუთაისელია, მაგრამ დიდი ხანია, რუსეთში გადავიდა და იქაურ კლუბებში თამაშობდა. გიორგი ახლაც "მიტიშჩის" წევრია, მაგრამ ფუტსალის ასოციაციის დახმარებით და პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეობა დაიბრუნა.

შესაძლოა, მალე ქართული პასპორტი მიიღოს "იბერია სთარის" საუკეთესო ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა **რონიმ**, რომელიც ოთხი წელია, საქართველოში თამაშობს და ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი საკითხის სასწრაფოდ მოგვარებაზე ზრუნავს.

საქართველოს ნაკრები ლატვიიდან მაკედონიაში 20 იანვარს ჩავა, სადაც ჩვენი ჯგუფის თამაშები გაიმართება. შესარჩევი ციკლის მატჩების განრიგი კი ასეთია:

21 იანვარი

მაკედონია-ინგლისი
საქართველო-ესტონეთი

22 იანვარი

მაკედონია-ესტონეთი
ინგლისი-საქართველო

24 იანვარი

ესტონეთი-ინგლისი
საქართველო-მაკედონია

● ლეგიონერები

რატომ არ გაუშვეს კანუ ბელარუსში?

მახარაძის სკოლა ლატვიაში საუკეთესოა

2010 წლის 21 დეკემბერს ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის საზეიმო საღამოზე წლის შედეგები შეაჯამეს, გამოავლინეს საუკეთესო მწვრთნელი, ფეხბურთელები და სხვა.

"დაუგავას" საფეხბურთო აკადემია ქვეყანაში საუკეთესოდ დაასახელეს. ეს ამბავი ჩვენთვის იმიტომ გახდა საინტერესო, რომ "დაუგავას" აკადემიის მთავარ მწვრთნელად **შოთა მახარაძე** მუშაობს. 31 წლის ქართველი სპეციალისტი ლატვიაში გასულ წელს მიიწვიეს და მცირე დროის მიუხედავად, სკოლის რეფორმირება და სასელექციო სამუშაოს ჩატარება მოახერხა, მოიგო რამდენიმე ტურნირი და შედეგიც მოიმკო.

"ჩემთვის ეს აღიარება ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან შარშან ლატვიაში რომ ჩავედი, არავინ მიცნობდა. აქედან გამომდინარე, ბევრი ადგილობრივი მწვრთნელი სკეპტიკურად მიყურებდა. არც მიკვირდა, უცხოელს ყველა ქვეყანაში გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. მხოლოდ "დაუგავას" მწვრთნელი თამაზ პერტია მიცნობდა, მენდობოდა და ახლა კიდევ ერთხელ მოუხდათ იმის თქმა, რომ თამაზი წინ იყურება. პერტიას გასულ სეზონში "დაუგავაში" თავის ასისტენტად სურდა ჩემი გადაყვანა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და, ალბათ, წლეულს წამიყვანს. თუმცა სკოლის განვითარების ახალ პროექტებზე ვმუშაობ და უეფადან ინსტრუქტორების ჩამოყვანას ვაპირებთ. ქართველი ბავშვების ჩამოყვანა გვსურდა, მაგრამ ევროკავშირის ქვეყანაში საქართველოდან ბავშვის წაყვანა ძალიან რთულია, ფაქტობრივად, შეუძლებელიც.

სხვათა შორის, ლატვიის ფედერაციამ საუკეთესო მწვრთნელად "სკონტოს" მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ სტარკოვსი რომ დაასახელა, ლოგიკურია, "სკონტოში" გასულ წელს დაბრუნდა და გუნდმა ჩემპიონობა დაიბრუნა. პერტია კი საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად დაასახელეს. თამაზი მართლაც პერსპექტიული სპეციალისტია. იდროვებს თუ არა, უცხოეთის რომელიმე კლუბში სტაჟირებაზე მიდის. დეკემბერში შოთა არველაძეს თურქეთში ესტუმრა. ასეთი მონდომებული მწვრთნელი კი ლატვიაში მეორე არაა", - ამბობს მახარაძე.

ამასობაში "დაუგავამ" სეზონისთვის მზადება დაიწყო, საკონტროლო შეხვედრაში "სკონტოს" 2:1 მოუგო, მაგრამ მოედანზე არც ერთი ქართველი არ გამოჩენილა – **გიორგი ჩიხრაძე, დავით ფაილოძე, გიორგი წაქაძე, ჯემალ ჯალიაშვილი** და **მამუკა ღონღაძე** ჯერ კიდევ ისვენებენ.

ღონღაძეს კარიერის გაგრძელება აზერბაიჯანში, თოვუზის "თურანში" სურდა, მაგრამ მას **რევაზ ძოძუაშვილი** იწვევდა, რომელიც მთავარი მწვრთნელობიდან მოხსნეს. თანაც, კლუბში რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი** მიიწვიეს, ანუ თავდამსხმელი აზერბაიჯანელებმა უკვე შეიმატეს.

თუმცა ღონღაძის გადასვლა გამოირიცხა არა ამ ტრანსფერის, არამედ ლატვიელთა მიზეზით – "დაუგავამ" "კანუ" (ღონღაძის მეტსახელია) არც აზერბაიჯანში გაუშვა და არც ბელარუსში, სადაც მას უმაღლეს ლიგაში გადასული "გომელი" იწვევდა.

მახარაძის თქმით, გასული სეზონის მეორე ნახევარში მიწვეული ღონღაძის გაშვებას იმიტომ არ აპირებენ, რომ 25 წლის თავდამსხმელმა შედეგიანობით გამოიჩინა თავი და შეტევაში არსებული პრობლემები მოაგვარა. წლეულს კი "დაუგავა" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს და წამყვან ფორვარდს ვერ შეელევაო.

გარდა ამისა, შევიტყვეთ, რომ ლატვიურ კლუბში გასასინჯად "გაგრას" დუბლშემადგენლობის ყოფილი მეკარის, **რაკლი ხომერიკის** და კიდევ რამდენიმე ქართველის მიწვევას აპირებენ.

მამუკა ღონღაძე

ბეგლარიშვილი ფლორაში რჩება

ზაქარია ბეგლარიშვილმა "ლელოსთან" საუბარში დეკემბერში განაცხადა, რომ **მერაბ ჟორდანია** "ვიტესში" იწვევდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატს გუშინ დავუკავშირდით და გვითხრა, რომ კლუბს აღარ შეიცვლიდა.

"მე ახლა ტალინში ვარ და ძველებურად "ფლორაში" ვვარჯიშობ. "ვიტესის" ვარიანტი ალბათ არარეალურია. ჰოლანდიურ კლუბში გადასვლა მართლაც შემომთავაზეს, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო და აღარ შემხმიანებიან. საკუთარი ინიციატივით კი, ხვდებით, ვერ დავუკავშირდები, უხერხულია. კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის დეკემბერში მიმთავრდება და გამოდის, ესტონეთში კიდევ ერთი სეზონი დავრჩები", - ამბობს ბეგლარიშვილი.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

● ახალი სახელები

ქართველი ცსკას დუბლებში

დავით ხურციძე პირველად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** 2009 წელს იმ საინტერესო ფეხბურთელთა შორის დაასახელა, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ.

ხურციძე რუსეთშია გაზრდილი, მაგრამ მამამისი **ხვიჩა ხურციძე** ქართული ფეხბურთის გულშემატკივარია და შვილის მხოლოდ საქართველოს ნაკრებში თამაშზე ფიქრობს. არადა, დათოს რუსეთის ნაკრებში თამაშის პერსპექტივა გააჩნია: 17 წლის ფეხბურთელი მოსკოვის ცსკა-ს დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს.

"დათო 1993 წელსაა დაბადებული. 2000-2005 წლებში საფეხბურთო სკოლა „მოლნიაში" ვარჯიშობდა, 2005 წლის ნოემბრიდან კი - ცსკა-ს სკოლაში. თავიდან მარცხენა ნახევარმცველი იყო, მაგრამ ორი წლის წინ ტანი უცებ მთელი 18 სანტიმეტრით აიყარა, ცოტა შენელდა და მოედნის ცენტრში გადაიყვანეს.

2006-2007 წლებში ცსკას 93-წლიანებს კარგი სეზონი ჰქონდათ, ბევრი ტურნირი მოიგეს, მოსკოვის ჩემპიონატში კი მესამე ადგილი დაიკავეს. იმ წელს ტალინის საერთაშორისო ტურნირზე დათო საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, კანატოპის ტრადიციულ ტურნირზე კი, სადაც კიევის "დინამოს", დონეცკის "შახტარისა" და "კანატოპი-92"-ის შესაბამისი ასაკის გუნდები მონაწილეობდნენ, ბომბარდირი გახდა. შემდეგ მოროზოვის სახელობის ტურნირზე ფინალში „შალკე-04" დაამარცხეს. ასტანაში, ნაზარბაევის ტურნირზე მხოლოდ ფინალში წააგეს ბრაზილიელებთან. ამ გუნდში თამაშობდა კიდევ ერთი ჩვენიანი სამა კვანტრიშვილი.

2010 წელს რუსეთის ჭაბუკთა ჩემპიონატის ფინალში დამარცხდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, გუნდის ყველა ფეხბურთელს სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიანიჭეს. და, რაც მთავარია, იმდენად გამორჩეული გუნდი იყო, ფეხბურთელთა უმრავლესობა ცსკა-ს დუბლებში აიყვანეს, მათ შორის, დათოც. არმიელები 16 იანვარს კვიპროსში მიემგზავრებიან და წესით, შეკრებაზე დათოც უნდა წაიყვანონ", - გვითხრა ხვიჩა ხურციძემ.

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ამბები

ჯერ ჩეხებთან, თბილისიდან პარიზში

ევრო 2012 წლის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების მეტოქე ხორვატიამ ამხანაგური მატჩებისთვის ორი სპარინგპარტნიორი დაითანხმა, თანაც ძლიერი გუნდები. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ 9 თებერვალს **სლავენ ბილიჩის** გუნდი ჩეხეთის ნაკრებს შინ გაეჯიბრება. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს, ჩვენი ნაკრები კვიპროსზე სომხეთის ეროვნულთან მოსინჯავს ძალებს.

ხორვატებმა მომდევნო ამხანაგური მატჩიც შეათანხმეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე 26 მარტს ხორვატიას თბილისში ვუმასპინძლებთ. ხორვატული ვებგვერდების ინფორმაციით, საქართველოდან მათი ნაკრები საფრანგეთს გაემგზავრება და 29 მარტს პარიზში, „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

ძალამიძე პოლონეთში ან ისევ რუსეთში

დინამოში არა, ეს ჭორიაო...

19 წლის ნახევარმცველმა **ნიკა ძალამიძემ** რუსული პრემიერლიგის გასული სეზონი მოსკოვის ცსკა-ში გაატარა. მართალია ახალბედა ჩვენებურს არმიელთა მთავარ გუნდში არ უთამაშია, მაგრამ დუბლშემადგენობაში 18 შეხვედრაში ორი გოლი და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა. ნიკა ზუგდიდის „ბაიდან" ცსკა-ში ერთი წლით იყო განათხოვრებული. ეს ვადა ამოინურა და ძალამიძეც სამშობლოში დაბრუნდა. მისი ამბით დეკემბერშიც დავინტერესდით; ნიკამ გვითხრა, რომ არმიელებს მისი დატოვება სურდათ, მაგრამ თავად მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ დუბლებში თამაში და ამიტომაც სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვიტა. უკვე ვწერდით კიდეც, რომ ნიკას რუსული კლუბების ვარიანტი ჰქონდა. ერთი თვის წინ, ეს ინფორმაცია თვითონაც დაგვიდასტურა. გუშინ კი ხმა გავრცელდა, ძალამიძე, „დინამოში" გააგრძელებს კარიერასო. ამ ვერსიას ისიც ამყარებდა, რომ ძალამიძემ გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა.

ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევა გადავწყვიტეთ და ფეხბურთელს დავუკავშირდით.

არა, ეს ჭორია, უბრალოდ „დინამოს" ბაზაზე დამინახეს. „დინამოში" მხოლოდ ვვარჯიშობ, მინდა ფორმაში ვიყო, ტონუსი შევინარჩუნო. თამაშით სხვა გუნდში ვითამაშებ. ჩემი აგენტი სწორედ ამ საკითხზე მუშაობს და მალე ყველაფერი გაირკვევა. რიგის „სკონტოში" ჩემს გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ვარიანტი გამორიცხა. რუსეთის პრემიერლიგის და პირველი დივიზიონის კლუბებზეა ლაპარაკი. როგორც აგენტმა მითხრა, ერთი პოლონური კლუბიც არის დაინტერესებული! მაგრამ კლუბებს ვერ დავასახელებ. მაქსიმუმ ერთ კვირაში ყველაფერი გარკვეული იქნება, - აღნიშნა ძალამიძემ.

ვოლგაში ქართველობის გამო საფრთხე გამორიცხულიაო

ყველასათვის ცნობილი ამბავია, მახაჭყალის „ანჟის" პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში ქართველმა ლეგიონერებმა რომ დიდი წვლილი შეიტანეს. თუმცა რად გინდა, მალევე ეს არავის ახსოვდა და ჩვენებურთა ნაწილს, ვითარებიდან გამომდინარე, სწორედ ქართველობის გამო მოუწიათ „ანჟის" დატოვებამ. მახაჭყალიდან ჩვენებურები ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გადავიდნენ და ახლა სწორედ ეს რუსული კლუბია ქართველების სიმრავლით გამორჩეული. ბუნებრივია, საინტერესოა „ანჟის" სცენარი ხომ არ განმეორდება „ვოლგაში" ქართველების მიმართ? „ვოლგას" პრეზიდენტი **ალექსანდრ გოიხმანი** ამას კატეგორიულად გამორიცხავს და ჩვენც გვინდა მისი სიტყვებისა გვჯეროდეს...

„ახალ სეზონში პრემიერლიგაში, უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებთ და გუნდს გაძლიერება სჭირდება. ამიტომაც ვეძებთ სასურველ ფეხბურთელებს. არ მომბეზრდება იმის გამეორება, რომ ჩვენთვის მოთამაშის ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. ქართველმა ფეხბურთელებმა გასულ სეზონშიც დაამტკიცეს, რომ „ვოლგაში" თამაშის ღირსნი არიან. ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნებს. მათ გარდა, სხვა ქართველებიც შემოგვიერთდნენ, ზოგი დავიმატეთ, ზოგიც ტესტირებაზეა. სელექციის პროცესი გრძელდება და ნაწილი დარჩება, ნაწილს დავეშვიდობებით, ალბათ ახალი ფეხბურთელები კიდევ გამოჩნდებიან, მაგრამ მოთამაშეებს ეთნიკური ნიშნით არ მოვინვევთ", - ასეთია „ვოლგას" პრეზიდენტის პოზიცია.

შეგახსენებთ, რომ „ვოლგაში", რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის, შვიდი ქართველი ფეხბურთელია: **გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე, გოჩა ხოჯავა, გიორგი ნავალოვსკი, ედიკ საჯაია, მათე ვაწაძე** და **გია გრიგალავა.**

სპეტი მოამზადა
დავით ცაბაძემ



დურმიშხან ჩხაიძე

მაშინ, როცა რეგიონებში ფეხბურთს უკიდურესად უჭირს და ასევეა ლანჩხუთში, სადაც „გურიას" ფეხბურთელებს პირველი წრის ჯამაგირი ჯერაც არ მიუღიათ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ფრიად მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი - ჩამოყალიბდა საფეხბურთო სკოლა, რომელიც დასაწყისში ბიუჯეტიდან 50 ათასი ლარით დაფინანსდება. სკოლას უკვე გამოეყო მოედნები, ხოლო მთავარი ოფისი ქალაქის ცენტრიდან სამოიდ კილომეტრში განთავსდა. ახალშექმნილ საფეხბურთო სკოლას გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციისა და „გურიას" ყოფილი პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე ჩაუდგება სათავეში. ცნობისთვის, სანამ ბატონი დურმიშხანი გურის ფეხბურთის მესაჭე გახდებოდა, მან კერძო საფეხბურთო სკოლა თანამოაზრეებთან ერთად ერთხელ უკვე ჩამოაყალიბა.

„ლელო" დურმიშხან ჩხაიძეს ესაუბრა:

— ჩვენი სკოლა, რომელიც ფუნქციონირებას ამ დღეებში დაიწყებს, საქართველოში მეტიც, მას ანალოგი არ ექნება, თუ არ ჩავთვლით დიდი ტრადიციების მქონე თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლას. ჩვენთან მოხდება რეგიონის საფეხბურთო რესურსის თავმოყრა.

— სად განთავსდებით და რამდენად მართალია ინფორმაცია, რომ საფეხბურთო მწვრთნელების უმრავლესობა უადგილოდ დარჩება?

— გადმოგვეცემა ყოფილი მანქანათმშენებლობის კოლეჯის ფართი, სადაც არის კორპუსები და საფეხბურთო მოედანი. ასევე 2 დარბაზი. ჩვენს დაქვემდებარებაში იქნება ყოფილი ინტერნატის სტადიონი, ჩიბათის სპორტული კომპლექსი, ქალაქში არსებული ყველა ხელოვნურსაფრიანი მოედანი, ანუ მთელ რაიონს მოვიცავთ, რაც შეეხება მწვრთნელებს, ჩვენთან ერთი აუცილებელი და უპირველესი პრინციპია — მხოლოდ ლიცენზირებული მწვრთნელები იმუშავებენ!

— ასეთი ლანჩხუთში რამდენია? თქვენი სკოლისთვის საკმარისი იქნება?

— როგორც ვიცი, ამჟამად 7 ლიცენზირებული მწვრთნელი გვყავს, 3 კი სწავლობს. ეს კი სავსებით საკმარისია, აქედან ერთს სკოლის მთავარი მწვრთნელის თანამდებობა შეუთავსდება. აუცილებლად გვეყოლება მეკარეთა მწვრთნელი.

— თუ არ ვცდები, ლანჩხუთში 30-მდე მწვრთნელია, რა ბედი ელით მათ?

— ვერაფერს გეტყვით. ჩვენ მივილებთ იმდენს, რამდენიც გვჭირდება. კატეგორიულად ვამბობ, მავანთა გამო შტატებს ვერ გავზრდით. ადმინისტრაციაც კი ორკაციანი იქნება — დირექტორი და ბუღალტერი. როცა გაიგეს, რომ დირექტორად დავინიშნე, ბევრი ნაცნობი მეუბნება — მოადგილედ წამიყვანეთ. გამორიცხულია, ასეთი შტატი არ გვექნება. თანხის ძირითადი ნაწილი ბავშვებს, მათ განვრთნას, ტრანსპორტირებას და სხვა ხარჯებს უნდა მოხმარდეს და არა ხელფასებს.

— მუდამ პრობლემა იყო გზის და სხვა ხარჯები, თუნდაც ფორმის, ბურთების, რის გამოც ბევრმა ბავშვი ფეხბურთიდან გაიყვანა. ეს საკითხი თქვენთან როგორ მოგვარდება?

— ეს პრობლემა სრულად მოიხსნება! არანაირი შენატანი მშობელს არ დასჭირდება! ისევ მწვრთნელებს დავუბრუნდები. რა თქმა უნდა, ზოგი მწვრთნელი უმუშევარი დარჩება, მაგრამ მათ შეუძლიათ აიყვანონ ჯგუფები, ჩვენ ამას ვერავის ავუკრძალავთ.

— თუმცა, თუ თქვენთან ყველაფერი უფასო იქნება და ლიცენზირებული სპეციალისტები გეყოლებათ, მათთან ვინ მივა?

— ვერაფერს გეტყვით.

— გავიგეთ, რომ სკოლას ფეხბურთის ფედერაციაც დაეხმარება...

— მეც ასე ვიცი, რომ ფეხბურთის ფედერაცია 30 ათასის სპორტული ინვენტარით დაგვეხმარება.

— რა ასაკის ბავშვები გეყოლებათ და რომელ ტურნირებში მიიღებთ მონაწილეობას?

— 7 წლიდან 15 წლამდე ასაკის ჯგუფები გვეყოლება. ყველა ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, რომელიც კონკრეტულ ასაკში ჩატარდება.

— თქვენი სკოლა არ ექვემდებარება „გურიას". ნუთუ თქვენი მიზანი კლუბისთვის ფეხბურთელების აღზრდა არ იქნება?

— ლანჩხუთისთვის „გურია" განუყოფელი ნაწილია და, თქმა არ უნდა, კლუბისთვის ფეხბურთელების გაზრდა ჩვენი არაპირდაპირი მოვალეობა იქნება. თუმცა ამას ვერავინ დაგვავალდებულებს, რადგან წესდებითაც არ გვაქვს ეს მოთხოვნა. ამასთან, ჩვენი სკოლა ტრანსფერებზეც იმუშავებს, ანუ ჩვენი მობურთალები სხვადასხვა კლუბში გასხვისდებიან, ხოლო თანხა ისევ სკოლის და ლანჩხუთში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება.

— თუ „გურიას" სპონსორი გამოუჩნდა, რომელიც აუცილებლობად მიიჩნევს კლუბთან არსებულ საფეხბურთო სკოლას, რამდენად შესაძლებელია, რომ თქვენი სკოლაც ინვესტორის დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს.

— ყველაფერი შესაძლებელია, ესაა მოლაპარაკების თემა. ჩვენ მივესალმებით ყველა წინგადადგმულ ნაბიჯს.

ჩვენი ინფორმაციით, საფეხბურთო სკოლის მთავარი მწვრთნელი „გურიას" ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი **თემურ ლორია** გახდება, მას A კატეგორიის ლიცენზია აქვს. შევიტყვეთ ისიც, რომ რამდენიმე წარმატებული ასაკობრივი გუნდი სკოლაში გაერთიანებას არ აპირებს და ისევ საფეხბურთო კლუბ „გურიასთან" დარჩება. საერთოდაც, უეფა მიიჩნევს (და ეს სფფ-ის თავკაცმა, ზვიად სიჭინავამაც აღნიშნა ლანჩხუთში ვიზიტისას), რომ უმჯობესია სკოლა კლუბთან იყოს მიბმული. თუმცა დამოუკიდებელი საფეხბურთო სკოლის გახსნაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი მოვლენაა გურული ფეხბურთის ცხოვრებაში.

მათე გურული
ლანჩხუთიდან

ბავშვთა ფეხბურთის იტალიური სარკმელი

ევროპის ქვეყნებში ბავშვთა ფეხბურთს დიდ ყურადღებას უთმობენ. მომავალი თაობების აღსაზრდელად კლუბები თუ ფეხბურთის ფედერაციები ძალ-ღონეს არ იშურებენ და შედეგსაც იმკიან მდიდარი საფეხბურთო ისტორიის სახით. ამ მხრივ გამონაკლისს არც ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი იტალია წარმოადგენს.

რუბრიკის სტუმრები არიან პოპულარული იტალიური სპორტული გაზეთის „გაძეტა დელო სპორტის" მიმომხილველი მასიმო ჩეკინი და ქალაქ პრატოს ბავშვთა კლუბ „ზენიტის" წარმომადგენელი ვინჩენცო დორსი.



ვინჩენცო დორსი



მასიმო ჩეკინი

რა გვითხრა აბეტემ

2009 წელს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** „ლელოს" ბავშვთა ფეხბურთზეც ესაუბრა. აბეტემ გვითხრა: *„ჩვენ ყურადღებით ვმუშაობთ საფეხბურთო სკოლებთან. იტალიაში დაახლოებით 7000 საფეხბურთო სკოლაა, ანუ კარგად ორგანიზებული საფეხბურთო გარემოა, სადაც ბავშვებს გარკვეულ დონემდე ზრდიან და ავითარებენ. ეს მოიცავს პერიოდს 5-დან 14 წლის ჩათვლით. დაახლოებით 700 000 იტალიელი ბავშვი 10 წლის ასაკიდან თამაშობს სხვადასხვა გუნდში. ჩვენი უმთავრესი მიზანი დამწყები ფეხბურთელების პროფესიონალად ჩამოყალიბებაა, რაც სამომავლოდ წარმატების საფუძველი უნდა გახდეს".*

50-იანი წლების კომუნისტური სიამაყე

იტალიურ საფეხბურთო სკოლებს შორის ჯანსაღი კონკურენციაა. სამრეწველო ქალაქ პრატოში ფეხბურთით დაინტერესება ისეთივე დიდია, როგორც დანარჩენ იტალიაში.

ვინჩენცო დორსი: „ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ზენიტი" 1958 წელს დაარსდა. XX საუკუნეში პრატო კომუნისტური იდეების ქალაქი იყო. სკოლას სახელი სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" პატივსაცემად დაერქვა. დამაარსებლის ვინაობა უცნობია. სკოლას დღეს **დავიდე მორსიანი** ხელმძღვანელობს და აქ 6-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები მეცადინეობენ.

მაგალითად, ზენიტაფონი

იტალიის მსგავსად, საქართველშიც არაერთი სამრეწველო ქალაქია. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენთან პატარა ფეხბურთელების უმრავლესობა დედაქალაქზე მოდის. პრატოელებს ეამაყებათ, რომ წლების წინ ვიერი "ზენიტში" ვარჯიშობდა. ისევ ვინჩენცო დორსის მოვუსმინოთ: „პრატოში 250 ათასი მცხოვრებია და 15 საფეხბურთო სკოლა ფუნქციონირებს. ფეხბურთს 6-დან 14 წლამდე ასაკის 1500 ბავშვი თამაშობს (მაგალითად, ზესტაფონში 70 ათასი მცხოვრებია. ფეხბურთს კი 6-დან 21 წლამდე ასაკის 400 ბავშვი და ახალგაზრდა თამაშობს). სწავლის გადასახადი „ზენიტში" 6 თვეში 350 ევროა. ვარჯიშებიც ასაკისთვის შესაბამისი დატვირთვით მიმდინარეობს. მშობლები სკოლის ცხოვრებაში საკმად აქტიურად არიან ჩართულნი".

გრანდები და ბამბინოები

- მასიმო, „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ხართ, წერთ დედაქალაქური „რომასა" და ეროვნული ნაკრების შესახებ. ბავშვთა ფეხბურთზე თუ გიმუშავიათ?

- არა, ჩემი სამუშაო მხოლოდ „რომა" და ეროვნული ნაკრებია. ბავშვთა ფეხბურთში ღრმად ჩახედული არ ვარ.

- საქართველოში საფეხბურთო სკოლებში გადასახადი დაახლოებით 50-80 ლარია. იტალიაში სწავლა რა ღირს?

- სკოლებზეა დამოკიდებული. როგორც ვიცი, ერთი სეზონი დაახლოებით 400-500 ევრო ღირს.

- იტალიის წამყვან საფეხბურთო ქალაქებსა და პერიფერიებს შორის ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მხრივ დიდი განსხვავებაა?

- დიახ, დიდ ქალაქებში ბავშვები გაცილებით ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. პერიფერიებში კი უმეტესად ფეხბურთითი სიამოვნებასა და გართობაზე აკეთებენ აქცენტს. მათთვის შედეგს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

- ფედერაცია ბავშვთა ფეხბურთს თუ აკონტროლებს?

- დიახ, რეორგანიზაცია და სიახლეების შეტანა ხშირად ხდება. ამ საქმით დაკავებულნი არიან იტალიური ფეხბურთის ცნობილი სახელები, ბაჯო, რივერა, საკი...

- ცნობილი საფეხბურთო კლუბები, „მილანი", "ინტერი", "იუვენტუსი", „რომა", რამდენად ზრუნავენ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე?

- ბავშვთა ფეხბურთს „რომა" უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე „მილანი" და „ინტერი". გრანდები აქცენტს უფრო უცხოელ ფეხბურთელებზე აკეთებენ. მათ სხვა მიზნები აქვთ.

სალომე ხარატიშვილი

პრეზიდენტის იმედი

ლოკალური სიურპრიზები

სეზონის სტარტს „სპარტაკისთვის“ კატასტროფული ნამდვილად არ ეთქმოდა: საწყის სამ ტურში გუნდმა 4 ქულის მოგროვება მოახერხა. თუმცა, ამას ზედიზედ სამი მარცხი მოჰყვა, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ **გოჩა ჩიქოვანის** გუნდის მეტოქეები „ოლიმპი“, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ იყვნენ. ამის შემდეგ, ბევრისთვის მოულოდნელად, გუნდმა ზუგდიდიდან ქულის წამოღება მოახერხა, მაგრამ მომდევნო საშინაო შეხვედრაში კვლავ დამარცხდა (ამჯერად, ქუთაისის „ტორპედოსთან“). ყოველივე ამას კი კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან საკადრო გადაწყვეტილებაც მოჰყვა და პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრაში (სტუმრად, ფოთის „კოლხეთთან“) გუნდს უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავდა — **ბადრი კვარაცხელია**. ეს უკანასკნელი „სპარტაკის“ საკლუბო სტრუქტურაში გასულ წელს მოვიდა და ამავე გუნდის დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელიც გახლდათ. სხვათა შორის, ძირითად გუნდში სადებიუტო შეხვედრაში კვარაცხელიამ დუბლშემადგენლობის ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ათამაშა, — მანამდე ყველასათვის უცნობი 17-18 წლის ბიჭები. ის შეხვედრა „სპარტაკმა“ მინიმალური ანგარიშით წააგო, მაგრამ უკვე მომდევნო ტურში ცხინვალის გუნდმა სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა — თბილისის „დინამოსთან“ ფრედ ითამაშა! ამ დროისათვის „სპარტაკი“ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფებოდა და გუნდისთვის თითოეულ ქულასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, „დინამოსთან“ ის წარმატება... ლოკალური მასშტაბის აღმოჩნდა — „სპარტაკმა“ მომდევნო ორი მატჩი წააგო და თავისი ისედაც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა უფრო დაამძიმა. თუმცა, გუნდის თამაშის ხარისხი თამაშიდან-თამაშამდე უმჯობესდებოდა და მალე „ქულების მოგროვების დრო“ დადგა: „სპარტაკმა“ ჯერ ჩემპიონატის ლიდერ „ზესტაფონთან“ ითამაშა ფრედ, შემდეგ კი ასე ნანატრი გამარჯვებაც მოიპოვა: სტუმრად „ვიტ ჯორჯიას“ მოუგო! არადა, XXII ჩემპიონატში „სპარტაკის“ პირველ და მეორე გამარჯვებებს შორის, ფაქტობრივად, სამთვიანი პაუზა იყო...

პირველი ეტაპის ბოლოს „სპარტაკის“ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა; მართალია, გუნდი კვლავაც ბოლო საფეხურზე იმყოფებოდა, მაგრამ საშინაო გამარჯვებების („ბაიასთან“ , „კოლხეთთან“) შემდეგ კონკურენტებსაც წამოეწია და, რაც მთავარია, მეორე ეტაპის წინ „სპარტაკს“ გამოკვეთილ აუტსაიდერობას ველარავინ უწინასწარმეტყველებს. თუმცა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ კონკურენტები დასუსტდნენ და ერთი-ორ გუნდს მართლაც ბუნდოვანი მომავალი აქვს. რა თქმა უნდა, არც „სპარტაკშია“ ზღაპრული ხელფას-პრემიები, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ გუნდში ფინანსური კრიზისი ყოფილიყოს; თანაც, „სპარტაკი“ რომ სერიოზულად ემზადება ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისათვის, ეს ფაქტიც მოწმობს: ბადრი კვარაცხელიას გუნდი იყო ერთ-ერთი პირველი, ჯერ ადგილზე რომ დაიწყო მოსამზადებელი პერიოდი და ამჟამად კი ურეკში იმყოფება. მეორე ეტაპზე თითოეულმა გუნდმა 18-18 მატჩი უნდა ჩაატაროს და ნურავინ ნურაფერს გამორიცხავს, მაგრამ დღესდღეობით არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იმავე „სამტრედიასა“ და „კოლხეთთან“ შედარებით, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად „სპარტაკს“ ბევრად უკეთესი შანსი უნდა ჰქონდეს...

მეკარეები

პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, „სპარტაკი“ დიდი ანგარიშით რომ დამარცხდა (III ტურში — „ზესტაფონთან“); საერთოდაც, გუნდი კონკურენტებისგან განსხვავებით საკუთარ კარში ბევრ გოლს არ უშვებდა და ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, „სპარტაკის“ გამოცდილი მეკარის, ქართული ფეხბურთის ვეტერანის **სოსო გრიშიკაშვილის** დამსახურებაც იყო. 37 წლის გრიშიკაშვილი საქართველოს ჩემპიონატს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და მის უდიდეს გამოცდილებაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული „სპარტაკის“ წარმატებული ასპარეზობა გადამწყვეტ ეტაპზე.

თეიმურაზ შონია

მცველები

გრიშიკაშვილის მსგავსად, გასულ ზაფხულს გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერა **შოთა კაშიამაც,** — ფეხბურთელმა, მანამდე მთელი კარიერა თბილისის „დინამოში“ რომ ჰქონდა გატარებული. მიზეზთა გამო, უფროსი კაშიასა და „დინამოს“ გზები გაიყო, თუმცა ასეთ უნივერსალ ფეხბურთელზე უარს რომელი გუნდი იტყოდა და „სპარტაკის“ ახალწვეულმაც პირველი ეტაპი ჩვეულ დონეზე ჩაატარა. თანაც, არახალ ამბავს ვიტყვით, რომ კაშია ერთნაირი წარმატებით ასპარეზობდა დაცვის მარჯვენა ფლანგზე თუ ნახევარდაცვის სხვადასხვა პოზიციაზე. კაშიას სტაბილური ასპარეზობა თუ მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, აი, **ლევან ჭაფოძესაგან** ბევრი ამას არ ელოდა: 35-ე საფეხბურთო სკოლიდან გადმოსულმა მცველმა პირველ ეტაპზე ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა! დაცვის ცენტრში ადგილი „დაჯავშნილი“ ჰქონდა **ბოიომო ფრიდოლინის** — „სპარტაკის“ კამერუნელი მცველი იმდენი ხანია საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობს, ხანდახან, ცოტა არ იყოს, გვეუხერხულება კიდეც, რომ ლეგიონერი ვუწოდოთ. აი, სხვა მცველებმა კი სხვადასხვა რაოდენობის მატჩი ჩაატარეს და ზოგი მათგანი გუნდს უკვე დაემშვიდობა კიდეც.

ნახევარმცველები

შუახაზის მოთამაშეებს შორის წამყვანი პერსონა, რაღა თქმა უნდა, ცენტრალური ნახევარმცველი **თეიმურაზ შონია** გახლდათ, ასევე ყველა მატჩში რომ მიიღო მონაწილეობა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, შონია „სპარტაკის“ ერთ-ერთი ყველაზე „სტაჟიანი“ წევრია და როგორც გუნდის ლიდერს შეეფერება, ზოგიერთ მატჩში ისე ასპარეზობდა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, პირველ ეტაპზე ეპიზოდურად უხდებოდა ასპარეზობა **ნიკოლოზ მაისურაძეს,** — არადა, წინა ორი სეზონის განმავლობაში 22 წლის ფლანგის ნახევარმცველი „სპარტაკის“ შეუცვლელ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. ტრავმების გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა 18 წლის **ბესიკ დეკანოიძეს,** პერსპექტიულ შემტევს, კლუბის ხელმძღვანელები უდიდეს იმედს ამყარებდნენ. „სპარტაკის“ ნახევარმცველებზე ვსაუბრობთ და, რაღა თქმა უნდა, ორი ახალწვეულიც უნდა ვახსენოთ: **ვალერი ბოლქვაძეს** რვა მატჩის ჩატარებაც „ეყო“, საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. ამ ახალგაზრდა და ორიგინალური სტილის ფეხბურთელზე ადრეც არაერთხელ ვისაუბრეთ და მხოლოდ იმას ვისურვებთ, რომ მეორე ეტაპზეც მსგავსი დამაჯერებლობით ითამაშოს. უთუოდ გამართლებულ ტრანსფერად უნდა მივიჩნიოთ **მიხეილ ბარაბაძის** გუნდში ჩარიცხვაც — 22 წლის შემტევი საქართველოს ჩემპიონატში ოთხწლიანი პაუზის მერე დაბრუნდა და სამ არასრულ მატჩში 2 გოლის გატანაც „მოასწრო“.

თავდამსხმელები

გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი... და „სპარტაკის“ ძველ-ახალ მწვრთნელებს პრეტენზიები, ალბათ, მხოლოდ ერთი ფეხბურთელის მიმართ არ ექნებოდათ: კოტდივუარელმა **ტიერი-ანს კლოვისმა** 4 გოლი გაიტანა. აი, სხვა ფორვარდებიდან (მათგან უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ) კი ვერც ერთმა შეძლო თავის გამოჩენა. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, რომ მეორე ეტაპზე ამ რგოლში სერიოზული ცვლილებები იქნება.

გია ტუხაშვილი

სოსო გრიშიკაშვილი

სპარტაკის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

II ტური:	სპარტაკი-სამგრელია	2:2
III ტური:	ზესტაფონი-სპარტაკი	4:0
IV ტური:	სპარტაკი-სიონი	3:0
V ტური:	ოლიმპი-სპარტაკი	1:0
I ტური:	დინამო-სპარტაკი	1:0
VI ტური:	სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	1:2
VII ტური:	ბაია-სპარტაკი	1:1
VIII ტური:	სპარტაკი-ტორპედო	1:2
IX ტური:	კოლხეთი-სპარტაკი	1:0
X ტური:	სპარტაკი-დინამო	0:0
XI ტური:	სამგრელია-სპარტაკი	1:0
XIV ტური:	სპარტაკი-ოლიმპი	2:3
XII ტური:	სპარტაკი-ზესტაფონი	1:1
XIII ტური:	სიონი-სპარტაკი	2:0
XV ტური:	ვიტ ჯორჯია-სპარტაკი	0:1
XVI ტური:	სპარტაკი-ბაია	2:0
XVII ტური:	ტორპედო-სპარტაკი	1:0
XVIII ტური:	სპარტაკი-კოლხეთი	4:0

მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი-17, ნიკა დაუშვილი-2;

მცველები: შოთა კაშია-18(1), ლევან ჭაფოძე-18, ბოიომი ფრიდოლინი-15, მიხეილ კორსანტია-9, ბადრი ტეტუნაშვილი-8, ლევან სარალიძე-6, ერეკლე ხაქვანი-6, მაკარ აქუბარდია-5, გიორგი თავბერიძე-5, დიეგო ლობჟანიძე-4.

ნახევარმცველები: თეიმურაზ შონია-18(4), ბესიკ დეკანიძე-13(2), ლაშა ჩალაძე-12, ნიკა მგელაძე-8(1), ვალერი ბოლქვაძე-8(2), გიორგი ალავიძე-7, ნიკოლოზ მაისურაძე-7(1), კახაბერ კაკაშვილი-6, გიორგი ნარიმანიძე-5, მიხეილ ბარაბაძე-3(2), ვახტანგ ჯაყელი-3, დავთი მამუდოვი-2,

თავდამსხმელები: ტიერი-ანს კლოვისი-16(4), ილია ბუზალაძე-9, გიორგი ბაბულაიძე-8, ზურაბ ძაგანია-8, დავით ზერეკიძე-2, მიხეილ ჯიშკარიანი-1.

● გამოხმაურება

გოლი ლივერის კარში

რისთვის იბრძვის ლივერპული?

კენი დალგლიში აღიარებს, რომ ილუზიების ტყვეობაში არ არის. ვერც იქნება: ფეხბურთის ასოციაციის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხომ დამარცხდა და აგერ, პრემიერლიგაშიც მარცხი იწვნია: „ბლექპულმა“ 2:1 მოუგო. ეს უკვე ლეგენდარული სქოთის პირველი თამაში ინგლისის უმაღლეს ლიგაში 1998 წლის შემდეგ. **ფერნანდო ტორესის** მიერ მე-4 წუთზე გატანილი გოლი **გერი ტეილორ-ფლეტჩერმა** მალევე გაათანაბრა, **დი ჯეი კემპბელმა** კი მეორე ტაიმში ბლექპულელთა გამარჯვებისა შეაგდო. კლუბის ახალმა მეპატრონემ, ამერიკელმა მილიარდერმა **ჯონ ჰენრიმ** გუშინვე ინგლისში ჩაფრენა და ინიციატივის ხელში აღება გადაწყვიტა. ნაგებათა მიზეზებში გარკვევის გარდა დღის წესრიგშია: ახალი აღმასრულებელი შეფის შერჩევა, სატრანსფერო ბაზრის შესწავლა და „ენფილდ როუდის“ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული იდეების შესწავლა. ჰენრის გადაწყვეტილი აქვს კვირას „ევერტონთან“ დერბიზე დასწრება და, რასაკვირველია, დალგლიშის უკეთ გაცნობა.

ერთი რამ კი გარანტირებული აქვს ჰენრის: მერსისაიდზე ფულს სთხოვენ. ეტყვიან, თუ კარგი გუნდი გინდა, კარგი ფეხბურთელები უნდა გვაყიდინო. ფაქტია: დღეისათვის ლეგენდარული „წითელი გუნდი“ მე-13 ადგილზეა და გასავარდნთა ზონას მხოლოდ 4 ქულით უსწრებს. ბლექპულში დამარცხების შემდეგ დალგლიშმა თქვა:

„ამ შეხვედრაში უქულოდ დავრჩით, რის გამოც გულგატეხილი გახლავართ. შევატყვე, რომ რამდენიმე საკითხში უკეთ გარკვევა გვმართებს. თუ დაინახავ, რომ პრობლემა შენშია და მიხვდები რა გჭირს, ნახევარი შანსი ხელთ გიპყრია.

ჩემი ფეხბურთელების თავდადებითა და მონდომებით კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს და მდგომარეობის გამოსასწორებლად დიდძალი შრომა გვმართებს. საერთოდ კი იშვიათია მიხვიდე გუნდში და აღმოაჩინო, რომ კონკრეტულად არანაირი ჯილდოსთვის არ იბრძვი.

დამიენ კომოლსთან და კლუბის მეპატრონესთან ახალი ფეხბურთელების შესახებ ჯერ არ მილაპარაკია. მათ მოთამაშეთა კონკრეტული ჯგუფის მწვრთნელად დამნიშნეს, რაზეც დიდი მადლობა ვუთხარი“.

სტატისტიკიდან: მიმდინარე, სეზონში „ბლექპულმა“ „ლივერპულს“ ორივე შეხვედრაში მოუგო, ასეთი რამ კი 1946-47 წლების სეზონის შემდეგ არ მომხდარა. მერედა, არ იფიქროთ, რომ **იან ჰოლოუეის** გუნდმა იღბლის წყალობით გაიმარჯვა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ანგარიში ფერნანდო ტორესმა გახსნა, მაგრამ ბლექპულელებს წარბიც არ შეუხრიათ. მეტიც, ჰოლოუეის ბიჭები ბოლო წამამდე სჯობდნენ სახელით მრისხანე მოწინააღმდეგეს. გამარჯვებულთა თავკაცი მატჩის შემდეგ სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. ისიც კი თქვა, რაც „ბლექპული“ პრემიერლიგაში გადავიყვანე, ასეთი ბედნიერი დღე არ მქონიაო.

„დიდებული შეგრძნება დამეუფლა. ასეთი არ მქონია. წარმოიდგინეთ, სეზონის წინ რომ მეთქვა, „ლივერპულთან“ 6 ქულას მოვიპოვებთ-მეთქი, ალბათ გიყად ჩამთვლიდით ან იფიქრებდით, რომ შერეკილი იდეის წყალობით „გინესის“ რეკორდების წიგნში მინდა მოხვედრა. არადა, თითქოს დღევანდელი საღამო ჩვენთვის ცუდი უნდა ყოფილიყო... საოცრად ვამაყობ. ჩემი ბიჭებით აღფრთოვანებული ვარ“.

ბლექპულელთა გამარჯვებაში დიდი როლი შოტლანდიელმა **ჩარლი ადამმა** შეიტანა. ამიტომაც გაკენწლა კმაყოფილმა ჰოლოუეიმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „ასტონ ვილა“, რომელიც ადამის მიყიდვას სთხოვს:

„თუკი ბირმინგემელები ფიქრობენ, რომ აი, ეს ბიჭი მხოლოდ 3,5 მილიონი ფუნტი ღირს, შეუძლიათ მოვიდნენ და თავიანთი წერილი უკან წაილონ. ჩვენ ის გვიყვარს, ფანები მას ეთაყვანებიან და არა მგონია თავად ადამსაც წასვლა უნდოდეს იქიდან, სადაც საყოველთაო სიყვარულისა და აღფრთოვანების ობიექტია. თუ მას გავყიდით, აუცილებლად ისეთ ადგილას გავუშვებთ, სადაც ჩვენსავით თავს შემოევლებიან, ასეთი ადგილიდან ჩემთვის ჯერ არავის დაურეკავს. მერედა, ვინმეს წარმოგიდგენიათ, რომ უეინ რუნეინი ან დიმიტარ ბერბატოვი „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეიძლება 3,5 მილიონი ფუნტი შესთავაზონ? არადა, ჩარლი ადამი კი მათი დონის ფეხბურთელია. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ყველაფერს აჯობებს, თუ ის ჯერჯერობით ჩვენთან დარჩება, „ბლექპულს“ პრემიერლიგაში დარჩენაში დაეხმარება და ახალ გუნდს ზაფხულში შეარჩევს“.

ბლექპული–ლივერპული 2:1

ბლექპული (4-4-2): კინგსონი - ერფსლი, ივეტი, კეთკარტი, კრეინი - ტეილორ-ფლეტჩერი (84. ბეპტისტი), ადამი, ვუგანი, ვერნი (84. საუთერნი) - გრენდინი (64. ფილიპსი), კემპბელი.

ლივერპული (4-3-3): რეინა - კელი, აგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი - ლუკასი, პოულსენი (85. ნგოგი), მეირელეში - კუიტი (76. შილვი), იოვანოვიჩი, ტორესი.

გოლები: 0:1 ტორესი (4), 1:1 ტეილორ-ფლეტჩერი (12), 2:1 კემპბელი (69)

გაფრთხილება: ადამი - იოვანოვიჩი, კელი, ტორესი

კუთხური: 3-3; **ჯარიმა**: 10-15; **კარში დარტყმა**: 12-12 (6-5); **თამაშგარე**: 4-2; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

მაყურებელი: 16 089

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	20	12	8	0	43:19	44
2. სიტი	22	12	6	4	33:16	42
3. არსენალი	21	12	4	5	42:22	40
4. ტოტენჰემი	21	10	6	5	31:25	36
5. ჩელსი	21	10	5	6	36:19	35
6. სანდერლენდი	22	8	9	5	25:22	33
7. ბოლტონი	22	7	9	6	34:29	30
8. ნიუკასლი	21	8	4	9	34:31	28
9. ბლეიკული	20	8	4	8	29:33	28
10. ბლეიზერნი	22	8	4	10	29:35	28
11. სტოკი	21	8	3	10	26:26	27
12. ევერტონი	21	5	10	6	23:25	25
13. ლივერპული	21	7	4	10	25:29	25
14. ფულჰემი	21	4	10	7	22:24	22
15. ბირმინგემი	20	4	10	6	20:25	22
16. ბოლტ ბროვიჩი	21	6	4	11	26:39	22
17. ვულვზი	21	6	3	12	21:34	21
18. ასტონ ვილა	21	5	6	10	23:38	21
19. უიგანი	21	4	9	8	18:33	21
20. ვესტ ჰემი	22	4	8	10	22:38	20

● დერბის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინი მარტინად ვერ წყვეტს

მარტინ ო'ნილი საგონებელშია - მას შეიძლება გასაჭირში ჩავარდნილი „ვესტ ჰემის“ გადარჩენა დაავალონ. ჯერჯერობით „ჩაქუჩების“ თავკაცი ცნობილი ებრაელი სპეციალისტი **ავრამ გრანტია** და შაბათსაც, ლონდონურ დერბიში, „არსენალის“ წინააღმდეგ გუნდს გრანტი უხელმძღვანელებს, მაგრამ თუ „ვესტ ჰემი“ დამარცხდება, მაშინ „აპტონ პარკზე“ მწვრთნელის ცვლილებაა მოსალოდნელი. ეს ამბავი სამშაბათს, „ვესტ ჰემის“ დირექტორატის საგანგებო თათბირზე გადაწყდა. ახლა ჯერი გრანტზეა.

ო'ნილი კი რთულ დღეშია, დიდი არჩევანის წინაშე დგას. „ჩაქუჩები“ 20 ქულით ბოლო ადგილზე არიან, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 16 ტურიღა რჩება. „ასტონ ვილას“ ყოფილ თავკაცს, რასაკვირველია, არ უნდა ისტორიას შემორჩეს როგორც მწვრთნელი, რომლის ხელშიც გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. გარდა ამისა, ის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტად ითვლება და დიდი შანსია ზაფხულზე რომელიმე დიდი კლუბიდანაც კი მიიღოს წინადადება. მაშ, რატომ უნდა დათანხმდეს „ვესტ ჰემის“ წინადადებას?

გაზეთები წერენ, რომ ო'ნილის გარდა ლონდონური კლუბის პატრონები „ბლექბერნიდან“ გაშვებული **სემ ელერდაისის** კანდიდატურასაც განიხილავენ, თუმცა ის მაინც სათადარიგო ვარიანტად მიაჩნიათ.

როგორც ჩანს, „ვესტ ჰემის“ დირექტორატი გრანტს ახლავე შეელეოდა, „ქარლინგის თასის“ ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში გუნდს „ბირმინგემი“ რომ არ დაემარცხებინა 2:1. როგორც ხედავთ, „ჩაქუჩები“ ფინალში გასვლასთან არიან ახლოს, მაგრამ პრემიერლიგაში იმდენად არასტაბილურად თამაშობენ, რომ სათასო წარმატებები უფროსობას ვერ ხიბლავს.

სამაგიეროდ, „ვესტ ჰემში“ თამაშის პერსპექტივაზე უარი არ თქვა ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა **უეინ ბრიჯმა**, რომელმაც „მანჩესტერ სიტიში“ ტყუილად ჯდომას „აპტონ პარკზე“ წვალება ამჯობინა. ბრიჯი 30 წლისაა და „ვესტ ჰემში“ „ქირით“ გადასვლა მას მერე გადაწყვიტა, რაც ნახა, რომ ლონდონელები „ასტონ ვილაზე“ უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ - ისინი კვირაში 80 ათას ფუნტს გადაუხდიან. ახლა, „ჩელსის“ ოდინდელ ფეხბურთელს პირდაპირ მნიშვნელოვან შეხვედრაში, „არსენალთან“ მოუწევს დაპირისპირება. მან თქვა:

„მიხარია, რეგულარულად თამაშის საშუალება რომ მეძლევა. „მანჩესტერ სიტიში“ ამ სიამოვნებას მოკლებული გახლდით. ახლა, „ვესტ ჰემის“ საქმეებზე ვარ კონცენტრირებული. ჩემი ამოცანაა, „ჩაქუჩებს“ პრემიერლიგაში დარჩენაში დავეხმარო“.

ზემოთ „ქარლინგის თასის“ ნახევარფინალი ვახსენეთ. მეორე ნახევარფინალურ დაპირისპირებაში „ვესტ ჰემის“ შაბათის მეტოქე, „არსენალი“ მონაწილეობდა და... როგორც შიგადაშიგ სჩვევია, გაოცებისგან ყველას პირი დააღებინა - „ჩემპიონშიპის“ ცხრილში მე-19 ადგილზე მყოფ „იფსვიჩთან“ 1:0 წააგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი 78-ე წუთზე უნგრელმა ფეხბურთელმა **ტამას პრისკინმა** გაიტანა. ცნობისთვის: კვირას „იფსვიჩი“ „ჩელსიმ“ ფეხბურთის ასოციაციის თასზე 7:0 გაანადგურა...

დამარცხებულმა და ნირწამხდარმა **არსენ ვენგერმა** მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ყველაფერი დაღლისა და ფეხბურთელთა ფანტაზიის ამოწურვის ბრალია. ფრანგმა სპეციალისტმა განაცხადა:

„მე თამაშის ხარისხით სასტიკად უკმაყოფილო დავრჩი. უკმაყოფილონი დარჩნენ ფეხბურთელებიც. ჩვენი თამაში, როგორც წესი, სწრაფ და მწვავე პასებზეა აგებული, ასეთი პასები კი დღეს ვერა და ვერ გადავაწოდეთ ერთმანეთს. „იფსვიჩი“ თავს მონდომებითა და ჭკუით იცავდა. გარდა ამისა, ეს გუნდი კონტრშეტევებზე გახლდათ ჩასაფრებული და ამ მხრივაც საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. ერთი სიტყვით, საკუთარ სტანდარტებს ყველა ასპექტში ჩამოვუვარდებოდით. რასაკვირველია, ამ მცირე ჩავარდნას საბოლოოდ დავძლევთ, მაგრამ დღევანდელი ამბის უყურადღებოდ დატოვებაც არ ივარგებს. როგორც ჩანს, გადავიღალეთ. ხუმრობა ხომ არ არის, იანვარში 8 შეხვედრა გვიწევს, ასეთ რეჟიმში კი აუცილებლად გამოგივარდება თამაში, რომელშიც ჩვეულებისამებრ მწვავე ვერ იქნები“.

მარტინ ო'ნილი

● სპონსორები

ავტოკაპელო

კაპელოს მორიგი შარი

როგორც ჩანს, ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგალითად, იტალიაში ასეთ რაღაცებს პრესა ყურადღებას არ აქცევს. ინგლისში კი სხვა კულტურაა და ამიტომაც გახლავთ ამ ქვეყნის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** მუდმივად გახვეული რაღაც... შარში თუ არა, უხერხულობაში. აი, მორიგი მაგალითი:

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა ბრიტანულ ავტომწარმოებელ გიგანტ „ვოქჰოლთან“. ხელშეკრულების საფასური 20 მილიონი ფუნტია - ეს თანხა დაუჯდა „ვოქსჰოლ მოტორსს“ იმისათვის, რომ ინგლისელთა ეროვნული გუნდი მისი ავტომობილებით გადაადგილდეს. ახალი „გადამზიდი სპონსორის“ პრეზენტაციაზე იტალიელმა სპეციალისტმა აღფრთოვანება ვერ დამალა და განაცხადა, რომ „ვოქსჰოლი“ დიდებული ბრენდია. *„ვიმედოვნებ, რომ ის ჩვენთან ძალიან დიდხანს დარჩება“* - თქვა ნაკრების თავკაცმა და... ორიოდ დღის წინ პაპარაცებს საშუალება მისცა გადაეღოთ, თუ როგორ გამოვიდა ცენტრალურ ლონდონში, ნაითსბრიჯზე მდებარე მდიდრული სახლიდან S კლასის „მერსედესით“. რასაკვირველია, საჭესთან მძღოლი იჯდა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ ამბავზე კომენტარისგან თავი შეიკავა, „ვოქსჰოლ მოტორსის“ პრესმდივანმა კი თქვა: *„ჩვენ კარგად გვესმის, რომ ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისათვის „ვოქსჰოლის“ მანქანებით გადაადგილება ყოველთვის მიზანშეწონილი და მოხერხებული არ არის. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანათაგანი ის იყო, რომ მანქანები გადასცემოდა ადამიანებს, რომელთაც მისი დაფასება შეუძლიათ“.*

დაბოლოს, ორიოდ სიტყვით თავად ამ ავტომწარმოებლის შესახებ, რადგან ის საქართველოში პოლპულარული არ არის და ბევრმა შესაძლოა მის შესახებ არც იცოდეს: ვოქსჰოლი ლონდონის უბნის სახელია, ავტოკონცერნი კი 1857 წელს გახლავთ დაარსებული და დღეს „ჯენერალ მოტორსის“ საკუთრებაა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



სანტა კრუსის ამბავი

„მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** „ბლექბერნში“ დაბრუნებასთან ძალიან ახლოს არის. უფრო ზუსტად, საქმე ასეა: კლუბები უკვე შეთანხმდნენ, რომ პარაგვაელი სეზონის ბოლომდე „ბლექბერნში“ ითამაშებს, თუმცა ამ პერიოდში იურიდიულად კვლავ „სიტის“ ფეხბურთელად დარჩება. ახლა საქმე მეორე ეტაპზეა მიმდგარი - დაბრუნდება თუ არა 29 წლის თავდამსხმელი თავის ძველ კლუბში იურიდიულადაც? ეს, ზაფხულზე უნდა მოხდეს, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, თუმცა, ალბათ, ხვდებით, რომ ბლექბერნელთათვის „ისტლენდური ხელფასის“ გადახდა იოლი საქმე არ არის. „სიტიში“ სანტა კრუსი კვირაში 90 ათას ფუნტს იღებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჯერჯერობით ამ თანხის მეტ ნაწილს „ბლექბერნი“ გადაიხდის, ხოლო რა მოხდება მომავალში, მოსაფიქრებელია.

„ბლექბერნი“ „ბარსელონადან“ 19 წლის თავდამსხმელის **რუბენ როჩინას** გადაყვანასაც აპირებს. 800-ათასიანი გარიგებისთვის ბეჭდის დასმას ბევრი არაფერი აკლია.

ლივერპულს სუარესი უნდა

„ლივერპული“ „აიაქსიდან“ **ლუის სუარესის** გადაყვანის შესაძლებლობას განიხილავს. ამსტერდამელებს ფული უჭირთ და მიუხედავად იმისა, რომ ურუგვაელის სანაცვლოდ რიხიანად 28 მილიონ ფუნტს ითხოვენ, 15 მილიონზეც თანახმა იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ ურუგვაელის შეძენა „ტოტენჰემსაც“ უნდოდა, მაგრამ გაირკვა, რომ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელთა შორის ბევრს იგი არ მიაჩნია მათ სტილთან მორგებულ მოთამაშედ და ფიქრობენ, რომ მისი ყიდვა საჩქარო არ არის, ხოლო თუ მანამდე სხვა წაიყვანს, არც მაგით დაიქცევა ქვეყანა.

„ლივერპულს“ საკითხისადმი სხვა დამოკიდებულება აქვს: მერსისაიდელები ღელავენ, რადგან ერთი მხრივ 23 წლის სუარესის დაკარგვა არ უნდათ, მეორე მხრივ კი სატრანსფერო ფანჯრის ბოლომდე აჩქარებაც არ სურთ. მათ, სასურველ ფეხბურთელთა სიაში 17 წლის საუთჰემპტონელი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენიც** უნერიათ, თუმცა, ამ 5 მილიონ ფუნტად შეფასებულ ვარსკვლავბიჭუნას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ უმიზნებს.

დაანებეთ ბექჰემს თავი

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელს **ჰარი რედნაპს**, ალბათ, გული აუჩქარდა, როდესაც დაინახა, როგორ წაიქცა მასთან მოვარჯიშე **დევიდ ბექჰემი** მოედანზე და მარჯვენა ფეხზე ხელი მოიკიდა. მოგეხსენებათ, „ლოს ანჯელეს გელექსის“ ვეტერან ნახევარმცველს ცოტა ხნით პრემიერლიგაში, კერძოდ კი „სფურზში“, უნდოდა თამაში, მაგრამ ამერიკულმა გუნდმა მხოლოდ ვარჯიშის ნება დართო.

საინტერესოა, რომ ჭორები ბექჰემის ტრავმის შესახებ ინტერნეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა. არადა, საგანგაშო არაფერი ყოფილა - ბექჰემს ფეხი ძველმა ბუცმა გადაუხეხა, გადახეხილ ადგილზე ვეტერანს თურმე წყალიც ჩაუდგა და ამიერიდან ის ახალი ფეხსაცმლით აპირებს ვარჯიშს.

ილია ბაბუნაშვილი

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

ბუნდესლიგა ცეცხლოვანი ჯახით იწყება!

შეძლებს ლევერკუზენი დორტმუნდის გამწარებას?

გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრე დღეს, იდეალური მატჩით იწყება - შეხვედრით, რომელიც არა მარტო მე-18 ტურის ცენტრალური მატჩია, არამედ დიდი შანსია, რომ მთლიანად მეორე წრის მთავარი დაპირისპირებაც იყოს: პირველი წრის გამარჯვებული დორტმუნდის „ბორუსია“ „ლევერკუზენს“ სტუმრობს - გუნდს, რომელიც „მაინცთან“ ერთად, მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. შესაძლოა, არ გახსოვდეთ და აუცილებლად უნდა გაგახსენოთ, რომ პირველ ტურში „ლევერკუზენმა“ „ბორუსიას“ „ვესტფალენშტადიონზე“ მეტად უსიამოვნო მარცხი აგემა. მაშინ, 22 აგვისტოს, „ფარმაცევტებმა“ დორტმუნდელები 2:0 რომ დაამარცხეს, ვერავინ იფიქრებდა, რომ ვესტფალიელები სეზონის პირველ ნახევარს გრანდიოზულად ჩაატარებდნენ, მაგრამ BVB-მ იმ მარცხის მერე გრანდიოზული თამაშები ჩაატარა და პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით მოიგო. საერთოდაც, „ბორუსიას“ ჯერ მხოლოდ ორი წაგება აქვს და ერთი პირველი წრის პირველ ტურში „იგემა“, მეორე კი პირველი წრის ბოლო ტურში.

მაშინ, „ლევერკუზენთან“ წაგების მერე, „ბორუსიას“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** თქვა, დიდი ხანია, ჩვენს ფეხბურთელებს ამდენი არაზუსტი პასი არ გაუკეთებიათო და გარკვეულწილად პესიმისტურადაც კი იყო განწყობილი. 22 აგვისტოს უკანასკნელი ოპტიმისტებიც კი ვერ იფიქრებდნენ იმას, რაც „დორტმუნდმა“ იმ წაგების მერე გააკეთა: **იურგენ კლოპის** ბიჭებმა 15-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხვეს და მხოლოდ მე-17 ტურში-ღა დამარცხდნენ („აინტრახტთან“ 0:1) და დღეს BVB-ს უახლოეს მდევრებთან, „მაინცთან“ და „ლევერკუზენთან“ ათქულიანი უპირატესობა აქვთ.

„პირველ ტურში „ლევერკუზენთან“ ძალიან ცუდად ვითამაშეთ და შესაძლებლობების 50 პროცენტიც კი ვერ გამოვავლინეთ, - ამბობს კლოპი და იქვე დასძენს, - *მიუხედავად იმისა, რომ პირველი წრე იდეალურად ჩავატარეთ და დღესაც ლიდერები ვართ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემი გუნდი ლევერკუზენში ფავორიტი იქნება.“*

თუმცა კლოპის მოსაზრება ერთია, მთელი საფეხბურთო გერმანიისა კი - მეორე. „ბორუსიას“ აბსოლუტურად ყველა ექსპერტი ფავორიტად მიიჩნევს. თუმცა იურგენი იმასაც ამბობს, მეორე წრეში ძალიან ბევრ რამეს ვაპირებთო. მწვრთნელი, ფეხბურთელები და ხელმძღვანელები ერიდებიან ხმამაღლა საუბარს იმის შესახებ, რომ დორტმუნდი ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატია. გუნდს არც თავდაჯერება აკლია და არც შემართება, მაგრამ კლოპი მუდმივად იმეორებს, ჩვენ მხოლოდ თამაშიდან თამაშამდე უნდა ვიფიქროთ, ჯერ ადრეა ის, რომ ყოველ ღამე „ვერცხლის სინი“ გვესიზმრებოდესო.

„თუ წავაგებთ, ჩვენი უპირატესობა 7 ქულამდე შემცირდება, თუ მოვიგებთ, 13 ქულამდე გაიზრდება, მაგრამ მე ასეთი კალკულაციები ოდნავადაც არ მაინტერესებს“, - აცხადებს დორტმუნდელთა თავკაცი. საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** კი უფრო კონკრეტდება: *„ჩვენ ვიცით, რაც შეგვიძლია და თუ შესაძლებლობებს გამოვიყენებთ, შეუძლებელი არაფერი იქნება.“*

„ლევერკუზენთან“ და კიდევ 2-3 საწყის მატჩში „ბორუსიას“ ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** არ ეყოლება. იაპონელი ნახევარმცველი აზიის თასზე ასპარეზობს და კლოპი იძულებულია, ფონს გასვლა პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე სცადოს. *„სამწუხაროა, რომ კაგავა ვერ გვეხმარება, მაგრამ მის გარეშეც კარგად უნდა ვიასპარეზოთ. უნდა დავამტკიცოთ, რომ „ბორუსია“ ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული,“* - ეს მაკარე **რომან ვაიდენფელერის** სიტყვებია, რომელიც სრულად გამოჯანმრთელდა და დღეს დორტმუნდელთა კარს აუცილებლად დაიცავს. გამოჯანმრთელდნენ ახალგაზრდა ნახევარმცველი **მარიო გიოტცე** და თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსიც**. თუმცა, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა 90 წუთი ვერ იასპარეზოს, რის გამოც დიდი შანსია, კლოპმა ძირითად შემადგენლობაში პოლონელი ფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკი** ათამაშოს, ბარიოსი კი თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩართოს.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში კაგავას, რომელიც ერთადერთი ცენტრალური თავდამსხმელის უკან თამაშობს ხოლმე, ეგვიპტელი **მოჰამედ ზიდანი** შეცვლის, რომელიც კლოპმა ამ დღეებში ძალიან აქო - ზიდანი თურმე საკმაოდ კარგ ფორმაში ყოფილა. რაც მთავარია, მოედანზე გასასვლელად სრულ მზადყოფნაშია „ბორუსიას“ ლიდერი **ნური შაჰინი**, რომელიც „კიკერის“ შეფასებების მიხედვით პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელია. *„ლევერკუზენს“ უდიდეს პატივს ვცემ, რადგან წლეებია, ეს გუნდი მაღალ დონეზე თამაშობს და ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მეორე წრის დაწყება მოგებით გვინდა. რაც უნდა იყოს, პირველ წრეში „ბაიერთან“ საკუთარ მოედანზე წავაგეთ და ახლა მინიმუმ შურისძიება გვინდა,“* - აცხადებს BVB-ს თურქი ნახევარმცველი.

ბალაკი ჯოკრის როლს ვერ გასცდება

დღევანდელი მატჩისთვის ლევერკუზენელებიც უდიდესი მონდომებით ემზადებიან, რადგან „ბაიერს“ შანსი ეძლევა, „ბორუსიასთან“ ჩამორჩენა შვიდ ქულამდე დაიყვანოს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლიდერი მეორე წრის სტარტზევე გაამწაროს, რაც, ბევრი ექსპერტის აზრით, „ბორუსიას“ საკმაოდ დიდ დარტყმას მიაყენებდა. „ფარმაცევტების“ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** შეგირდებისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს.

მიხაელ ბალაკი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფაქტია, რომ „დორტმუნდთან“ 90 წუთს ვერ გაუძლებს, რის ვამოც ჰაინკესმა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა კიდეც, მიხაელს მხოლოდ ცოტა ხანს ვათამაშებო. ბალაკისგან განსხვავებით, სრულფასოვნად გამოჯანმრთელდა და ფორმის აღდგენაც მოასწრო მეკარე **რენე ადლერმა**, რომელსაც პირველი წრის ბოლო ტურებში ტრავმა ჰქონდა და მას ახალგაზრდა **ფაბიან გიფერი** ცვლიდა. ტრავმის გამო მთელი პირველი წრე გაუცდა ლევერკუზენელთა მთავარ გოლეადორ **შტეფან კისლინგსაც**, რომელიც დღეს სავარაუდოდ სასტარტოში იქნება. ბალაკის პოზიციაზე კი „დონ იუპი“ ან **ლარს ბენდერს** ათამაშებს, ანაც **არტურო ვიდალს**. საინტერესოა, რომ ლარს ბენდერის ტყუპისცალი სვენი „ბორუსიას“ ღირსებას იცავს (ისიც საყრდენი ნახევარმცველია). ამრიგად, დღეს, „ბაი არენას“ მოედნის ცენტრში, შესაძლოა, ტყუპების დუელი ვიხილოთ.

ბოლო წლებში „ლევერკუზენი“ სეზონის პირველ ნახევარს ყოველთვის მაღალ დონეზე ატარებდა, მეორე წრეში კი სერიოზული პრობლემები ექმნებოდა ხოლმე. სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** იმედოვნებს, რომ „ფარმაცევტები“ ამჯერად მაინც შეძლებენ იმას, რომ მეორე წრე მინიმუმ პირველის დარად ჩაატარონ და რეგრესი არ განიცადონ. გუნდის მიზანი კონკრეტული და ნათელია: *„ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გვინდა!“* - ამბობს „რუხი მგელი“. პრობლემა ისაა, რომ სამეულში მოხვედრა კიდევ ძალიან ბევრ გუნდს სურს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ იანვრის სატრანსფერო პერიოდში არც დორტმუნდელებს და არც ლევერკუზენელებს არ უყიდიათ ისეთი ფეხბურთელები, ვისაც შეიძლებოდა, დღეს დებიუტი ჰქონოდა. „ბორუსიამ“ საერთოდ არავინ შეიძინა, „ლევერკუზენმა“ კი ახალგაზრდები, **ჰასოგაი** და **ბელარაბი** იყიდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ სამომავლო ინვესტიციაა...

სავარაუდო შემადგენლობები

ლევერკუზენი (4-4-2): ადლერი - შვააბი, მ. ფრიდრიხი, რანარტცი, კასტრო - რენატო, ლ. ბენდერი, როლფესი, სემი - ჰელმესი, კისლინგი.

ბორუსია დ. (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე (ან ზიდანი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი (ან ბარიოსი).

გოტფრიდ ლენცი

22 აგვისტოს, ლევერკუზენმა დორტმუნდში 2:0 მოიგო. შვეიცარიელმა გარემარბმა ტრანკუილო ბარნეტამ ანგარიში ამ დარტყმით მე-19 წუთზე გახსნა

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

ეტორ გენუელთა გარემოცვაში

ინტერმა თასზეც ივარგა

„ინტერის“ წარმატებული სეზონ იტალიის თასზეც გაგრძელდა, სადაც მილანურმა გრანდმა „ჯენოა“ დაამარცხა და მეოთხედფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. მას შემდეგ, რაც **ლეონარდო** ჩაუდგა გუნდს სათავეში, ეს მიჯრით მოპოვებული მესამე გამარჯვებაა, რაც ბუნებრივია გულშემატკივრებს ძალიან ახარებთ. ყველა სიკეთესთან ერთად, ერთი საოცარი ამბავიც მოხდა - „ნერაძურის“ ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად სამმა იტალიელმა ფეხბურთელმა იასპარეზი. დიახ, ეს მართლაც ფანტასტიკური ამბავი „ჯენოასთან“ მატჩში მოხდა და ოთხი ნომინალური მცველიდან სამი სწორედ იტალიელი იყო: **მარკო მატერაცი, დავიდე სანტონი** და **ანდრეა რანოკია**. ეს უკანასკნელი პირველად მოხვდა „ინტერის“ ძირითად თერთმეტეულში და ეს ამბავი ერთი უხეში შეცდომით აღნიშნა, რომელზეც ქვემოთ ვიტყვით...

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ასევე გაგრძელდა მთელი 90 წუთის განმავლობაში. ლეონარდომ აშკარად სწრაფ გოლზე დაგეშა შეგირდები და შედეგსაც მიაღწია - მე-15 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **სალი მუნტარიმ** გრძელი გადაცემით **სამუელ ეტოო** მოძებნა, ვინაც ორ მცველს აუარა გვერდი და ზუსტი დარტყმით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ჩარჩოში. აღსანიშნავია, რომ მუნტარი გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობდა და უშუალო მოვალეობას თავი კარგად გაართვა. არადა, წარმოგედგინათ აქამდე მუნტარი პლეიმეიქერად? - ვგონებთ, ამაზე თავადაც არ უფიქრია. სათასო პაექრობებში მწვრთნელები ხშირად მიმართავენ ექსპერიმენტებს და ლეონარდომაც ასეთი ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო - არ არის გამორიცხული, განელი ფეხბურთელი მომავალშიც ვიხილოთ გამთამაშებლის პოზიციაზე. მეორე გოლი მილანელებმა ტაიმის მიწურულს გაიტანეს და ისევ ეტოომ გამოიჩინა თავი - შესანიშნავად მიიღო ბურთი, ერთი მოძრაობით ჩამოიცილა მეტოქე და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა.

ჩამქრალი ინტრიგა გენუელებმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე აანთეს, როდესაც თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. პენალტი **რუდოლფმა** მოინადირა, ვის წინააღმდეგაც ანდრეა რანოკიამ იუხეშა - უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი კი სისრულეში **ხარჯამ** მოიყვანა. მილანელებმა მალევე აღადგინეს ორბურთიანი უპირატესობა და ამჯერად, **მაკდონალდ მარიგამ** გამოიჩინა თავი. 59-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მილანელებმა მორიგი კუთხური ჩაანოდეს, მარიგამ კი მაღალ ნახტომში დაჰკრა ბურთს თავური და გენუელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მოახერხეს, უფრო მეტისთვის კი არც დრო ეყოთ და არც საშემსრულებლო ოსტატობა.

მატჩის შემდეგ, ჟურნალისტთა ყურადღების ეპიცენტრში **დავიდე ბალარდინი** მოხვდა, რომელმაც არბიტრი მიკერძოებაში დაადანაშაულა. მოვუსმინოთ „ჯენოას“ თავკაცს: *„მართალია, ტერიტორიულ უპირატესობას „ინტერი“ ფლობდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით. ცუდად ნამდვილად არ გვიასპარეზია, მაგრამ მატჩის არბიტრმა ყველა სადავო ეპიზოდში მასპინძელთა მხარე დაიჭირა. გასაგებია, რომ თერთმეტმეტრიანით გავქვითეთ ერთი ბურთი, მაგრამ იმ ეპიზოდში თამაშის წესის დარღვევა აშკარა იყო - საკამათო მომენტებში კი არბიტრი ყოველთვის „ინტერის“ მხარეს იჭერდა“.*

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დაეთანხმა ლეონარდო და დასძინა, რომ მისმა გუნდმა მომდევნო ეტაპზე გასვლა ალალად დაიმსახურა. ბრაზილიელი სპეციალისტის თქმით, ორმაგად სასიამოვნოა, რომ „ინტერი“ გამარჯვებებს სანახაობრივი ფეხბურთის დემონსტრირებით აღწევს.

კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა „რენცო ბარბერაზე“ გაირკვა, სადაც „პალერმომ“ „კიევოს“ უმასპინძლა. ამ შემთხვევაშიც ფავორიტმა გაიმარჯვა და აქაც მინიმალური სხვაობით. შეხვედრა ორმხრივ იერიშებში წარიმართა და გატანა ვერონელებსაც შეეძლოთ, მაგრამ ფორტუნამ მასპინძელს გაუმართლა - შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე ათიოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც სიცილიელებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ეს მისია საკუთარ თავზე **ფაბრიციო მიკოლიმ** აიღო, ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა და შედეგიანი დარტყმით თამაშის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

სერია A-ს სატურნირო ცხრილში „პალერმოს“ მეხუთე ადგილი უკავია და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. მიუხედავად ამისა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **დელიო როსი** სათასო პაექრობებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და შეეცდება, გულშემატკივრები ტროფეით გაახაროს: *„შეგვიძლია თუ არა თასის მოგება? - რატომაც არა, ამის საკმაოდ დიდი შანსი არსებობს. „პალერმოს“ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია და ამაში არაერთხელ დარწმუნდებოდით. „კიევოსთან“ რთული მატჩი გადავიტანეთ და საწადელს მივაღწიეთ. დიახაც, ჩვენი მიზანი თასის მოპოვებაა, ეს შესანიშნავი საჩუქარი იქნებოდა გულშემატკივრებისთვის“.*

ინტერი–ჯენოა 3:2

ინტერი (4-3-1-2): კასტელაცი - მაიკონი (89. რივასი), რანოკია, მატერაცი, სანტონი - კამბიასო, მარიგა, ძანეტი - მუნტარი (58. ბიაბიანი) - პანდევი, ეტოო (70. ობი).

ჯენოა (4-4-2): სკარპი - რაფინია, დაინელი, მორეტი, კრიშიტო - იელენიჩი (46. მესტო), კუჩკა, ველოზო, ხარჯა (63. პალასინო) - რუდოლფი, ბოაკე.

გოლები: 1:0 ეტოო (15), 2:0 ეტოო (43), 2:1 ხარჯა (54-პენ.), 3:1 მარიგა (59), 3:2 სკული (90).

პალერმო–კიევო 1:0

პალერმო (4-3-2-1): სირიგუ - კასანი (86. მუნოსი), ანდელკოვიჩი, ბოვო, გარსია (67. დარმიანი) - კურტიჩი (64. მილიაჩო), ლივერანი, ნოჩერინო - ილიჩიჩი, კასამი - მიკოლი.

კიევო (4-4-2): სკუიცი - სარდო (90. დენგუე), მორერო, ანდრეოლი, იოკიჩი (77. რინკონი) - გუანა, მემუშა, მარკოლინი, ბენტივოლიო (80. კირილოვი) - მოსკარდელი, გრანოჩე.

გოლი: 1:0 მიკოლი (80-პენ.).

ლაშა წიკლაური

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან დერ ვილი ჩელსის საშიზნეში

“ჩელსის” სპორტული დირექტორის, **ფრენკ არნესენის** განცხადებით, მისი კლუბი ყველაფერს ილონებს “აიაქსისა” და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მარჯვენა მცველის, **გრეგორი ვან დერ ვილის** შესაძენად. კარლო ანჩელოტის პორტუგალიელების, **ჟოზე ბოსინგვასა** და **პაულუ ფერეირას** თამაში არ აკმაყოფილებს და ამ პოზიციის გაძლიერება ამიტომაც განუზრახავს.

22 წლის ვან დერ ვილს მსურველები არ აკლია. “ჩელსის” გარდა, მისი გადაბირება “მანჩესტერ იუნაიტედს”, “არსენალსა” და “ბაიერნს” სწადიათ. როგორც ამბობენ, გრეგორი “აიაქსს” ზაფხულში აუცილებლად დატოვებს, იანვარში კი მისი ამსტერდამიდან წასვლა ნაკლებად სავარაუდოა. ფინანსური პრობლემების მქონე “აიაქსისთვის” ვან დერ ვილის გაყიდვა მნიშვნელოვანი შეღავათი უნდა იყოს.

მილანს ბოსინგვა იანვარშივე უნდა

იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას “მილანის” მთავარი სამიზნე “ჩელსის” პორტუგალიელი მარჯვენა მცველი **ჟოზე ბოსინგვა** იქნება. ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა საკმაოდ მაღალია, რადგან ბოსინგვას “არისტოკრატებთან” კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და “ჩელსის” ხელმძღვანელობას ბუნებრივია, ურჩევნია, იგი უსასყიდლოდ არ დათმოს. 28 წლის ბოსინგვას ფასი დაახლოებით 16 მილიონი გირვანქაა, მაგრამ ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო “მილანი” ამაზე გაცილებით ნაკლების დახარჯვას იმედოვნებს.

ბოსინგვა “ჩელსიში” 2008 წელს “პორტუდან” გადავიდა და თავიდან ლონდონელთათვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, მაგრამ მერე მძიმე ტრავმა მიიღო და ძველებურად ძლიერად ველარ თამაშობს.

ორტეგა რივერიდან ნავიდა

არიელ ორტეგამ “რივერ პლეიტი” დატოვა და იჯარით “ოლ ბოისში” ითამაშებს. იჯარის ვადა ექვსი თვით განისაზღვრა. 36 წლის ორტეგა, რომელსაც არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 97 მატჩი ჩაუტარებია და 19 გოლი გაუტანია, ახალ კლუბში ნახევარნლიანი ასპარეზობისთვის 275 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

დი ნატალე საეჭვოა, როლანდო - რეალური

“იუვენტუსი” **ანტონიო დი ნატალეს** შეძენას ისევ ცდილობს. “უდინეზეს” ლიდერმა გასულ ზაფხულს ტურინელებს უარი უთხრა, მაგრამ “იუვე” ფარ-ხმალს არ ყრის, განსაკუთრებით **ფაბიო კვალიარელას** მძიმე ტრავმის შემდეგ გააქტიურდა.

დი ნატალეს იტალიის ეროვნულ ნაკრებში 36 მატჩი ჩაუტარებია და 10 გოლი გაუტანია, იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში კი 18 შეხვედრაში თავი 13-ჯერ გამოიჩინა. მისი სატრანსფერო ღირებულება 5,5 მილიონ ევროს შეადგენს. 33 წლის დი ნატალე “უდინეზეში” 2004 წლიდან თამაშობს.

იუვენტუსის კიდევ ერთი საძიებელი მცველი **როლანდოა**. თავდაპირველად, საუბრობდნენ, რომ 25 წლის როლანდოს “იუვე” მიმდინარე წლის ზაფხულში შეიძენდა, მაგრამ ტურინელთა სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** აცხადებს, რომ ახალი ცენტრალური მცველი იანვარშივე სჭირდება. თუკი აქამდე “ბებერ ქალბატონში” გადასვლის მთავარ კანდიდატებად ვოლფსბურგელ **ანდრეა ბარძალისა** და ლივერპულელ **დანიელ აგერს** ასახელებდნენ, დღეს უპირველესი პრეტენდენტი უკვე როლანდოა.

მას “პორტუსთან” კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული. რონალდო 10 მილიონი ევრო ღირს. იგი “პორტუში” 2008 წელს გადავიდა “ბელენენსუშიდან”, უმოკლეს დროში იქცა ვარსკვლავადაც იქცა და პორტუგალიის ნაკრებშიც დამკვიდრდა.

ლევან ჯანელიძაშვილი

ანტონიო დი ნატალე

უცხოური ფეხბურთი

● სამეფო თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

ოქროს ბურთის „პრეზენტაცია“ კამპ ნოუზე

ლიგაა თუ კოპა, ბარსა მაგარია

ოთხშაბათს ესპანეთის ყველაზე ძველი საფეხბურთო ტურნირის, „სამეფო თასის“ ორი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. ორივე უხვგოლიანი გამოდგა, თუკი „ბარსელონამ“ პირველივე შეხვედრაში გადაწყვიტა „ბეტისთან“ ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი, „ვილიარეალსა“ და „სევილიას“ კიდევ ერთი საინტერესო და გადამწყვეტი პაექრობა ელით.

სეგუნდადივიზიონის ლიდერ „ბეტისთან“ „ოქროს ბურთის“ ორგზის მფლობელმა **ლეო მესიმ** 44-ე წუთზე რომ მოხსნა გოლთა გუდას პირი, მანამდე არ დაწყნარდა, სანამ ამ დაპირისპირებაში საპასუხო მატჩს მნიშვნელობა არ დაეკარგა. არგენტინელმა ჯადოქარმა ჰეთთრიკი შეასრულა, „ბარსამ“ კი ანდალუსიელებს „რეალის ანგარიშით“, 5:0 მოუგო.

ამ თამაშით ლეომ კიდევ ერთხელ ათქმევინა „მარკას“, ეს ბიჭი სხვა პლანეტიდანააო. ეს მესის კარიერაში მე-9 ჰეთთრიკია, როგორც ჩანს, მისი პოტენციალი ამოუწურავია, რომ არა სტუმართა გოლკიპერის, **კასტო ბარიგას** კარგი თამაში, მესი და კომპანია კიდევ რამდენიმე გოლს გაიტანდა. თამაშის წინ „ბეტისის“ თავკაცი **პეპე მელ პერესი** ირწმუნებოდა, რომ მისი გუნდი „კამპ ნოუზე“ შეუტევდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწვრთნელმა პირობა შეასრულა. ალბათ, ამიტომაც დაისაჯა მისი გუნდი ასე მწარედ.

თამაში იმით დაიწყო, რომ მესიმ **ანდრეს ინიესტასთან** და **ჩავისთან** ერთად გამოიტანა ძვირფასი ნივთი და მას „კამპ ნოუ“ ოვაციებით შეხვდა. „ბეტისის“ ორი ფორვარდი, **ხორხე მოლინა** და **რუბენ კასტრო** მართლაც სახიფათოდ უტევდა, განსაკუთრებით ეს პირველ მათგანზე ითქმის, რომელმაც ერთხელ ხელსაყრელი პოზიციიდან ოდნავ ააცილა ბურთი კარს, მეორედ კი „ბარსა“ სარეზერვო მეკარე **პინტომ** იხსნა. არც მასპინძლები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, პირველ ნახევარ საათში **დავიდ ვილიამ** ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს. „ბეტისის“ გმირობანა კი I ტაიმის ბოლოსწინა წუთზე დასრულდა, როცა მესიმ გახსნა ანგარიში. არგენტინელმა ინიესტას პასი მიიღო და წინ გამოვარდნილ კასტოს ბურთი თავზე გადაუგდო. „ბეტისი“ სულაც არ დანებდა, ტაიმის დამატებულ წუთზე კასტრომ ხარიხას გაარტყა ბურთი. იმავე ფორვარდმა მეორე ტაიმის პირველ წუთებში პინტოს მზადყოფნა ორჯერ შეამოწმა.

62-ე წუთზე მესიმ ვილიას პასი მიიღო, პირველი ცდით ვერ აჯობა კასტოს, მაგრამ თავადვე დაამატა და „ბარსა“ ორი ბურთით დააწინაურა. მალე არგენტინელმა კასტო კიდევ ერთხელ გაამწარა. ამ სეზონში მესიმ ყველა შეჯიბრებაში 31 გოლი გაიტანა, 2010 წელს მის ანგარიშზე 6 ჰეთთრიკია, წლეულს კი სამი გოლი ლეომ პირველად გაიტანა. შემდეგ „ბეტისის“ განადგურება „ოქროს ბურთის“ მფლობელის თანაგუნდელებმა დაასრულეს, ჯერ **დანი ალვეშის** პასით **პედრომ** იხეირა, შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა **სეიდუ კეიტამ** გაიტანა.

ამ მატჩში ერთი სკანდალიც მოხდა - ერთმანეთს „ბარსელონას“ მცველებმა „დააყარეს“ - მორიგი ეპიზოდის გარჩევისას, დანი ალვეშმა და **ჟერარდ პიკემ** იკინკლავეს. არა, თანაგუნდელები ერთმანეთს ხელით არ შეხებიან, მაგრამ ბრაზილიელმა კატალონიელის შენიშვნა ისე იუკადრისა, რომ კარგა ხანს სდია, მაგრამ საჩხუბრად მაინც ვერ გამოინვია.

ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა): *„ეს ის გუნდია, რომლითაც უნდა იამაყო. ჩვენ თითქმის ნახევარფინალში ვართ, მაგრამ ჩვენი მხრიდან არასპორტული საქციელი იქნება, რომ საპასუხო მატჩშიც კარგად არ ვითამაშოთ“.*

პეპე მელი (ბეტისი): *„პირველი 50 წუთი ასეთი კარგი იყო ჩვენი გუნდისთვის. ჩვენ რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით, პრიმერას საშუალო კლუბს ასეთი სიმამაცე არ ჰყოფნის „კამპ ნოუზე“. არაფერი საწყენი არ არის, ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან წავაგეთ“.*

გაცილებით საინტერესო სცენარით წარიმართა დღის მეორე მეოთხედფინალური მატჩი - „ელ მადრიგალზე“ „ვილიარეალი“ „სევილიას“ მასპინძლობდა. თავიდან ისე წარიმართა მატჩი, რომ კინაღამ თასის მფლობელი ნაადრევად გამოვიტირეთ, მაგრამ საბოლოოდ ანდალუსიელებმა 6-გოლიან თრილერში სასურველ ფრეს მიაღწიეს - 3:3.

თამაშის დასაწყისში შუახაზი „სევილიამ“ მოიგო, რაც **ზოკორასა** და **რომარიკის** დამსახურებაა. ანგარიში კი „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა“ გახსნა - 26-ე წუთზე თავი დისკვალიფიკაციას გადარჩენილმა **რუბენ კანმ** გაიტანა, ნახევარმცველმა **სანტი კასორლას** დარტყმულს დაამატა. შეგახსენებთ, რომ კანის, წესით, არ უნდა ეთამაშა - კვირას მან ნყლით სავსე ბოთლი ესროლა **ჟოზე მოურინიოს** სათადარიგოთა სკამიდან, მაგრამ თამაშის წინ საშეჯიბრო კომიტეტმა წითელი ბარათი კანის ყვითლით შეუცვალა. მალე **ჯუზეპე როსიმ** კიდევ უფრო დაანინაურა მასპინძლები (რიკოშეტის წყალობით). რომ არა **ალვარო ნეგრედო**, „სევილიას“ ცუდი დღე დაადგებოდა, ალვარომ კი ტაიმის ბოლოსკენ რომარიკის ჩაწოდებული დიდებულად გაიჩერა და მცველთან ჭიდილში დაარტყა მასპინძელთა კარში - 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ასისტენტობა მსოფლიოს ჩემპიონმა **ხოან კაპდევილამ** იკისრა, გოლი კი არგენტინელმა **მარკო რუბენმა** გაიტანა, „წყალქვეშა ნავი“ ისევ ორბურთიანი უპირატესობით დანინაურდა. ამის შემდეგ „სევილია“ ნამდვილ შტურმზე გადავიდა, ჩანდა, რომ „ვილიარეალი“ ვერ გაუძლებდა სტუმართა შეტევებს. რომარიკმა და **კაპელმა** დიდებულად გაითამაშეს კედელი, ამ უკანასკნელის ჩაწოდებულს კი ნეგრედომ თავური დაუხვედრა. მატჩის მინურულს ანდალუსიელებმა მესამეც გაიტანეს, ეს მცველმა **ალექსისმა** შეძლო - 3:3. საპასუხო მატჩის წინ, რომელიც 19 იანვარს „სანჩეს პისხუანზე“ გაიმართება, უკვე „სევილიაა“ ფავორიტი.

ხუან კარლოს გარიდო (ვილიარეალი): *„ნეგატიური შედეგია, ფრე და თან ამდენი გოლი გავუშვით შინ. თავიდან დავინყეთ ფრთხილად და ორგანიზებულად დაცვის ხაზში, შემდეგ თამაშის ხასიათი შეიცვალა, ჩვენ ორი გოლი გავიტანეთ. ტაიმის მინურულს ნეგრედოს გოლმა კი ბიჭებს თვითრწმენა დაუკარგა, 3:1-ზე თამაშის კონტროლის ხელში აღება შეგვეძლო, მაგრამ ძალიან ცუდად ვითამაშეთ დაცვაში. და მაინც, მსაჯს რუბენის გოლი რომ არ გაეუქმებინა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. არ ვიცი, რატომ ერჩიან მსაჯები „ვილიარეალს“.*

გრეგორიო მანსანო (სევილია): *„ვილიარეალი“ ისეთი გუნდია, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, აი, რატომ ვარ კმაყოფილი ამ შედეგით. ჩვენი მიზანი იყო გოლი გაგვეტანა და შემდეგ მოგება ზე გვეფიქრა, მართალია, გეგმა ვერ შესრულდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ახლა ჩემი მთავარი ამოცანაა, დაცვას მივხედო, რაღაც ბევრ გოლს ვუშვებთ ბოლო დროს“.*

ვილიარეალი–სევილია 3:3

ვილიარეალი (4-4-2): ხ. კარლოსი (45. დ. ლოპესი) - მარიო, კატალა, მუსაჩიო, კაპდევილა - კანი, ბ. ვალერო, მატილია (71. გონსალო), კასორლა - მ. რუბენი, როსი.

სევილია (4-2-3-1): ხ. ვარასი - დაბო, ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო - ზოკორა, რომარიკი, ხ. ნავასი (83. აკოსტა), პეროტი (70. კანუტე), კაპელი - ნეგრედო (89. ჩიგარინი).

გოლები: 1:0 კანი (24), 2:0 როსი (29), 2:1 ნეგრედო (39), 3:1 მ. რუბენი (55), 3:2 ნეგრედო (60), 3:3 ალექსისი (88)

ბარსელონა–ბეტისი 5:0

ბარსელონა (4-3-3): პინტო - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (79. ადელაი), მესი (85. ჟეფრენი), ვილია (74. კეიტა).

ბეტისი (4-4-2): კასტრო - ისიდორო, როკე, არსუ, ნაჩო - სევილია, ბენაგბი (57. ხუანდე), ირინეი (66. ხუანმა), ისრაელი (77. ხ. პერეირა) - რ. კასტრო, მოლინა.

გოლები: 1:0 მესი (44), 2:0 მესი (62), 3:0 მესი (73), 4:0 პედრო (75), 5:0 კეიტა (82)

● ტრანსფერი

ხუანფრანმ: ჩემი აწმყო და მომავალი ატლეტიკოა

გუშინ „ატლეტიკომ“ ახალი ფეხბურთელი წარადგინა - **ხუანფრანმა** მადრიდული კლუბის ფორმა მოირგო. „ოსასუნას“ ან უკვე ყოფილმა ნახევარმცველმა „ვისენტე კალდერონზე“ პირველი პრესკონფერენცია მოაწყო. 26 წლის ფეხბურთელმა თქვა: *„კლუბის მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი, მათ ძალიან დიდი დაინტერესება გამოავლინეს ჩემს შესაძენად. ჩემი აწყმო და მომავალი „ატლეტიკოა“. ჩემი პირველი ამოცანა თასიდან „რეალის“ გამოგდებაა, ძალიან ვიამაყებ, როცა ამ მაისურას მოვირგებ“*, - განაცხადა ხუანფრანმა. შეგახსენებთ, რომ პრესკონფერენცია „რეალთან“ პირველი მეოთხედფინალური მატჩის წინ გაიმართა. ბევრს საუბრობენ, რომ ხუანფრანმა გუნდში „ბეშიქთაშში“ წასული **სიმაო საბროსა** უნდა შეცვალოს. აი, რა აზრისაა ამაზე თავად ხუანფრანი: *„სიმაო გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, მაგრამ მე არ ვარ სიმაო, მე ხუანფრანი ვარ. შევეცდები კლუბს გამოვადგე“.*

ხუანფრანმა „ატლეტიკოსთან“ 2015 წლის ზაფხულამდე გააფორმა ხელშეკრულება, „ოსასუნა“ მის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს მიიღებს. ხუან ფრანსისკო ტორესი ვალენსიის მხარიდანაა წარმოშობით. ის „რეალის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. 2004 წლიდან მან 6-ჯერ მოირგო „სამეფო კლუბის“ ფორმა, უთამაშია „ესპანიოლშიც“, „ოსასუნას“ შემადგენლობაში კი 2006 წლიდანაა (148 თამაში, 11 გოლი). ხუანფრანს ესპანეთის ყველა ასაკობრივ გუნდში უთამაშია, გარდა ეროვნული ნაკრებისა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ამბები

სისინიო ვილიარეალში

სისინიო „რომადან“ იჯარით „ვილიარეალში“ გადადის. ასე მოაგვარა „წყალქვეშა ნავის“ დამრიგებელმა **ხუან კარლოს გარიდომ ანხელ ლოპესის** ტრავმით გამოწვეული პრობლემა დაცვის მარჯვენა ფლანგზე. 30 წლის ბრაზილიელი მცველი სეზონის ბოლომდე გამოკლებულ ანხელ ლოპესს შეცვლის პრიმერას III დამკვიდრებულ კლუბში. სისინიომ შარშან იჯარით „სან პაულუში“ ითამაშა, რადგან „რომაში“ სასტარტოში ვერ ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ სისინიოსთვის ლა ლიგა ახალი ხილი სულაც არ არის, მან ორი სეზონი მადრიდის „რეალში“ გაატარა.

ბრეზეგე ლაციოში არ გადავა

ასეთი განცხადება გააკეთა **„ერკულესის“** ფრანგი თავდამსხმელის აგენტმა **ანტონიო კალიენდომ**. 33 წლის **დავიდ ტრეზეგე** შესანიშნავად შეეწყო ვალენსიურ კლუბს, მაგრამ პრობლემა იგივეა, რამაც **როისტონ დრენტე** აიძულა გაფიცულიყო - *„ერკულესი“ ფინანსურ კრიზისშია და თავის ტოპვარსკვლავებს ხელფასს დროულად ვერ უხდის. „არ გამოვრიცხავ, რომ დავიდი იტალიაში დაბრუნდეს, მაგრამ ეს გუნდი „ლაციო“ არ იქნება“*, - განუცხადა კალიენდომ „ლა ლაციო სიამონოის“.

ინტერვიუ. მათიას ზამერი

კლოპი მე მგავს, ბორუსიას ჩემპიონობა გარდაუვალია!

უკანასკნელი მწვრთნელი, რომელმაც დორტმუნდი გააჩემპიონა, დარწმუნებულია, რომ ბორუსიას ვერცხლის სინს ვერავინ წაართმევს

გაიმეორებს იურგენ კლოპი (მარცხნივ) მათიას ზამერის მიღწევას? ზამერმა 2002 წელს დორტმუნდელები გააჩემპიონა. BVB-ს „ვერცხლის სინი" მას მერე აღარ დაუსაკუთრებია

დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელებიდან მათიას ზამერი უკანასკნელი იყო, ვინც ვესტფალიურ კლუბს გერმანიის ჩემპიონატი მოაგებინა. BVB-მ „ვერცხლის სინი" ბოლოს 2002 წლის 4 მაისს მოიპოვა და მას მერე „შავ-ყვითლები" არასდროს ყოფილან ჩემპიონობასთან ისე ახლოს, როგორც ახლა არიან. მართალია, წინ მთელი მეორე წრეა (17 ტური), მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ბორუსიამ" პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით მოიგო, ცხადი ხდება, რომ ეს გუნდი ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატია.

„ლევერკუზენისა" და „დორტმუნდის" მატჩის წინ „ბილდმა" ზამერს, რომელიც დღეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია, საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ზამერი გვიხსნის, რატომ და როგორ შეძლებს BVB-ს ამჟამინდელი თავკაცი იურგენ კლოპი მისი მიღწევის გამეორებას.

- ჰერ ზამერ, გიკვირთ თუ არა ის, რომ თქვენი ყოფილი გუნდი მიმდინარე სეზონში ასე კარგად ასპარეზობს და ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატია?

- „ბორუსიამ" ამ სეზონში ყველა გააოცა, მათ შორის მეც. ვფიქრობდი, რომ დორტმუნდელები კარგ სეზონს ჩაატარებდნენ, მაგრამ იმას კი ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, რომ პირველ წრეში ასეთი დომინანტები იქნებოდნენ. რაც ყველაზე მთავარი და საინტერესოა, „დორტმუნდი" ამ სეზონში არა მარტო წარმატებულია, არამედ ძალიან კარგ, შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთსაც თამაშობს.

- შეგვიძლია, რომ დორტმუნდელებს უკვე მივულოცოთ გერმანიის ჩემპიონობა? თუ ფიქრობთ, რომ მეორე წრეში „ბორუსიას" მაინც შეექმნება პრობლემები?

- გაუთვალისწინებელი რამ უნდა მოხდეს, „ბორუსიას" პრობლემები რომ შეექმნას და გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდეს. ჩემი აზრით, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ყველაფერი ის, რაც ამ გუნდმა პირველ წრეში გააკეთა. არ გამოვრიცხავ, რომ დორტმუნდელებმა მეორე წრეში რამდენიმე, უფრო სწორად, პირველ წრეზე მეტი თამაში წააგონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და BVB 2002 წლის მერე ჩემპიონობას პირველად იზეიმებს.

- მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მიუნხენის „ბაიერნში" მაინც ოცნებობენ „ვერცხლის სინის" შენარჩუნებაზე. არადა, რეკორდმაისტერი „დორტმუნდს" 14 ქულით ჩამორჩება...

- მე კი ვფიქრობ, რომ „ბაიერნიცა" და „ლევერკუზენიც", ამ სეზონში მხოლოდ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ, რათა პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ და საკვალიფიკაციო რაუნდში თამაში არ მოუხდეთ. არა მგონია, რომ „ბორუსიას" კონკურენტებმა ამაზე მეტი შეძლონ, რადგან იურგენ კლოპის გუნდი სატურნირო ცხრილს ზედმეტად დიდი უპირატესობით ლიდერობს.

- იურგენ კლოპის მუშაობას როგორ აფასებთ?

- ორი აზრი არ არსებობს, კლოპი იდეალურად მუშაობს. ყველაფერთან ერთად, იურგენი ძალიან ემოციური ადამიანია და ხანდახან საკუთარ თავს მაგონებს ხოლმე. ხომ გახსოვთ, მწვრთნელობის დროს მეც ძალიან იმპულსური ვიყავი. სხვათა შორის, დორტმუნდის „ბორუსიას" სწორედ ასეთი სპეციალისტები უხდება.

- ამას წინათ „ბორუსიას" და უკვე გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი მარიო გიოტცე ქებით ცაში აიყვანეთ. როგორ ფიქრობთ, გიოტცე მართლა შეძლებს ფეხბურთის უმაღლეს დონეზე თამაშს?

- დიდი ხანია, ამ ბიჭს ვაკვირდები და ნებისმიერი სახის ანალიზის მერე ვხვდები, რომ ეს ბიჭი ყველა ლოგიკით უდიდესი ფეხბურთელი უნდა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მას ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. დიდი ხანია, გერმანიას ამხელა პოტენციალის მქონე ტალანტი არ ჰყოლია. გიოტცეში ყველაზე მეტად ის მხიბლავს, რომ მომენტებში რაღაც ორიგინალურის გაკეთება და ამით თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ამასთან, მარიო ძალიან კარგ ოჯახშია გაზრდილი და უკვე ზუსტად ვიცი, რომ თავში არაფერი აუვარდება. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველას ძალიან უნდა გვიხაროდეს, რომ ასეთი ტალანტი გვყავს. გერმანიისთვის ის ისეთივე ფიგურა უნდა გახდეს, როგორიც უეინ რუნი გახდა ინგლისში, ან სესკ ფაბრეგასი ესპანეთში...

გოტფრიდ ლენცი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, როგორც რონალდო...

ლონდონის „არსენალის" განაპირა შემტევი **ველინგტონ სილვა** სეზონის დარჩენილ ნახევარს ლა ლიგაში გაატარებს. 18 წლის ბრაზილიელი ვალენსიაშია, სადაც „ლევანტესთან" გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება. პრემირლიგის მოყვარულები ასეთ ფეხბურთელს „არსენალში" ვერ გაიხსენებენ - ბრაზილიის 17 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა 2009 წლის 31 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება „არსენალთან", რომელიც ძალაში მაშინ უნდა შესულიყო, როცა ბრაზილიელი 18 წლის გახდებოდა. ველინგტონმა რამდენჯერმე გამოიჩინა თავი „არსენალის" სარეზერვო გუნდში, მაგრამ ვერაფრით მიიღო ინგლისში მუშაობის უფლება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ნიჭიერი შემტევი ლა ლიგაში გადადის.

გუშინ ველინგტონმა შემდეგი განუცხადა ჟურნალისტებს: „ძალიან გახარებული ვარ, მინდა კარგად წარმოვაჩინო თავი. არ ვიცი, რა სიხშირით მათამაშებენ ახალ გუნდში, მაგრამ შევეცდები, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო", - განაცხადა ბრაზილიელმა, რომელსაც, როგორც ჩანს, მაინცამაინც არ ანუხებს თავმდაბლობა: „მე რონალდოს სტილის ვარ, მასავით სწრაფი და გოლზე დაგეშილი", - თქვა ბრაზილიელმა ოფიციალური წარდგინებისას.

მილიგო მალაგაში

გადაწყდა - „ბარსელონას" არგენტინელი მცველი **გაბრიელ მილიტო** 6 თვით იჯარით ითამაშებს „მალაგაში". „ლა როსალედაზე" გადაბარგების წინ მილიტომ ხელფასის საკითხი შეათანხმა ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელობასთან. ასე რომ, სეზონის მეორე ნახევარში მილიტო **მანუელ პელეგრინის** გუნდს ცხრილის ფსკერიდან თავის დაღწევაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ 30 წლის მცველის აყვანა იჯარით „ნაპოლისა" და „სარაგოსასაც" სურდათ. „მალაგაში" მილიტო **მარტინ დემიკელისთან** ერთად დაცვის არგენტინულ წყვილს შექმნის. გაბი მილიტოს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რათა „კოპა ამერიკისთვის" ეროვნულ ნაკრებში ადგილი არ დაკარგოს, მას „ბარსელონასთან" 2012 წლის ზაფხულამდე აკავშირებს კონტრაქტი. შეთანხმებას რამდენიმე დეტალი აკლია, რომლის შემდეგაც იჯარა ოფიციალურად გამოცხადდება.

ახალი სახე სპორტინგში

გუშინ ხიხონის „სპორტინგმა" ახალი ნახევარმცველი **ანდრე კასტრო** წარადგინა. 22 წლის ფეხბურთელი ლა ლიგაში პორტუგალიური ჩემპიონატიდან გადავიდა, ის სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს „სპორტინგში", ისე კი „პორტუს" ეკუთვნის. „პორტუს" შემადგენლობაში ანდრე კასტროს დებიუტი 2007 წელს შედგა. პორტუგალიელს 16-ნომრიანი მაისურა გადასცეს. ანდრე კასტროს „მუშა" ნახევარმცველად ახასიათებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იაკუბუ ლესტერში გაანათხოვრეს

"ევერტონის" ნიგერიელი ფორვარდი **იაკუბუ აიეგბენი** იჯარის წესით კარიერას "ლესტერში" გააგრძელებს. სურვილის შემთხვევაში, ზაფხულში "ლესტერს" მისი გამოსყიდვაც შეეძლება. 28 წლის იაკუბუს ატმოსფეროს შეცვლა თავად სურდა, რადგან ლივერპულში სათამაშო დროის სიმცირით იყო უკმაყოფილო. მიმდინარე პრემიერლიგაში მან 14 მატჩი ჩაატარა (აქედან 7 ძირითადში) და ერთი გოლი გაიტანა. "ევერტონში" იაკუბუმ საუკეთესო პერიოდი სადებიუტო, 2007-08 წლების სეზონში გაატარა, როცა მეტოქეთა კარი 21-ჯერ დალაშქრა.

ჩემპიონშიფის ბინადარ "ლესტერს" **სვენ-გორან ერიქსონი** წვრთნის.

მექსესი რომაში დარჩება

ფილიპ მექსესი უახლოეს პერიოდში "რომასთან" კონტრაქტს გაახანგრძლივებს. 28 წლის ფრანგი მცველის მიმართ დიდ ინტერესს "მილანი" იჩენდა, მაგრამ მექსესმა ადგილსამყოფელის შეცვლა არ ისურვა. ამას რომაელებთან მიმდინარე ხელშეკრულება ივნისში ეწურება. მექსესი "რომაში" 2004 წელს "ოსერიდან" გადავიდა.

ახალი ბრაზილიელი ბენფიკაში

"ბენფიკა" "ოლანენსეს" 24 წლის ბრაზილიელი მცველის, **ჟარდელ ვიეირას** ტრანსფერზე მოურიგდა და თუ სამედიცინო შემოწმებამ წარმატებით ჩაიარა, კონტრაქტსაც გაუფორმებს. 192 სმ სიმაღლის ვიეირამ "ოლანენსეში" სულ ნახევარი წელიწადი გაატარა და საყოველთაო ყურადღებაც მიიქცია. ჯერ არ ხმაურდება, რა თანხას იხდიან ლისაბონელები მის სანაცვლოდ.

ლევან ჯანეზაშვილი

შტუტგარტი

ჩიაო, ჩამო!

შვაბები მაუროს აგდებენ!

ეს მოსალოდნელიც იყო: „შტუტგარტს" იტალიელი ნახევარმცველი **მაურო კამორანეზი** აღარ სჭირდება და მზადაა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი უსასყიდლოდ დაუთმოს ნებისმიერს, ვინც მის გადაბირებას მოისურვებს. შვაბური კლუბის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მსურველის გამოჩენის შემთხვევაში, კამორანეზი გათავისუფლების ფურცელს უპრობლემოდ მიიღებს. ამრიგად, ოთხი თვისა და ბუნდესლიგაში ჩატარებული შვიდი მატჩის შემდეგ, კამორანეზის ბუნდესლიგური ერა დასასრულს უახლოვდება.

„მოსამზადებელ შეკრებაზე მაუროსთან გულახდილი საუბარი მქონდა. ორივემ მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით იმაზე, რომ ახალი გუნდი უნდა ეძებოს. ჩვენ მას პრობლემებს არ შევუქმნით, მის სანაცვლოდ ფულს არ მოვითხოვთ," - „კიკერთან" საუბარში განაცხადა „შტუტგარტის" მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა**.

შეგახსენებთ, რომ შვაბებმა კამორანეზი ტურინის „იუვენტუსიდან" ზაფხულში გადაიბირეს და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ, მაგრამ მაურომ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და ბუნდესლიგაში ჩატარებულ შვიდ მატჩში ერთადერთი, რაც „მოახერხა", წითელი ბარათის აკიდება იყო. ფეხბურთელი, რომელსაც იტალიის ნაკრებში 55 მატჩი აქვს ჩატარებული, ბოლოს მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

გოტფრიდ ლენცი

მაურო ხერმან კამორანეზის შტუტგარტში აღარ დაედგომება

ქართული სპორტი

● ძიუდო. ბაქოს მასტერსი

ისაევი გვიახლოვდება, ერცეგანი – გარდაიცვალა

ზანთარაია ბაქოს გამოტოვებს, თბილისი საეჭვოა

აზერბაიჯანის სახალხო გმირად შერაცხული ისაევი ზუსტად 20 წლის წინანდელი ამბების - 1990 წლის 19-20 იანვრის ბაქოს ტრაგედიის მსხვერპლია. შეგახსენებთ - მაშინ დამოუკიდებლობისა და სსრკ-დან გამოყოფის მოთხოვნას მოსკოვის სადამსჯელო ოპერაცია და „ბართლომეს ღამე“ ბაქოშიც მოჰყვა. ისაევის ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ეს ტურნირი რამდენიმე წელიწადში მისივე ძმამ, აზერბაიჯანის პარლამენტის იმდროინდელმა დეპუტატმა დააარსა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება.

საქართველოდან ტურნირში საჭიდაოდ რამდენიმე თავისი ხარჯით გაემგზავრა, უმეტესობას კი ფედერაცია აფინანსებს. ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი შარშან მოხდა, წლეულს კი უმრავლესობა კვლავაც რჩება გუნდში. ნაკრების თავკაცი **თამაზ ბენდიანიშვილი** შარშანვე შიშობდა, ასეთი სუსტი თაობა კარგა ხანია, არ მყოლიაო, მაგრამ თურმე არცთუ საფუძვლიანად. მისმა შეგირდებმა შარშან დიდი ტურნირებიდან მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავეს (მსოფლიო არ ტარდებოდა) და ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, მაგრამ ხუთი მედალი კი დაიმსახურეს - ერთი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო. ვფიქრობთ, კატასტროფული შედეგი ნამდვილად არაა, თუმცა არც სეზონის ოქროს გარეშე ჩამთავრებაა გასახარელი.

შარშანდელი შემადგენლობის უმეტესობა წლეულსაც რჩება გუნდში, თუმცა ცვლილებებიც იქნება. თან წლევანდელი სეზონის დატვირთვა კიდევ უფრო იზრდება, რადგან მსოფლიოს პირველობაც ტარდება. საერთოდ, ჭაბუკებში ევროპისა თუ სხვა კონტინენტების რეგიონული ჩემპიონატი ყოველწლიურად იმართებოდა, მსოფლიოსი კი აქამდე ერთი სეზონის გამოტოვებით ტარდებოდა, მაგრამ უკვე წლევანდლიდან ესეც ყოველწლიური გახდება. სამწუხაროდ, ჭიდაობაში ასაკობრივ ნაკრებებში არსებული უთავბოლობა არა და არ სრულდება და ევროპა-მსოფლიო კვლავაც ერთმანეთის მიყოლებით, ძალზე მცირე ინტერვალით გაიმართება. აქამდე ეს მხოლოდ ახალგაზრდებში ხდებოდა, ახლა კი ჭაბუკებშიც ამგვარად იქნება, რადგან მსოფლიოს ესენიც ყოველ სეზონზე ჩაატარებენ. თუმცა რაც ამ მხრივ წლეულს ჭაბუკებში მოხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ერთ თვეში, აგვისტოში გაიმართება! ევროპის პირველობას 9-14 აგვისტოს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა უმასპინძლებს, მსოფლიოსას - 23-28 აგვისტოს უნგრული სომბათჰეი. დროის ასეთი შემჭიდროებული გრაფიკი ბენდიანიშვილს აიძულებს, ორ-ორი შემადგენლობა ეძებოს, თორემ ამხელა დატვირთვას დიდებიც ვერ გაუძლებენ, არათუ ჭაბუკები. ისაევის ტურნირი ამ ძიების სანყისი ეტაპია, მთავარი შესარჩევი შეჯიბრება კი აპრილში გასამართი საქართველოს ჩემპიონატი იქნება. თუმცა ნაკრებში მოხვედრის გარანტია არც იქ მოპოვებული გამარჯვება იქნება და ჩემპიონებმა მონაპოვარი მერე საერთაშორისო ტურნირებშიც უნდა დაიცვან.

ისაევის ტურნირი ბაქოს სპორტის სასახლეში გაიმართება და, როგორც გითხარით, ერთ დღეში დამთავრდება. 10 წონით კატეგორიაში ერთბაშად ამდენი ხალხის გაყვანა ფრიად ძნელი საქმეა, თუმცა სასახლეში თავისუფლად იშლება ოთხი ლეიბი და მასპინძლებსაც ამისი ეიმედებათ.

ქართველ ძიუდოისტთა ჯგუფი ბაქოში მატარებლით გუშინ საღამოს გაემგზავრა. ამ ლიმიტირებულ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება **ამირან პაპინაშვილმა, დავით ასუმბანმა** (60), **ლევან წიკლაურმა** (81), **ვალერი ლიპარტელიანმა** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (+100) მოიპოვეს. ამათგან ლიმიტირებულ 18-ეულში მხოლოდ ხანჯალიაშვილი ვერ მოხვდა, თუმცა ორგანიზატორთა მიწვევით მაინც იჭიდავებს. ეტყობა, ასეთი შეღავათი იმის გამო მიიღეს, რომ ლიმიტირებულთაგან რამდენიმემ იუარა ბაქოში ჭიდაობა. ყოველ შემთხვევაში, ამავე წონაში მასპინძლებმა რუსი **დმიტრი სტერხოვიც** მიიწვიეს, რომელიც რეიტინგში ხანჯალიაშვილზე დაბლაა.

მასტერსი „სერხედჯის“ ოლიმპიურ ცენტრში ჩატარდება. დღეს ტურნირში ვაჟთაგან 60, 66 და 73, ქალთაგან კი 48, 52, 57 და 63-ის წარმომადგენლები ჩაებმებიან, ხოლო დანარჩენები კვირას იჭიდავებენ. შეხვედრები იქაური დროით 10 საათზე დაიწყება, 15 საათიდან კი ნახევარფინალური ეტაპია დაგეგმილი. ქომაგთ შეხვედრების პირდაპირ რეჟიმში ცქერის საშუალება კვლავაც მიეცემათ ძიუდოს საერთაშორისო თუ ევროპული ფედერაციების საიტებზე. მით უფრო, საერთაშორისო ფედერაცია ამჯერად ჩვენების ხარისხის გაუმჯობესებასაც გეგმავს და მედლებისთვის ბრძოლის დაწყებამდე გულშემატკივრებს ჩართვებს მოსათელი დარბაზიდანაც ჰპირდება, როგორ ემზადებიან ფინალისტები გადამწყვეტი შეხვედრებისთვის. საერთაშორისო ფედერაციას კიდევ ერთი სიახლე აქვს დაგეგმილი - ტატამზე ლურჯ-ყვითელი ფერი წითლით შეცვალოს, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტია.

შარშან დაარსებული მასტერსი რანგით, სალიცენზიო ქულების რაოდენობითა და საპრემიო ფონდით უკვე იქცა ერთ-ერთ მოწინავედ და მხოლოდ ოლიმპიადასა და მსოფლიოს პირველობას ჩამორჩება. შარშანდელივით მასში წლეულსაც უძლიერესი შემადგენლობა გამოვა, თუმცა ტრავმების, ავადმყოფობების თუ რიგ სხვა მიზეზთა გამო (ბევრმა, უბრალოდ, არ ისურვა აქ ჭიდაობა) რამდენიმე ვარსკვლავი მაინც დააკლდება. ჯერჯერობით ბოლო დანაკლისი უკრაინელთა ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაიაა** (60) - ოთხშაბათს ჯერ ინტერნეტფორუმებზე გავრცელდა ცნობა მისი ანგინით დაავადების შესახებ, რაც გუშინ იქაურმა ფედერაციამ უკვე ოფიციალურად დაადასტურა. ამ მიზეზით საეჭვოა მისი ჭიდაობა თბილისის მსოფლიოს თასზეც 29-30 იანვარს, თუმცა იქამდე დიდი დროა. არადა, ჩვენი შეჯიბრება სალიცენზოა და ქულებსაც იძლევა, უკრაინელებს კი ოლიმპიური ამბიცია ფრიად გაზრდიათ - არც მეტი, არც ნაკლები, ვაჟთა ნაკრების ხელმძღვანელობა შვიდიდე წონაში გეგმავს ლიცენზიის მოპოვებას.

ტურნირი მოისაკლისებს იაპონელთა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ **ჰიროიუკი აკიმოტოს** (73), მსოფლიოს ბოლო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ **ჰიროაკი ჰიროაკას** (60) და აზიის ჩემპიონ **კაზუჰიკო ტაკაჰაშის** (+100). პირველი ორი შარშანდელი სეზონის ბოლო ტურნირზე - ჩინურ ქინგდაოში გამართულ "დიდ პრიზზე" მიღებულ მყესების ტრავმებს იშუშებენ და შეჯიბრებებში გამოსვლას თებერვალში გასამართ დიუსელდორფის „დიდ პრიზამდე“ არ გეგმავენ, ტაკაჰაში კი გაციებულია. ავადმყოფობის გამო ვერც რუსთა ლიდერი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ივან ნიფონტოვი** (81) იჭიდავებს, თუმცა ეს იქაურთა ერთადერთი დანაკლისი არაა - **მუსა მოგუშკოვიც** (66) გაციებულია, **მურატ კოძოკოვი** (73) კი - ტრავმირებული. არ იქნება არც ფრანგთა ევროპის წლევანდელი გამარჯვებული **სოფიენ მილოში** (60) და სომეხი **ჰოვანეს დავთიანი** (60), რადგან სომხები არც ჩადიან აზერბაიჯანში. თუმცა ბაქოში ძალიან ბევრი ვარსკვლავი იქნება. მათ შორის, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები: უზბეკი **რიშოდ სობიროვი** (60), იაპონელი **ჯუნპეი მორიშიტა** (66), კორეელი **ჯი-ბუმ კიმი** (81), ბერძენი **ილიას ილიადისი** (90), იაპონელი **ტაკამასა ანაი** (100), ფრანგი **ტედი რინერი** (+100) და იაპონელი **დაიკი კამიკავა** (აბსოლუტური). ცხადია, ამათ სხვა ბევრი ვარსკვლავიც დაემატება.

ბოლოს, კიდევ ერთი ცნობა ჭიდაობის სამყაროდან, 95 წლისა გარდაიცვალა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, სერბი **მილან ერცეგანი**, რომელიც მთელი 30 წელიწადი მართავდა ამ ორგანიზაციას.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა

საქართველოში მოხიბლული კორეელი

ან იონ სეუნი (მარცხნივ) და მამუკა ქაცარავა

კორეელი მწვრთნელი **ან იონ სეუნი** თბილისშია და 10 იანვრიდან საქმიანობასაც შეუდგა. შეგახსენებთ, რომ ის საქართველოში სამუშაოდ სოკ-ისა და სეოკ-ის თანამშრომლობის შედეგად, ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში გრძელვადიანი პროექტით ჩამოვიდა. თავდაპირველი გეგმით, მას ნაკრების კონსულტანტად სამ ეტაპად უნდა ემუშავა, თუმცა მოგვიანებით მისი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის იდეაც გაჩნდა.

სეუნი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია და ჩვენებურთა ასეთი სურვილი არცაა გასაკვირი. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს პირველი ეტაპი მან ნოემბერში ჩაატარა, მეორე კი ახლა დაიწყო, თუმცა საქართველოში პირველი სტუმრობისას იმდენად მოეწონა აქაურობა (მაშინ ძირითადად ბათუმში მუშაობდა), რომ 10 იანვარს ჩამოსასვლელი დეკემბრის ბოლოს ჩამოვიდა და ახალ წელს თბილისში შეხვდა, ამის შემდეგ ისევ გაბრუნდა და დათქმულ დროს კვლავ გვესტუმრა. მას თურმე არა მხოლოდ აქაურობა მოსწონებია, არამედ აქტიურად ეცნობა ჩვენებურ კულტურას და... მართლმადიდებლობითაც დაინტერესებულა! ამ თემაზე საინტერესო რამეებსაც ამბობენ, თუმცა რელიგიური აღმსარებლობა მისი პირადი საქმეა და მეტად ნუღარ ჩავერევით, მაგრამ საქართველოთი მოხიბლულ სეუნს სურვილი გამოუთქვამს, აგვისტოში თავის მეგობარსა და მასწავლებელთან, კორეული მშვილდოსნობის სკოლის დამაარსებელ პროფესორთან ერთად ჩამოვიდეს და მასაც გააცნოს აქაურობა.

სეუნმა უკვე მოინახულა მშვილდოსნობის რამდენიმე თბილისური სკოლა და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. როგორც ამბობენ, უკვე ნანახ ჯგუფებში მას რამდენიმე მოზარდი ძალიან მოეწონა და შეარჩია კიდეც სამომავლოდ სამუშაოდ.

სამაგიეროდ, ჯერ ისევ გაურკვეველია ჩვენთვის ძირითადი - ნაკრების მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნა. აქ პრობლემა ისაა, რომ კორეელი მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მწვრთნელიცაა და ჩვენთან კონტრაქტის შემთხვევაში მათთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს. ასევე საინტერესოა ფინანსური მხარე - რამდენს მოითხოვს გასამრჯელოს. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსაც და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც ძალიან კი სურთ მისი დატოვება, მაგრამ გააჩნია, შეძლებენ თუ არა ხელფასით დაკმაყოფილებას. ჯერჯერობით სეუნს ამ თემაზე კონკრეტულად არ დალაპარაკებიან (ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებისთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი). სავარაუდოდ, ეს ამბავი ამ დღეებში გაირკვევა, როცა ჩილედან თბილისში დაბრუნდება საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავა** და კორეელს პირადად შეხვდება. სეუნი საერთაშორისო ფედერაციასთან მოლაპარაკებასაც აჭიანურებს - თითქოს მათთვის თავისი განზრახვის შესახებ დეკემბერში უნდა ეცნობებინა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. არადა, საქართველო რომ ძალიან მოსწონს და მზადაა აქ დარჩეს, ეს ფაქტია.

ირაკლი თავაძე

● სუმოს სამყარო. ჰალეუ ბაშო. 9-23 იანვარი

საგანგაშო ბალანს(ებ)ი



კუ (სეკივაკე), სოკოკურაი (მ 16)... 2-3: გაგამარუ (მ 6)... 1-4: კოკაი (მ 15)... 0-5: ტოჩინოშინი (მ 2).

VI დღე: **ჰაკუჰო-არანი, ბარუტო-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-ტოჩინოშინი, ჰარუმაფუჯი-ტამავაში, კაიო-ჰომაშო, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, კაკურიუ-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-იოშიკაძე, ტოკუსეგავა-კიოკუტენჰო, გოეიდო-ასასეკირიუ, გაგამარუ-ტოკიტენკუ, ტაკეკაძე-ტოსაიუტაკა, კიტატაიკი-ვაკანოსატო, ტაკამისაკარი-შოტენრო, მოკონამი-ჰაკუბა, მიაბიამა-ოკინოუმი, შიმოტორი-კიმურაიამა, კორიუ-ტოჩინონადა, კოტოკასუგა-ტოიოძაკურა, ვაკაკიუ-სოკოკურაი, კოკაი-ტოიოჰიბიკი.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული სპორტის ამაგდარი მუშაკის, ჩვენს ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობის სულისჩამდგმელის, სეოკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის

დავით კინწურაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სეოკ-ის აღმასრულებელი დირექტორი და პროფკომიტეტის თავმჯდომარე

დავით კინწურაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საბურნირო მდგომარეობა

5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ვაკანოსატო (მაეგაშირა 9), ტოჩინონადა (მ 16).

4-1: კაიო (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კისენოსატო (სეკივაკე), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), სოკოკურაი (მ 16)... 2-3: გაგამარუ (მ 6)... 1-4: კოკაი (მ 15)... 0-5: ტოჩინოშინი (მ 2).

VI დღე: **ჰაკუჰო-არანი, ბარუტო-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-ტოჩინოშინი, ჰარუმაფუჯი-ტამავაში, კაიო-ჰომაშო, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, კაკურიუ-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-იოშიკაძე, ტოკუსეგავა-კიოკუტენჰო, გოეიდო-ასასეკირიუ, გაგამარუ-ტოკიტენკუ, ტაკეკაძე-ტოსაიუტაკა, კიტატაიკი-ვაკანოსატო, ტაკამისაკარი-შოტენრო, მოკონამი-ჰაკუბა, მიაბიამა-ოკინოუმი, შიმოტორი-კიმურაიამა, კორიუ-ტოჩინონადა, კოტოკასუგა-ტოიოძაკურა, ვაკაკიუ-სოკოკურაი, კოკაი-ტოიოჰიბიკი.**

● ჭადრაკი

ქვახჭირელი ფიშერის სიურპრიზი

დღევანდელი საჭადრაკო ინფორმაცია სენსაციური ცნობით გვინდა დავიწყოთ: საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატს ტურნირის რეიტინგფავორიტები — ქვეყნის ორგზის ჩემპიონი **მიხეილ მჭედლიშვილი** (2641) და მსგავსი ასპარეზობის შარშანდელი გამარჯვებული **მერაბ გაგუნაშვილი** (2619) გამოეთიშნენ. გუშინ გაუწყეთ, რომ ეროვნულმა ოსტატმა **დავით ზარქუამ** (2356) პირველი რაუნდის სტარტზე მჭედლიშვილს სძლია, მეორე პარტიაში კი მეტოქეს 21-ე სვლაზე დაუზავდა, მინიმატჩში 1,5:0,5 გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ზარქუას მსგავსად, **გიგა ყუფარაძეც** (2395) 23 წლისაა და ეროვნული ოსტატია. ასაკობრივ შეჯიბრებებშიც არაერთხელ მოუპოვებია ნარმატება საქართველოს პირველობებზე. ქუთაისის მახლობლად სოფელ კვახჭირში მცხოვრებ მოჭადრაკეს, რომელიც პატარაობისას იერით **ბობი ფიშერს** ჩამოჰგავდა, მეგობრები კვახჭირელ ფიშერს ეძახდნენ. ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონთან

პირველი პარტია მან ყაიმით დაამთავრა, გუშინ კი თეთრებით მეტოქეს 84-ე სვლაზე გააჩერებინა საათი და მეორე რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. ასევე წარმატებით დაძლიეს პირველი ბარიერი **კონსტანტინე შანავამ** (2560), **ლევან ფანცულაიამ** (2610) და **თამაზ გელაშვილმა** (2608). სამ წყვილში უძლიერესს კი დღევანდელი ტაიბრეიკები გამოავლენს (ჯერ 25-25-წუთიანი შეხვედრები გაიმართება, ეს საკმარისი თუ არ აღმოჩნდა, მაშინ 5-5-წუთიანი პარტიები დაინიშნება).

პირველი რაუნდი:

ზარქუა- მჭედლიშვილი	1,5:0,5
ყუფარაძე-გაგუნაშვილი	1,5:0,5
ფანცულაია-მორჩიაშვილი	1,5:0,5
გელაშვილი-აზალაძე	1,5:0,5
შანავა-სულაშვილი	1,5:0,5
არუთინიანი-პაიჭაძე	1:1
სანიკიძე-ჯოჯუა	1:1
ბენიძე-მარგველაშვილი	1:1

მეოთხედფინალში ითამაშებენ: **ზარქუა** და **ბენიძე-მარგველაშვილს** შორის გამარჯვებული, **ყუფარაძე** და **სანიკიძე-ჯოჯუას** შორის უძლიერესი, **შანავა-ფანცულაია, გელაშვილი** და **არუთინიან-პაიჭაძის** წყვილში საუკეთესო.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტოები

ქალები ისევ ფრთხილობენ

სალომე მელია

ანაკლიაში მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ სტარტი აღმოჩნდა უხვმოსავლიანი — 6-დან ხუთი შეხვედრა შედეგიანად დამთავრდა. მას შემდეგ მანდილოსნები ფრთხილობენ. თითოეულ ტურში მეტოქეები უფრო მეტად დაზავებას ამჯობინებენ. გუშინაც მხოლოდ ორი პარტია დასრულდა სასურველი შედეგით: საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა **სალომე მელიამ** (2449) მე-40 სვლაზე **სოფიო ნიკოლაძეს** (2254) სძლია. პირველი გამარჯვება მოიპოვა ტურნირის რეიტინგფავორიტმა **ნაზი პაიკიძემ** (2455) - შავი ფიგურებით მან 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონ **სოფიკო ხუხაშვილს** (2437) აჯობა. დაზავდნენ: **მერი არაბიძე** (23-15)-**მაკა ფურცელაძე** (2323), **მირანდა მიქაძე** (2382)-**ლელა ჯავახიშვილი** (2438), **ნინო ხურციძე** (2436)-**მარიამ დანელია** (2248), **მაია ლომინეიშვილი** (2345)-**ნინო ბაციაშვილი** (2396).

ოთხი ტურის შემდეგ: მელია-3, დანელია, ხურციძე-2,5-2,5, ბაციაშვილი, ჯავახიშვილი, მიქაძე, ხოტენაშვილი (3 შეხვედრიდან), ლომინეიშვილი (3), ფურცელაძე (3)-2-2, პაიკიძე-1,5, არაბიძე, ნიკოლაძე-1-1, ხუხაშვილი (3)-0,5 ქულა.

მეხუთე ტურში ითამაშებენ: ბაციაშვილი-ხუხაშვილი, დანელია-ლომინეიშვილი, ჯავახიშვილი-ხურციძე, ნიკოლაძე-მიქაძე, ფურცელაძე-მელია, ხოტენაშვილი-არაბიძე, პაიკიძე ისვენებს.

ვაჟა დანელია

● ველოსპორტი

სამი საპრიზო დათოსია!

მოსკოვის „კრილაცკოეს“ დახურულ ტრეკზე გრძელდება რუსეთის ღია ჩემპიონატი ველორბოლაში. შეგახსენებთ, რუსები ამ ტურნირს იყენებენ პეკინის მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპში მონაწილეთა გამოსავლენად. ჩვენი თანამემამულის, 20 წლის **დავით ასკურავასთვის** კი ეს შეჯიბრება ბოლო მოსამზადებელი ეტაპია პეკინის უსერიოზულესი სტარტების წინ.

გუშინ ვწერდით, რომ დათომ ომნიუმის პირველ დღეს 250 მეტრზე გაქანებით პირველობა მოიპოვა. გუშინ კი, მან 500 მეტრზე ადგილიდან და გაქანებით I და II ადგილები დაისაკუთრა. დაგვეთანხმებით, ეს მეტად სასიამოვნო ამბავია და მით უფრო გასაკვირია, რომ დავითი თბილისში ტრეკის უქონლობის გამო, ფაქტობრივად, მხოლოდ გზატკეცილზე ემზადებოდა...


დავით ასკურავა

დავით ჭელიძე

მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გახადეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს — შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ

ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

1. თქვენი ასაკი
- ☐ 18-მდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-44
- ☐ 45-59
- ☐ 60-69
- ☐ 70-ზე მეტი

2. სქესი
- ☐ ქალი
- ☐ მამაკაცი

3. „ლელოს“ გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?

_____

_____

4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?
- ☐ მთლიანად ქართული სპორტი
- ☐ ქართული ფეხბურთი
- ☐ მთლიანად უცხოური სპორტი
- ☐ უცხოური ფეხბურთი

სხვა (დაასახელეთ) _____

_____

5. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც „ლელოს“ კითხულობთ?

_____

_____

6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში“?
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ საყვარელ რუბრიკას
- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ გარეკანზე დაანონსებულ სტატიას
- ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით?

(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)

_____

_____

8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?

_____

_____

9. რომელია თქვენთვის ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?

_____

10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?

_____

11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ ხშირად?

_____

12. სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ კარგია
- ☐ საშუალოა
- ☐ ცუდია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

13. როგორ შეაფასებთ „ლელოს“ დიზაინსა და არქიტექტონიკის მიხედვით?
- ☐ ძალიან მომწონს
- ☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?
- ☐ მომწონს
- ☐ უკეთესიც შესაძლებელია
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს“?
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ მაღალი დონისაა
- ☐ საშუალო დონისაა
- ☐ დაბალი დონისაა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს“?
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ კვირაში 2-3 ნომერს
- ☐ კვირაში ერთ ნომერს
- ☐ თვეში 2-3 ნომერს
- ☐ უფრო იშვიათად

17. გაქვთ თუ არა გამორჩეული კვირის რომელიმე დღეს „ლელოს“ საკითხავად და რატომ?

_____

_____

18. რამდენი ხანია, რაც „ლელოს“ კითხულობთ?
- ☐ 1-2 წელია
- ☐ 3-5 წელია
- ☐ 6-9 წელია
- ☐ 10-19 წელია
- ☐ 20 წელზე მეტია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

19. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის — „ლელოს“ შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?
- ☐ შეძენა
- ☐ გამოწერა

20. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი სტატიები?

_____

_____

21. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით „ლელოს“?

_____

_____

22. რას ურჩევდით „ლელოს“?

_____

_____

23. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ

_____

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის

გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით (საფოსტო ყუთების განთავსებულია: *თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, ხურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი*).

ან დარეკეთ და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე (995 32) 37 75 33 (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე)

● კალათბურთი

კობეშავიძე ბათუმში, კაზანჯიანი აგრარულში

მიხეილ კობეშავიძე



გია კაზანჯიანი

პირველი წრის შემდეგ უკვე ოთხი სამწვრთნელო ცვლილება განხორციელდა. დავიწყოთ ყველაზე ახალი ამბით: „აგრარულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გამოთავისუფლებული ადგილი საქართველოს კადეტთა ნაკრების თავკაცმა **გია კაზანჯიანმა** დაიკავა. საინტერესოა, რომ გუნდის წევრთა უმეტესობამ „აკადემიასა“ თუ 16-წლამდელთა ნაკრებში სწორედ მის ხელში გაიარა.

„აგრარულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი მას მერე გათავისუფლდა, რაც აგრართა თავკაცი **მიხეილ კობეშავიძე** „ბათუმში“ გადავიდა.

ახლა ჯაჭვის მესამე რგოლზეც ვთქვათ: იანვრის დასაწყისში ბათუმელთა დამრიგებელი **დავით უსტიაშვილი** მსს-მ მიიწვია. იგი ძალოვნებს **არჩილ ჟღენტთან** ერთად განვრთნის.

შეგახსენებთ, რომ 4 იანვარს კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა - „სამედიცინოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **სერგო იშხნელის** ნაცვლად **ნუგზარ კანდელაკი** დაინიშნა.

სოხუმი ანტალიასთან აღარ ითამაშებს

„სოხუმის“ თურქულ შეკრებაზე წასვლის წინ სამი საკონტროლო მატჩი დაიგეგმა. ორი ჩატარდა, თუმცა მესამე შეხვედრა, „ანტალიასთან“ აღარ გაიმართება. ამის მიზეზი სოხუმელთა პრესატაშე **თენგიზ პაჭკორიამ** წერილობით გვაცნობა:

„12 იანვრისთვის დაგეგმილი სპარინგმატჩი „სოხუმსა“ და თურქეთის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ „ანტალიას“ შორის არ შედგება, რადგან სოხუმელთა 4 მოთამაშე ავადაა - მაღალი სიცხეები აქვთ რიჩარდ და კარლ დამუსებს, შეუძლოდაა ზვიად ანთაძე, ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა გელა კოპალიანი. რაც შეეხება გუნდის კაპიტან ირაკლი სორდიას, მან 6 იანვრის მატჩი („კეპესთან“) ტრავმირებულმა ითამაშა და სათუო იყო მისი გამოსვლა 12 იანვრის შეხვედრაში.

გუნდის ექიმის ირაკლი ნიკოლაიშვილის დაჟინებული მოთხოვნით და მთავარი მწვრთნელის ვაჟა კვარაცხელიას წინადადებით „სოხუმის“ ხელმძღვანელობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია ამ მდგომარეობაში აღმოჩენილი გუნდის 12 იანვრის მატჩში მონაწილეობა. ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობამ „ანტალიის“ მესვეურებს შეატყობინა, რომლებიც ჩვენს წინადადებას გაგებით მოეკიდნენ.

შეგახსენებთ, „სოხუმმა“ ანტალიაში ორი მატჩი ჩაატარა - 6 იანვარს 103:74 მოუგო თურქეთის მესამე დივი ზიონის ლიდერ „მურადფაშას“, ხოლო 11 იანვარს თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „კეპეზს“ ანგარიშით 92:86 აჯობა.“

14 იანვარს „სოხუმი“ ანთალიურ შეკრებას დაასრულებს და 15-ში თბილისში დაბრუნდება.

ზლატოროგთან თანაბრად

სუპერლიგის წარმომადგენელი „არმია“ სლოვენიაში მეორე საკონტროლო შეხვედრაში - „ზლატოროგს“ დაუპირისპირდა. გუშინ, გვიან ღამემდე ვეცადეთ მატჩის შედეგი გაგვეგო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სტატისტიკა სრულად არ დაუთვლიათ და არც ის ვიცით, ვინ რამდენი ქულა ჩააგდო, ვერც ზუსტ ანგარიშს გეტყვით.

მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „არმიამ“ **დავით უგრეხელიძის** ყოფილ კლუბ „ზლატოროგთან“ (როცა დათო თამაშობდა „პივოვარნა“ ერქვა) 4 ქულის სხვაობით წააგო. ქართველებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ, ბოლო წამებზე **კოტე ტულუშმა** სამქულიანიც ჩააგდო, მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში სლოვენიელებმა საჯარიმოები უშეცდომოდ ისროლეს და გაიმარჯვეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ზლატოროგი“ სლოვენიის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა (შეჯიბრებაში „ოლიმპია“ გაზაფხულიდან ჩაერთვება) - მის ანგარიშზე 8 მოგება და 1 წაგებაა.

დღეს „არმია“ მესამე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს - ტულუშისა და უგრეხელიძის ყოფილ კლუბ „სლოვანს“ დაუპირისპირდება.

ქართველი NBA-ში

სხვა დონეა...

ზაზას ერთმა ტორონტოს ასერთს აჯობა

...და მაინც რა სხვაობაა NBA-სა და ევროპულ კალათბურთს შორის, რატომ მიილტვის ყველა მაინცდამაინც ამერიკისკენ, NBA-ს თაფლი უსვია?!

ასეთი აზრი შეიძლება ევროლიგის რომელიმე საინტერესო მატჩის შემდეგ გაჩენილა, თუმცა ვინც „ტორონტო“-“ატლანტას“ შეხვედრა იხილა, დაგვეთანხმება, რომ ამერიკული კალათბურთი ევროპულისგან ჯერაც შორსაა. ევროპაში თავგამოჩენილები NBA-ში მიდიან, თუმცა ერთეულები ქმნიან ამინდს. მაგალითად, იტალიელმა **ანდრეა ბარნიანიმ** შედეგიანად ისროლა - 26 ქულა. ამავე მატჩში 9 პასი შეასრულა (11 ქულა) „ტორონტოს“ ესპანელმა გამთამაშებელმა **ხოსე კალდერონმა**. თუმცა მატჩის ბოლო 7 წუთში ტორონტოელი „დინოზავრების“ წინააღმდეგ ხუთი ატლანტელი ვარსკვლავი დადგა (**ბიბი, ჯონსონი, კროუფორდი, სმიტი, ჰორფორდი**), წინაისტორიულ „რეპტილიასაც“ კისერი მოუგრიხა და თამაშიც თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. რაც მათ გააკეთეს, სწორედ ამით გამოირჩევა NBA სხვა ლიგებისგან: სირენამდე 5 წუთით ადრე შეუჩერებელმა ტორონტოელმა **ლეანდრო ბარბოსამ** თანაგუნდელები 3 ქულით დაანინაურა, თუმცა საპასუხო შეტევაში ჯო ჯონსონისგან სამქულიანი მიიღო (ეს მისი პირველი რეალიზებული შორეული ტყორცნა იყო). გავიდა სამი წუთი და ბარნიანის სიზუსტის წყალობით მასპინძლები 95:91 დანინაურდნენ. სირენამდე 1:43 წუთით ადრე 4-ქულიანი ჩამორჩენა იოლი აღმოსაფხვრელი როდია, მაგრამ როცა საქმე ჯამალ კროუფორდთან გვაქვს, აქ სირთულეზე ლაპარაკი ზედმეტია - მეტოქის ნახევარზე ფეხი კარგად არც ჰქონდა გადადგმული, როცა მოულოდნელად კალათის მიმართულებით ისროლა და, რა თქმა უნდა, ჩააგდო (94:95).

- არ მეგონა, ჯამალი მოედნის ცენტრიდან თუ ისროდა, მითუმეტეს, თუ სამ ქულას მოგვიტანდა, - გამოტყდა ნამატჩევს „ატლანტას“ მწვრთნელი **ლარი დრიუ**, რომლის გუნდი ბოლო წამებამდე წაგების საშიშროების წინაშე იდგა - მატჩის დასრულებამდე 8 წამით ადრე 99:101-ს აგებდა. მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. მოედანზე დაბრუნების შემდეგ ჯორჯიელებმა კომბინაციურ აბლაბუდას, მარტივი მოქმედება ამჯობინეს: გვერდითი ხაზიდან ბურთი გადაანდოს მაიკ ბიბის, რომელმაც რთული პოზიციიდან სამქულიანი დაუფიქრებლად ისროლა. ბურთიც დაუზარელად ჩაეშვა კალათში - 102:101. ის, რასაც ბოლო წუთებზე ბიბი, ჯონსონი და კროუფორდი სჩადიან, მხოლოდ ნიჭითა და შრომით არ მიიღწევა, ამისთვის საჭიროა NBA-ში წლების განმავლობაში თამაში.

არ გამინყრეთ, თუ ატლანტელთა მისამართით გადამეტებულად ვილაპარაკე, „ატლანტამ“ თამაში აკარად გამოასწორა (ეს შედეგებიდანაც ჩანს - 2011 წელს ექვსივე მატჩი მოიგო), თუმცა ერთი ნაკლი მაინც აქვს, რომლის გამოსწორება პლეი ოფებამდე მართებს: „ატლანტა“ ძირითადად პერიმეტრიდან და საშუალო დისტანციიდან ტყორცნებით აღწევს მიზანს. მეტი მრავალფეროვნებისა და შედეგიანობისთვის სამწამიანი ზონიდან ქულების მოხვეჭაც აუცილებელია. ამ საქმისთვის მწვრთნელს ძიება არ სჭირდება - **ზაზა ფაჩულიამ** უკვე დაამტკიცა, რომ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ცენტრია. თუმცა, მისი შედეგიანობის გასაზრდელად აუცილებელია ლარი დრიუმ რამდენიმე კომბინაცია ფაჩულიაზე ააწყოს და შეგირდებს ზაზასთვის პასის მიცემა დაავალოს. ამით ჩვენც ვისიამოვნებთ და „ატლანტაც“ იხეირებს.

„ტორონტოსთან“ ფაჩულია უმთავრესად შავი სამუშაოს შესრულებით იყო დაკავებული და კარგადაც გამოსდიოდა. მან 16:33 წუთში 6 მოხსნა მოაგროვა.

„ატლანტა“ მომდევნო მატჩს 15 იანვარს შინ „ჰიუსტონთან“ ჩაატარებს.

ტორონტო-ატლანტა 101:104

ზაზა ფაჩულია: 16:33 წუთი, 1 ქულა (1-დან 0 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 1 შეცდომა

I პერიოდი

02:33 ზაზამ სმიტი შეცვალა
01:30 ორქულიანი: არაზუსტი
00:34 ფოლი: 1
00:09 მოხსნა: შეტ-0, დაც-1
00:04 პასი: 1(კროუფორდი 2d,27:21)

II პერიოდი

11:21 შეცდომა: 1
10:07 მოხსნა: შეტ-1, დაც-1
08:18 ჰორფორდმა ზაზა შეცვ.
05:56 ზაზამ ჰორფორდი შეცვ.
05:07 მოხსნა: შეტ-2, დაც-1
05:00 საჯარიმ: 2/1 (1d, 46:42)
02:03 ფოლი: 2
01:29 მოხსნა: შეტ-3, დაც-1
01:00 პაუელმა ზაზა შეცვ.

III პერიოდი

02:34 ზაზამ ბიბი შეცვალა
00:11 ფოლი: 3

IV პერიოდი

10:04 მოხსნა: შეტ-3, დაც-2
09:43 მოხსნა: შეტ-3, დაც-3
09:12 სმიტმა ზაზა შეცვ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილი



● რედსი და სტიქია

მრავალტანჯული წითლების პარსკვლავები

ავსტრალიური რაგბის თემი ამჟამად ქვინზლენდში სტიქიის შედეგებს ებრძვის. „სანკორპ სთედიუმის“ მინდორი წყლითაა დაფარული და ელექტროგაყვანილობის და ზიანებამ მცირე ხანძარიც გააჩინა. ბრისბენის „რედსის“ მოთამაშეები ამ დროს ქვიშით სავსე ტომრებს ბელმორში არსებული გუნდის საწვრთნელი ბაზის გარშემო აწყობდნენ, ადიდებულ მდინარეს იქაც რომ არ შეეღწია. ამ საქმეს რომ მორჩნენ, სტადიონის რეკონსტრუქციისთვის შექმნილი ფონდის დასახმარებლად ორგანიზებულ ტელემარათონში მიიღეს მონაწილეობა. ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა ის დიდი მორაგბეები, ვისაც ამ „მრავალტანჯული“ გუნდის კვართი მოურგია.

ჯონ ილზი

ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მორაგბე იყო. ილზის სარაგბო კარიერა ერთნაირად წარმატებული იყო, როგორც კლუბში, ისე ეროვნულ ნაკრებში. ის რაგბიმდე კრიკეტით იყო გატაცებული და საკმაოდ წარმატებითაც ასპარეზობდა ქვინზლენდის უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში.

ჯონ ილზმა „რედსის“ შემადგენლობაში ზე რაგბის გათამაშებაში 122 მატჩი გამართა და 402 ქულა მოიპოვა. ის ორჯერ იყო მსოფლიოს თასის მფლობელი. პირველად 1991 წელს, როდესაც სრულიად ახალგაზრდა იყო, მეორედ კი 1999 წელს. „ვოლაბებმა“ მისი მეთაურობით 2000 და 2001 წლებში სამი ერის გათამაშება მოიგეს და „ბრიტანელი ლომებიც“ დაამარცხეს.

მაიკლ ლინეგი

მისი კარიერა ავსტრალიური რაგბის ორი წარმატებული პერიოდის შუალედში წარიმართა. ლინეგს დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1984 წელს 21 წლის ასაკში ჰქონდა. მაშინ მან ევროპულ ტურნეში შუამარბად ითამაშა. 1991 წელს კი ინგლისში, „თვიქნემზე“ მსოფლიოს თასის ფინალის მოგებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

მაიკლ ლინეგი რაგბის 1995 წელს გამოეთხოვა. მან „რედსის“ კვართით 100 მატჩში ითამაშა და 1 166 ქულა მოიპოვა. 1999 წელს „ქვინზლენდის საუკუნის გუნდის“ ათნომრიანი მაისურა უბოძეს.

ტიმ ჰორანი

ის ილზივით, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ჰორანმა „ვოლაბების“ გამარჯვებაში 1991 და 1999 წლების მსოფლიო თასის გათამაშებებში ლომის წილი დაიდო. საგულისხმოა, რომ 1994 წელს მან სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც წელიწადზე მეტი გაუცდა, თუმცა რაგბიში მიბრუნებულმა, კიდევ უფრო მეტად გაიბრწინა. ჰორანის კარიერის პიკი 1999 წლის მსოფლიო თასი იყო, სადაც ის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

კრის ლეთემი

ის ავსტრალიის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე იყო. „რედსამდე“ „ნიუ საუთ ველსის“ შემადგენლობაში თამაშობდა. ლეთემს დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1998 წელს ჰქონდა. მოგვიანებით კი, მას შემდეგ რაც რაგბიდან ილზის, ჰორანისა და კომპანიის „ოქროს თაობა“ წავიდა, „ვოლაბების“ წამყვანი მოთამაშე გახდა.

კრის ლეთემმა „რედსის“ შემადგენლობაში 199 მატჩში ითამაშა. კარიერა კი, 2008 წელს დაასრულა ინგლისურ „ვორსტერში“. ის ოთხჯერ დაასახელეს „რედსის“ წლის საუკეთესო მოთამაშედ. 2006 წელს კი, როგორც საუკეთესო ავსტრალიელმა მოთამაშემ, ჯონ ილზის სახელობის მედალი მიიღო.

ჯონ ჰერდმენი

შესაძლოა, ის რაგბის ვარსკვლავი არ იყო, მაგრამ „რედსს“ ერთგულად ემსახურა მრავალი წლის განმავლობაში. ზე რაგბის გათამაშებაში მის ანგარიშზე 148 მატჩია. „ვოლაბების“ შემადგენლობაში სულ ოთხი კეპი მოიპოვა. ჰერდმენს დებიუტი 2002 წელს საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში ჰქონდა. ბოლოს კი, ავსტრალიის ნაკრების ოქროსფერი კვართი, 2007 წლის მსოფლიო თასისი ჯგუფურ ტურნირზე, კანადის ეროვნულ გუნდთან მოირგო.

ენდრიუ სლეკი

ის 1984 წელს დიდი სლემის ტურნირზე „ვოლაბების“ კაპიტანი იყო. სლეკის სანაკრებო კარიერა 1978 წელს დაიწყო. 1986 წელს მისი მეთაურობით ავსტრალიის ნაკრებმა ახალზელანდიურ ტურნეში ბრწყინვალედ იასპარეზა. სლეკი კაპიტნობდა „ვოლაბებს“ მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში 1987 წელს, სადაც ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდნენ. სლეკი და კომპანია ვერას გახდა ფრანგ ვარსკვლავ **სერჟ ბლანკოსთან.** საბოლოოდ ავსტრალიელები მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ენდრიუ სლეკმა „რედსის“ შემადგენლობაში 133 მატჩში ითამაშა. მოგვიანებით, ის „ვოლაბების“ დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ძუადე კუპერი

22 წლის ასაკში მას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა. 2010 წელი მისთვის მრავალფეროვანი გამოდგა. კუპერი ჯერ ძარცვის ბრალდებით დააკავეს, თუმცა მოგვიანებით ბრალდება მოუხსნეს. მერე რაგბი ლიგაში დაბრუნება გადაწყვიტა მის დასაყოლიებლად ავსტრალიის რაგბის კავშირს დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

კუპერს „ვოლაბების“ მგეზავის პოზიციაზე **მეთ გიტო** უწევდა კონკურენციას, თუმცა მან ეს წინააღმდეგობაც დაძლია და ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. „რედსის“ რიგებში თამაშისას კი ორი რეკორდი მოხსნა. შარშან მან კლუბს 171 ქულა მოუტანა. კიდევ ერთი რეკორდი **ელტონ ფლეტის** ეკუთვნოდა, კუპერმა „კრუსეიდერზთან“ მატჩში ორი ლელო, სამი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო გაიტანა (31 ქულა). რაც „რედსის“ ახალი რეკორდია.

● ლეგიონერები

ბურჯელალი სამართალს ეძებს

საფრანგეთში, შესაძლოა, ახალი სარაგბო სკანდალი აგორდეს. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** ახლახან „მონპელიესთან“ ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თუმცა „ტულონის“ მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** იმუქრება, რომ ეს ამბავი ასე არ დამთავრდება.

გორგოძეს „ტულონთან“ წინასწარ ხელშეკრულებაზე ჰქონდა ხელი მოწერილი. „ტულონის“ ხელმძღვანელები პირველ თებერვალს ელოდებოდნენ, რათა მას ოფიციალური კონტრაქტის პირობებზე დალაპარაკებოდნენ. საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის (LNR) წესდების თანახმად, სხვა გუნდის მოთამაშესთან ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმება სწორედ პირველ თებერვლამდეა აკრძალული.

„მონპელიემ“ ტულონელთა განზრახვის შესახებ კარგად უწყოდა და, ცხადია, ყველა ღონე იხმარა, რაგბის ქართველი ვარსკვლავი გუნდში დარჩენაზე რომ დაეთანხმებინა. ამის თაობაზე „მონპელიეს“ თავკაცმა **ფაბიენ გალტიემ** კომენტარი გააკეთა:

„მოხარული ვარ, ჟულიენ ტომამ და მამუკა გორგოძემ „მონპელიეში“ დარჩენა რომ ისურვეს. ეს კარგია, რადგან ისეთი „მტაცებლები“, „ტულონის“ ხელმძღვანელები რომ არიან, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ. მათ ჩვენი გუნდის დაშლა უნდოდათ.“

აღსანიშნავია, რომ გორგოძესა და ცხრა ნომერ **ჟულიენ ტომას** გარდა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **გიორგი ჟღენტმა** და საფრანგეთის ნაკრების მესამეხაზელმა **ფულენსე უოდრაოგომ.** ორწლიანი კონტრაქტები - არგენტინელებმა **მარტინ ბუსტოს მოიანომ, სანტიაგო ფერნანდესმა** და **ხუან ფიგალომ.**

მურად ბურჯელალი „მონპელიეს“ მიერ გორგოძესთან გაფორმებულ კონტრაქტს აპროტესტებს და გალტიეს გამონათქვამითაც აღშფოთებულია:

„ჟულიენ ტომას „მონპელიეში“ დარჩენა სურს? დარჩეს. მას შესანიშნავ მნვრთნელთან მოუწევს მუშაობა. ეს კარგი არჩევანია, რადგან ის „მტაცებლებს“ არ დანებდა. გალტიე კი მართლაც ბრნყინვალე მწვრთნელია, თუმცა ვერაფრით იტყვი, რომ თავმდაბლობით გამორჩევა. როცა ეს ბიჭი ლაპარაკობს, ცხვირი მაღლა უჭირავს და ცას გაჰყურებს, გეგონება, მთელი საფრანგეთი მის ფერხთაა გართხმული.

რაც შეეხება გორგოძეს, ვაპირებ, ბოლომდე დავიცვა ჩვენი გუნდის ინტერესები. არსებობს კანონი, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს. ჩვენ გვაყავს ადვოკატები, რომლებიც საბელით მიჭირავს, არადა, თუ მივუშვი, ძალზედ მწარედ იკბინებიან.“ - თქვა ბურჯელალმა.

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი კი ცხადია, გაუნათლებელი ადვოკატები არც „მონპელიეს“ ეყოლება და, ალბათ, კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ.

● 14 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

1906 წელი

უელსის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდთან მატჩში პირველად გამოიყენა ახალი ტაქტიკა - შერკინების რვა მოთამაშეს პლუს შვიდი უკანახაზელი. უელსელებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და 16:3 მოუგეს. თავი გამოიჩინეს **ჰოპ მედოკმა, ტედი მორგანმა, ჩარლი პრიტჩარდმა** და **ჯეოიდა ჰოჯსმა.**

1954 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრები მატჩის ბოლო წუთებზე სასწაულებრივად გადაურჩა მარცხს. „ოლ ბლექსმა“ კორკში, „მერდიკ გრაუნდზე“ **ჯონ ტენერის** ლელოს წყალობით „მანსტერს“ სძლია - 6:3. ეს ახალზელანდიელთა ბოლო მატჩი იყო ირლანდიურ ტურნეში.

1962 წელი

„ნორსჰემპთონმა“ უელსურ „ნისთან“ შეხვედრაში ინგლისის ნაკრების ექვსი მორაგბე ათამაშა, თუმცა მაინც მშრალი ანგარიშით დამარცხდა - 0:14. აღსანიშნავია, რომ ინგლისური კლუბი იმ სეზონში სულ ორჯერ დამარცხდა.

1962 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა ხუთი ერის გათამაშება გამარჯვებით გახსნა. „ლე ბლემ“ სტუმრად, „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებს 11:3 მოუგო. ერთი ლელო გარემარბმა **ანრი რანკულმა** გაიტანა, მგეზავმა **პიერ ალბალადეჟომ** გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც მიაყოლა.

1973 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა პარიზის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში რეკონსტრუირებულ „პარკ დე პრენსზე“ პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართა. „ლე ბლემ“ ურთულეს ბრძოლაში შოტლანდიის ეროვნული გუნდი დაამარცხა - 16:13. საფრანგეთის ნაკრების შუამარბმა, **იან მაკგიჰანმა** გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა.

1976 წელი

ავსტრალიის ნაკრებმა კორკში „მანსტერს“ 15:13 მოუგო. „ვოლაბებმა“ გამარჯვებას **ჰოლ მაკლინის** ფეხჩუბინობის წყალობით მიაღწიეს. მან გუნდს 11 ქულა მოუტანა.

2009 წელი

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ სანაპიროზე ახალი კლუბის დაარსება, რომელსაც, სავარაუდოდ, ზე რაგბის გათამაშებაში უნდა ეასპარეზა. გუნდი ერთობლივად შექმნეს აღმოსავლეთის რაგბის კავშირმა და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა. „სამხრეთელ მეფეებს“ დებიუტი 2009 წლის 9 ივნისს „ბრიტანელ ლომებთან“ უნდა ჰქონოდათ, პორტ-ელიზაბეტში, „ნელსონ მანდელას“ სტადიონზე, მაგრამ, ვინაიდან ზე რაგბის გათამაშებაში ავსტრალიური „მელბურნ რებლზი“ დაუშვეს, თამაში არ შედგა.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

იან მაკგიჰანი

msy.gov.ge

ავტოსპორტი. დაკარი 2011



საინსი მეორე ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს

ინტრიგა თითქმის მოკვდა

სუპერმარათონ „დაკარის" დასრულებამდე სამი ეტაპია დარჩენილი, მაგრამ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, უკვე შეიძლება გამარჯვების მილოცვა ავტომობილებისა და მოტოციკლების კლასის ლიდერებისთვის - ყატარელი **ნასერ ალ-ატიიასთვის** და ესპანელ **მარკო კომასთვის**.

ავტომობილებში მეათე ეტაპი პრაქტიკულად განმსაზღვრელი აღმოჩნდა საერთო ჩათვლაში ბრძოლისთვის. ალ-ატიიამ ეტაპზე მხოლოდ მეოთხე დრო აჩვენა, სამაგიეროდ, მთელი 10 წუთი მოუგო მთავარ კონკურენტ **კარლოს საინსს** და გენერალურ კლასიფიკაციაში უპირატესობა 12 წუთამდე გაზარდა, წინ კი არც ისე რთული ეტაპებია დარჩენილი.

საინსის თქმით, მას მეათე ეტაპზე მთელი რიგი პრობლემები ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ესპანელი პირველი გავიდა ტრასაზე და სხვებისთვის გზის გამკვალავი გახდა, რაც ყოველთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, პირველ საკონტროლო წერტილზე ის უკვე რვა წუთს აგებდა მიმდინარე ლიდერთან. საინსის პრობლემებით კარგად ისარგებლა ალ-ატიიამ, თუმცა შემდეგ ის აღმოჩნდა პელოტონის წინ და ახლა მას უნევდა სხვებისთვის გზის „ჩვენება". ოღონდ მან ესპანელისგან განსხვავებით სერიოზული პრობლემები თავიდან აიცილა, თუმცა ეტაპზე პირველობის შანსი აღარ ჰქონია.

გამარჯვებისთვის **სტეფან პეტერანსელმა** და **ჟინიელ დე ვილიერსმა** იბრძოლეს. ფრანგი მეოთხე საკონტროლო წერტილზე ჟინიელს ხუთ წუთს უგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

■ ■ ■

კიდევ უფრო სერიოზულად დაზარალდა ინტრიგა მოტომრბოლთა კლასში: მარკ კომამ 10-წუთიანი უპირატესობით აჯობა **სირილ დეპრეს** და გენერალურ კლასიფიკაციაში სხვაობა 18 წუთამდე გაზარდა.

გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იყვნენ - კომა, დეპრე, **როდრიგესი** და **ლოპეს კონტადრო**. მესამე ნიშნულამდე ისინი თანაბრად მიდიოდნენ, მაგრამ შემდეგ პრობლემები წარმოიშვა. თავიდან სირილ დეპრე ჩავარდა, შემდეგ იგივე დაემართა კონტადროს. როდრიგესი და კომა მთავარი ფავორიტები იყვნენ და წესით პორტუგალიელს უნდა მოეგო, მაგრამ მასაც ხელი მოეცარა.

X ეტაპი

მანქანები

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - 2:53.15; 2. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, BMW) - +4.23; 3. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +5.38; 4. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - +8.54; 5. **საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი") - +18.13...

საერთო ჩათვლა

1. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - 33:58.34; 2. **საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი") - +12.37; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - +46.57; 4. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +1:39.32; 5. **მილერი** (აშშ, „ფოლკსვაგენი") - +3:40.43...

მოტოციკლები

1. **კომა** (ესპანეთი, KTM) - 3:05.35; 2. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +9.56; 3. **ფარია** (პორტუგალია, KTM) - +13.22; 4. **სტანოვნიკი** (სლოვენია, KTM) - +21.26; 5. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +21.43...

საერთო ჩათვლა

1. **კომა** (ესპანეთი, KTM) - 38:39.31; 2. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +18.10; 3. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +45.16; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, „იამაჰა") - +1:29.37; 5. **ფარია** (პორტუგალია, KTM) - +1:34.42...

ამბები

ავტოსპორტი

კიმის თავისი გუნდი ეყოლება

როგორც უკვე ვწერდით, ამ დღეებში ბოლო მოეღო სპეკულაციებს ფინელი **კიმი რაიკონენის** სამომავლო კარიერის შესახებ. ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი რალიშივე გააგრძელებს კარიერას, თანაც ის 2011 წლის ჩემპიონატში ახალი გუნდის - ICE 1 Racing-ის ღირსებას დაიცავს.

ეს გუნდი ფინელი პილოტების სპონსორების მიერ არის შექმნილი. რაიკონენი ახალ ჩემპიონატში Citroen DS3-ის მანქანით ირბოლებს.

ახალი გუნდის შექმნის ფაქტი დაადასტურეს რალის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა. მათი თქმით, ICE 1 Racing-მა ბოლო მომენტში შეიტანა პირველობაში მონაწილეობის განაცხადი.

კალათბურთი

ბარსელონამ მწვრთნელი შეინარჩუნა

„ბარსელონას" საკალათბურთო გუნდის ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელ **ხავი პასკუალთან** კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივება გადაწყვიტა. ასე რომ, ევროლიგის შარშანდელი სეზონის საუკეთესო მწვრთნელი კატალონიაში 2013 წლის ზაფხულამდე დარჩება.

პასკუალმა „ბარსელონა" 2008 წლის თებერვალში ჩაიბარა და ამ დროის განმავლობაში კლუბმა ევროლიგა, ესპანეთის ჩემპიონატი და ესპანეთის თასი მოიგო.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სენსაცია კალიფორნიაში

„მაიამი ჰიტმა" ვერ შეძლო სტუმრად მოგებათა სერიის გაგრძელება და ამ მაჩვენებლით აბსოლუტური რეკორდის დამყარება, რომელიც „ლეიკერსს" ეკუთვნის. ფლორიდელებს ზედიზედ 13 გასვლითი მატჩი ჰქონდათ მოგებული და სამი გამარჯვება აკლდათ რეკორდის გამეორებამდე, მაგრამ „მაიამი" მოულოდნელად ლოს ანჯელესის მეორე გუნდმა - „კლიპერსმა" შეაჩერა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი სერია ოდესღაც სრულდება, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს სწორედ ამ მატჩში მოხდებოდა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია - **ჯეიმსის**, **უეიდისა** და **ბოშის** „დიდმა ტრიომ" ერთად 84 ქულა დააგროვა და მაინც დამარცხდა. შედარებისთვის: გუშინ ვარსკვლავებით სავსე „ორლანდომ" ოვერტაიმის ჩათვლით „მაიამის" სამეულზე ხუთი ქულით მეტი დააგროვა. გარდა ამისა, „ჰიტს" არც ფარი წაუგია და შეცდომებიც ნაკლები ჰქონდა.

„კლიპერსმა" გუნდური თამაშის, სისწრაფისა და თავდადების ხარჯზე გაიმარჯვა. თავისი სუპერსამეული მასპინძლებსაც ჰყავდათ. **ბლეიკ გრიფინი**, **ერიკ გორდონი** და **ბაირონ დევისი** შეუდარებლები იყვნენ. შედეგად, გაბრაზებულმა ფავორიტებმა საქმე კინაღამ ხელჩართულ ჩხუბამდე მიიყვანეს. ბოლო მეოთხედის შუაში ჯეიმსმა და უეიდმა ერთ შეტევაში მიიღეს ტრავმები - ერთს ფეხი დაუცდა, მეორეს კი გორდონისგან მოხვდა სახეში. საპასუხოდ უეიდი დევისს ეუხეშა, **მარიო ჩალმერსი** კი კიდევ უფრო შორს წავიდა - გრიფინთან საჩხუბრად გაინია. არავინ იცის, რით დასრულდებოდა ეს ყველაფერი, მსაჯებს „მაიამის" მცველი დროულად რომ არ მოეცილებინათ ფიზიკურად ძლიერი ახალბედა ფორვარდისთვის. ასეა თუ ისე, იმ მომენტისთვის გამარჯვებულის საკითხი აღარ იდგა დღის წესრიგში.

„კლიპერსმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და ბოლო 11 მატჩში მერვე გამარჯვებას მიაღწია. იქნებ **დელ ნეგრომ** გაიბრძოლოს და ეს გუნდიც გაიყვანოს პლეი ოფში?

■ ■ ■

ასევე არ გამართლდა პროგნოზი კალიფორნიულ დერბისთან მიმართებაში. სტუმრად „გოლდენ სტეიტთან" „ლეიკერსს" იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ძალიან დაძაბული ბრძოლა გამოვიდა. რომ არა მეოთხე მეოთხედში **ლამარ ოდომისა** და **კობი ბრაიანტის** ბრწყინვალე თამაში, ამ დღეს მეორე სენსაცია დაფიქსირდებოდა. ოდომმა და ბრაიანტმა 12 წუთში 33 ქულა ჩააგდეს. კობი უფრო შორს წავიდა და 339 წამში 17 ქულა აიღო.

„გოლდენ სტეიტი" სამმეოთხედნახევარი ლიდერობდა და ერთხელ სხვაობამ 14 ქულასაც კი მიაღწია, მაგრამ ვერც **დორელ რაიტის** ბრწყინვალე თამაშმა, ვერც **მონტა ელისის** 39 ქულამ (ამ მცველმა სეზონში მეათედ გადააბიჯა 30-ქულიან ზღვარს), ვერც **დევიდ ლისა** და **სტივენ კარის** აქტიურობამ ვერ შეაჩერა **ფილ ჯექსონის** გუნდი. ბოლოს მათ პრაქტიკულად ყველა შანსი გამოიყენეს და თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ააცილეს.

■ ■ ■

გუშინ ნააგო კიდევ ერთმა ფავორიტმა - „ორლანდომ". ეს გუნდი არც იმსახურებდა „ჰორნეტსთან" გამარჯვებას, რადგან პრინციპული ტაქტიკა აირჩია და მთელი მატჩის განმავლობაში 31 (!) სამქულიანი ისროლა. რა თქმა უნდა, „მეჯიქის" რიგებში სნაიპერები მრავლად არიან, მაგრამ, როცა შორიდან 31-ჯერ ისვრი და მხოლოდ 89 ქულას (ოვერტაიმის გათვალისწინებით) დააგროვებ, მოგებას არ იმსახურებ. „ორლანდოს" კალათბურთელებმა საერთოდ უარი თქვეს საშუალო ტყორცნაზე, ხოლო მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრების მხრიდან საჯარიმოს ხაზზე მხოლოდ ორი კალათბურთელი დადგა. სანამ მასპინძლები კალათბურთს თამაშობდნენ, სტუმრები სულ სხვა საქმით იყვნენ დაკავებული: იღებდნენ ბურთს და გაუთავებლად ისროდნენ.

და მაინც, **სტენ ვან განდის** შეგირდებს ჰქონდათ თამაშის მოგების შანსი. ბოლო წუთზე რიჩარდსონმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც **კრის პოლმა** ააცილა და მეტოქეს 15 წამით ადრე 81:78-ზე შანსი მისცა. „ჰორნეტსმა" უცნაური გადაწყვეტილები მიიღო: ჯარიმა არ აიღო **დუაიტ ჰოვარდზე**, რომელსაც ჯარიმების შესრულება მაინც და მაინც არ ეხერხება. ბოლო შეტევაში ბურთი **ჰედო თურქოგლუს** მიუვიდა და მან სამქულიანით შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით დროში სიტუაცია განმეორდა. ისევ „ნიუ ორლეანის" სამქულიანი უპირატესობა და ისევ სტუმრების შორეული ტყორცნა. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი - **რედიკის** სროლამ ფარამდეც ვერ მიაღწია. ამ მატჩით შეწყდა „ორლანდოს" 9-მატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

როგორც ჩანს, **დირკ ნოვიცკის** დაბრუნებამდე არაფერი ეშველება „დალას მავერიქსს". გერმანელის არყოფნაშიც ტეხასელები სტუმრად „ინდიანასთან" ფავორიტად მიიჩნეოდნენ. „პეისერსს" ნოემბრის შემდეგ არ მოეგო ზედიზედ ორი მატჩი და მხოლოდ ახლა შეძლო ამის გაკეთება. ძალიან დიდი როლი შეიტანა „ინდიანას" გამარჯვებაში დებიუტანტმა **პოლ ჯორჯმა**, თუმცა მასპინძლების რიგებში სხვა კალათბურელების შექებაც შეიძლება.

გრიფინმა ვარსკვლავებს მოუგო

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი. ორი თანაბარი მეოთხედის შემდეგ, სტუმრები მოდუნდნენ, „ინდიანამ" კი ისარგებლა ამით და გადამწყვეტი სპურტი მოაწყო. მისი ორგანიზატორები **ჰენსბრო** და **გრეინჯერი** იყვნენ. „დალასმა" ნოვიცკის გარეშე მერვე მატჩი ჩაატარა და მეექვსედ წააგო.

ინდიანა-დალასი 102:89

25:26, 27:26, 25:17, 25:20

ი: რაში (20), კილისონი (17+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრეინჯერი (17+5 პასი), ჯორჯი (16), დანლივი (4+11 მოხსნა).

დ: ტერი (18+5 მოხსნა), ჩენდლერი (13+9 მოხსნა+3 დაფარება), კიდი (13+7 პასი+3 ჩაჭრა), მერიონი (12+7 მოხსნა), სტევენსონი (10).

ტორონტო-ატლანტა 101:104

21:27, 34:33, 22:15, 24:29

ტ: ბარნიანი (26), ბარბოზა (26), კალდერონი (11+9 პასი).

ა: კროუფორდი (36), ჯონსონი (26), ჰორფორდი (10+13 მოხსნა).

შარლოტი-ჩიკაგო 96:91

36:22, 19:20, 14:28, 27:21

შ: ოგუსტინი (22+12 პასი), ტომასი (17+13 მოხსნა), ჯექსონი (16), უოლასი (14+7 მოხსნა), დიაო (13+5 მოხსნა+5 პასი), ბრაუნი (10+5 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (23+14 მოხსნა), დენგი (22), როუზი (17+7 პასი).

ბოსტონი-საკრამენტო 119:95

28:22, 29:27, 33:18, 29:28

ბ: პირსი (25+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), რობინსონი (16), ალენი (14), დევისი (12+5 მოხსნა), ვაფერი (12), დენიელსი (12), რონდო (10+13 პასი), სემიჰი (10+9 მოხსნა).

ს: ლენდრი (17), უდრიხი (16+5 პასი), დალემბერი (12+6 მოხსნა), ჯეტერი (10).

დეტროიტი-მემფისი 99:107

26:21, 20:22, 18:30, 35:34

დ: გორდონი (25), მაკგრეიდი (16+6 მოხსნა), სტაკი (15+7 მოხსნა+6 პასი), მონრო (14+11 მოხსნა).

მ: რენდოლფი (34+17 მოხსნა), გეი (26), გასოლი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), არტური (10).

ნიუ ორლეანი-ორლანდო 92:89 (ოტ)

17:21, 23:18, 27:22, 14:20, 11:8

ნ-ო: ტორნტონი (22+9 მოხსნა), ოკაფორი (18+14 მოხსნა), არიზა (16), უესტი (13+10 მოხსნა), პოლი (12+5 მოხსნა+13 პასი).

ო: ჰოვარდი (29+20 მოხსნა), რიჩარდსონი (21+7 მოხსნა), ანდერსონი (14+8 მოხსნა), ნელსონი (2+10 პასი).

მილუოკი-სან ანტონიო 84:91

26:21, 25:22, 15:22, 18:26

მ: სალმონსი (17), ბოგუტი (15+14 მოხსნა), ბოიკინსი (12), ილიასოვა (11+10 პასი).

ს-ა: ჯინობილი (23+7 მოხსნა), ბონერი (17), დანკანი (16+8 მოხსნა+3 დაფარება), ნილი (10+6 მოხსნა).

ფინიქსი-ოკლაჰომა 112:118

31:31, 23:21, 25:30, 33:36

ჰ: სკოლა (31+11 მოხსნა), ლი (19), ლოური (18), ბრუქსი (17+5 პასი), ბადინგერი (10).

ო: დურანტი (30+6 მოხსნა), უესტბრუკი (23+8 მოხსნა+13 პასი), გრინი (16), იბაკა (16+6 მოხსნა), კრსტიჩი (11+7 მოხსნა), სეფოლოშა (6+13 მოხსნა+3 დაფარება).

ფინიქსი-ნიუ ჯერსი 118:109 (ოტ)

28:28, 27:29, 18:27, 30:19, 15:6

ფ: ნეში (23+7 მოხსნა+16 პასი), კარტერი (23+5 მოხსნა), ფრაი (21+7 მოხსნა), დადლი (15+5 მოხსნა), ლოპესი (11).

ნ-ჯ: ვუიაჩიჩი (19+3 ჩაჭრა), ლოპესი (16+8 მოხსნა), ჰემფრიზი (16+6 მოხსნა), ჰარისი (15+15 პასი), ფარმარი (12+6 პასი).

იუტა-ნიუ იორკი 131:125

31:32, 34:25, 35:37, 31:31

ი: უილიამსი (24+7 მოხსნა+12 პასი), მაილზი (24+5 მოხსნა), ჯეფერსონი (19+6 მოხსნა+3 დაფარება), ბელი (18), მილსეპი (17+8 მოხსნა), კირილენკო (14+6 მოხსნა+7 პასი), ოქური (10).

ნ-ი: უილიამსი (25), უოკერი (23), ფელტონი (23+7 მოხსნა+11 პასი), სტაუდმაიერი (22+5 პასი), ჩენდლერი (14+5 მოხსნა).

გ. სტეიტი-ლუიზერსი 110:115

26:21, 27:24, 22:24, 35:46

გ-ს: ელისი (38), რაიტი (27+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარი (15+10 პასი), ლი (14+7 მოხსნა+7 პასი), რადმანოვიჩი (11).

ლ: ბრაიანტი (39+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), გასოლი (24+11 მოხსნა), ოდომი (20+9 მოხსნა), ბინუმი (11+14 მოხსნა), არტესტი (10+7 პასი).

კლიპერსი-მაიამი 111:105

44:26, 24:32, 18:20, 25:27

კ: გორდონი (26+5 მოხსნა+6 პასი), გრიფინი (24+14 მოხსნა+6 პასი), დევისი (20+5 მოხსნა+9 პასი), გომესი (11).

მ: უეიდი (31+7 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ჯეიმსი (27+8 მოხსნა+6 პასი), ბოში (26+13 მოხსნა), ჩელმერსი (12).

ალენი წასვლას არ აპირებს

თურქული „ბეშიქთაშის" ვეტერანი ვარსკვლავის **ალენ აივერსონის** მენეჯერი **გარი მური** უარყოფს გუშინ გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, რომ მისი კლიენტი ფეხის ტრავმის გამო კარიერის დასრულებას აპირებს.

მურმა დაადასტურა, რომ აივერსონს მართლაც სჭირდება ოპერაცია, მაგრამ ალენი თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფისთვის აპირებს მოედანზე დაბრუნებას.

„როგორც კი ალენი ოპერაციას გაიკეთებს, ზუსტად გვეცოდინება მისი გამოჯანმრთელების თარიღი. სავარაუდოდ, ჩემი კლიენტი 4-6 კვირას გამოტოვებს, მაგრამ პლეი ოფის ეტაპისთვის აპირებს კარიერის განახლებას.

გულშემატკივრებს უნდა ესმოდეთ, რომ ალენი მებრძოლია და ამ სირთულესაც გადალახავს. ეს ტრავმა ყველაზე მძიმეა მის მრავალწლიან კარიერაში", - ამბობს გარი მური.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

მოგება კროსბის გარეშეც შეიძლება

როლოსონს ვერაფერი მოუხერხეს

როგორც იქნა, პირველი მატჩი მოიგო **სიდნი კროსბის** გარეშე „პიტსბურგ პინგვინზმა". „პინგვინებმა" თავიანთი პირველი შეხვედრა კაპიტნის გარეშე სწორედ „მონრეალის" წინააღმდეგ ჩაატარეს და ბულიტების სერიაში დამარცხდნენ. ამას მოჰყვა წაგებები „მინესოტასა" და „ბოსტონთან" მატჩებში, თანაც „პიტსბურგმა" ამ სამ შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. „პინგვინზი" გუშინდელ შეხვედრასაც აგებდა. „მონრეალი" ყველანაირად ჯობნიდა მეტოქეს, მაგრამ მეორე პერიოდის მეორე ნანილიდან მოყოლებული, მასპინძლების ჰოკეისტები ზედიზედ იღებდნენ ორწუთიან ჯარიმებს, რაც „კანადიენსს" ძვირად დაუჯდა. სტუმრებმა შვიდი შემთხვევიდან ოთხჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და 5:2 გაიმარჯვეს. აღსანიშნავია **ჯორდან სტაალის** პირველი ქულები სეზონში. სამ-სამი ქულა მიითვალეს მცველებმა - **ალექს გოლიგოსკიმ** და **კრის ლეტანგმა**.

მეკარე **დუეინ როლოსონის** სახით ძალიან ძვირფასი შენაძენი გამოუვიდა „ტემპა ბეის". ვეტერანმა მეკარემ ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი მატჩი „ვაშინგტონის" წინააღმდეგ ჩაატარა და „შათაუტი" შეასრულა. ახლაც როლოსონმა ისევ დედაქალაქელებთან დაპირისპირებაში 23 დარტყმა შეასრულა, ისევ „მშრალად" შეინახა საკუთარი კარი და თავის გუნდს ძალიან პრინციპული შეხვედრა მოაგებინა. „ტამპამ" შეინარჩუნა ლიდერობა თავის დივიზიონში და ახლა ორი ქულით უსწრებს უშუალო კონკურენტ „ვაშინგტონს".

ამ სეზონში მეოთხედ ხვდებოდნენ ერთმანეთს „ჩიკაგო" და „კოლორადო". წინა სამი მატჩი „ზავებმა" მოიგეს, მაგრამ ახლა „ბლეკჰოქსმა" შეძლო დამაჯერებელი რევანშის აღება - სტენლის თასის მფლობელმა ოთხი უპასუხო შაიბა გაუტანა „კოლორადოს". განსაკუთრებით აღსანიშნავია მეკარე **კორი კროუფორდის** თამაში, რომელმაც 24 დარტყმა მოიგერია. „ჩიკაგოს" 26 წლის მეკარემ ზედიზედ მეორე „შათაუტი" შეასრულა, ხოლო მისი „მშრალი" სერია 126 წუთსა და 25 წამს გრძელდება.

სნორედ კორი კროუფორდი და დუეინ როლოსონი გახდნენ გუშინდელი სათამაშო დღის მეორე და მესამე ვარსკვლავები, პირველობა კი „ანაჰაიმის" ფორვარდ **ბობი რაიანს** ერგო, რომელმაც „სენტ ლუისთან" მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. „დაქსმა" და „ბლუზმა" ერთად 11 გოლი გაიტანეს. აქედან შვიდი შაიბა „ბლუზმენთა" კარში შევარდა. რაიანის გარდა, აღსანიშნავია **ლუბომირ ვიშნევსკისა** (1+2) და ფინელი ვეტერანის **ტეემუ სელიანეს** (0+2) შედეგიანი თამაში.

მონრეალი-პიტსბურგი 2:5

1:1: 1:2, 0:2

გოლები: 0:1 გოლიგოსკი-8 (კუნიტცი-16, ლეტესტუ-10), 1:1 პლეკანეცი-13 (დერრი-9, პუიო-11), 2:1 დეშერნე-1 (სუბანი-11, პიატი-3), 2:2 ტაილერ კენედი-7 (ლეტანგი-31, ჯ. სტაალი-1), 2:3 ჯ. სტაალი-1, 2:4 გოლიგოსკი-9 (ჯ. სტაალი-2, ლეტანგი-32), 2:5 კუნიტცი-14 (ლეტანგი-33, გოლიგოსკი-17).

ტამპა ბეი-ვაშინგტონი 3:0

2:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 მური-8 (ტომპსონი-10, როლოსონი-1), 2:0 ბერგენჰაიმი-8 (ჰედმანი-13, დაუნი-14), 3:0 საიმონ განიე-4 (ბერგენჰაიმი-10, ლეკავალიე-12).

ჩიკაგო-კოლორადო 4:0

2:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ბროუერი-11 (კეიტი-22, ბ. კეინი-21), 2:0 ბოლანდი-7 (პიზანი-6, სიბრუკი-21), 3:0 პიზანი-7 (ბოლანდი-11), 4:0 სკილი-7 (სიბრუკი-22).

ანაჰაიმი-სენტ ლუისი 7:4

3:0, 0:2, 4:2

გოლები: 1:0 რაიანი-19 (ლუპული-5, ვიშნოვსკი-27), 2:0 ჯეისონ ბლეიკი-9 (ს. კოიფუ-13, სელიანე-26), 3:0 რაიანი-20 (პერი-25, ვიშნოვსკი-28), 3:1 ბეკსი-13 (სობოტკა-14, პიეტრანჯელო-14), 3:2 ბეკსი-14 (სობოტკა-15, ე. ჯონსონი-11), 4:2 რაიანი-21 (ლილია-4, ფაულერი-19), 5:2 პერი-22 (ბელეკსი-5, რაიანი-14), 6:2 ვიშნოვსკი-8 (ფაულერი-20, სელიანე-27), 7:2 მაკმილანი-4 (სატონი-3, მარჩანტი-5), 7:3 რიესი-1 (დ'აგოსტინი-12), 7:4 ბოიესი-10 (დ'აგოსტინი-13, სტინი-16).

დომინაჭორი ნაკრებში ბრუნდება

დომინიკ ჰაშეკი

ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა**, რომელიც ამჟამად მოსკოვის „სპარტაკში" აგრძელებს კარიერას, ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების მზადყოფნა გამოთქვა. ამ კვირის დასაწყისში ჩეხების დამრიგებელმა **ალოიზ გადამჩიკმა** ჰაშეკის კარგ სპორტულ ფორმას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ევროტურის მეოთხე ეტაპზე აპირებს ვეტერანი მეკარის ნაკრებში მიწვევას.

ჰაშეკმა აღიარა, რომ ძალიან გაუხარდა გადამჩიკის სიტყვები. მისი თქმით, თუ მთავარი მწვრთნელისგან „ნამდვილი შეთავაზება" იქნება, ის უყოყმანოდ დათანხმდება „ჩეხეთის თამაშებში" (ასე ეწოდება ევროტურის მეოთხე ეტაპს) მონაწილეობას.

„ჩეხეთის თამაშები" 21-24 აპრილს გაიმართება და ის მზადების ერთ-ერთი ბოლო ეტაპი იქნება სლოვაკეთში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ევროტურის მესამე ეტაპი შვედეთში 10-13 თებერვალს ჩატარდება.

ჰაშეკი, რომელიც 29 იანვარს 46 წლის გახდება, ბოლოს ჩეხეთის ნაკრებში 2006 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ირიცხებოდა. ამ მეკარის პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირი 1983 წლით თარიღდება.

ფორმულა 1

რომის გრან-პრი არ იქნება

იტალიურ გაზეთ La Repubblica-ს ჟურნალისტებმა შეიტყვეს წერილის შესახებ, რომელიც ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ეკლსტოუნმა** რომის მერს **ჯანი ალემანოს** მისწერა. მასში ბერნი უარს ამბობს რომის გრან-პრის ჩატარების იდეაზე. ბრიტანელი იტყობინება, რომ ერთ ქვეყანაში საკმარისია ერთი ეტაპის ჩატარება და ფორმულა 1 ახალი ქვეყნების მოზიდვის ხარჯზე უნდა გაფართოვდეს.

ოფიციალურად ამ საკითხის შესახებ 21 იანვარს შევიტყობთ. სწორედ ამ დღეს აქვთ რომის გრან-პრის ორგანიზატორებს დანიშნული პრესკონფერენცია.

■ ■ ■

ამასობაში, გარკვეული პრობლემები შეექმნა რუსეთის გრან-პრისაც. სოჭში სადებიუტო ეტაპი 2014 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჟილბერ ფელიმ** განაცხადა, რომ სოკ-მა, შესაძლოა, ერთი წლით გადადოს რბოლის ჩატარება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტს, რომ ფორმულა 1-ის ეტაპი ხელს უშლის სოჭის ზამთრის თამაშების ორგანიზებას.

„ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ სიტუაცია. კარგია, რომ სოჭში გაიმართება ფორმულა 1-ის გრან-პრი და ზამთრის ოლიმპიური თამაშები. მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ გრან-პრის ინფრასტრუქტურის მოწყობამ ხელი შეუშალოს თამაშებისთვის მზადებას და რისკის ქვეშ დააყენოს ოლიმპიადის გამართვა.

კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც ოლიმპიურ კომიტეტს უფლება აქვს გადაიტანოს რბოლა 2015 წელს", - ამბობს ფელი „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ცხელი ხაზი

ერაყნული ბენდერიტელები

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ძონია-ლოკომოტივი (მ)	1:1
ბაზელი-როდა	2:1
პსვ ეინდჰოვენი-ანდერლეხტი	0:0

აზიის თასი

ირდანია-ს. არაბეთი	1:0
სირია-იაპონია	1:2

იბალიის თასი

1/8 ფინალი

იუვენტუსი-კატანია	2:0

ესპანეთის თასი

1/4 ფინალი. I მატჩები

ალმერია-დეპორტივო	1:0
რეალი-ატლეტიკო	3:1

თურქეთის თასი

მალათია-ფენერბაჰჩე	2:1

კალათბურთი

შეერთებული შტატები

კახასოლი-რეალი	75:89
ესტუდიანტესი-მანრესა	67:77
ვალენსია-გრან კანარია	81:77

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

კაცები

შვედეთი-ჩილე	28:18

პოკერი

კელ

ამური-ბარისი	5:3
მეტალურგი (ნ)-იუგრა	0:2
სიბირი-ავანგარდი	2:3 (ო)
მეტალურგი (მ)-ტორპედო	2:1
ს. იულიაევი-ლოკომოტივი	7:6
ტრაქტორი-ატლანტი	2:3 (ბ)
აკ ბარსი-ავტომობილისტი	1:2

ნორვეგია

რუსენბორგი-სტავანგერი	1:2 (ბ)
ვოლერენგა-ლილეჰამერი	2:3 (ბ)
ფრისკ ასკერი-სტიორნენი	6:0
სპარტა-ლორენსკოგი	5:4
გლუზი-იუვიასკიულა	1:2
იოკერიტი-საიპა	5:2
ლუკო-ჰიფკ	2:3
პელიკანსი-კალპა	0:3
ტაპარა-კერპეტი	3:4 (ო)
ჰპკ-ილვესი	2:1 (ბ)
ესეტი-ტპს	6:2

ჩეხეთი

სპარტა-პარდუბიცე	2:0

შვედეთი

მოდო-ბრიუნასი	6:1
ტიმრა-სიოდერტალე	2:3
შელეფტეო-ფრიოლუნდა	5:4 (ო)
იურგორდენი-ლინეჩოპინგი	1:0

ჩოგბურთი

ATP. ოკლენდი

მანარინო-ალმაგრო	6:7. 7:6, 2:6
ნალბანდიანი-ისნერი	6:4, 7:6
ხირალდო-ბელუჩი	6:2, 6:4

ATP. სიდნეი

დოლგოპოლოვი-სიმონი	4:6, 3:6
გულბისი-სტახოვსკი	6:4, 6:4
გასკე-ტროიცკი	4:6, 4:6
ფ. მაიერი-სტარაჩე	6:4, 6:1

WTA. სიდნეი

ნა ლი-იოვანოვსკი	7:6, 6:3
კლეიბანოვა-კლაისტერსი	6:4, 3:6, 6:7

WTA. პოგარგი

ერანი-მოლიკი	6:1, 6:0
მორიტა-მატეკი	3:6, 1:6
გოვორცოვა-პენგი	6:2, 4:6, 0:6
ბრიანტი-ზაკოპალოვა	6:1, 4:6, 2:6
ერანი-პენგი	1:6, 3:6
ვინჩი-გროტი	1:6, 2:6
კერბერი-კუდრიავცევა	6:3, 6:4
ვინჩი-ბალტაჩა	6:3, 6:4
ბარტოლი-ვესინა	6:4, 6:1
კერბერი-მატეკი	4:6, 4:6
ბარტოლი-ზაკოპალოვა	4:6, 2:6

TV პროგრამა

14 იანვარი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

23:25 გერმანია. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

13:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
16:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. გუნდური პირველობა (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

19:55 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ისლანდია-უნგრეთი. შვედეთი (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-დეტროიტი (LIVE).

HTB-პლუსი (კლასიკა)

20:55 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ტუნისი. შვედეთი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ჩიკაგო (LIVE).

SPORT+

23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი (LIVE).
03:30 ცურვა. აშშ-ის გრან-პრი (LIVE).

EUROSPORT

12:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
19:00 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. საპორო. იაპონია (LIVE).
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ს. კორეა. კატარი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ბაჰრეინი-ინდოეთი. კატარი (LIVE).
23:00 სნუკერი. მასტერსი. /4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

17:40 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).

ოლიმპიზმი

განა ოლიმპიური ოჯახიდან გარიცხეს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი რიგებიდან გარიცხა განას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ასეთი გადაწყვეტილება გუშინ ლოზანაში, სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღეს.

განა ქვეყნის მთავრობის მიერ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში ჩარევისთვის დაისაჯა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რამდენიმე თვე ანარმოებდა მოლაპარაკებებს განას მთავრობასთან, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

ასე რომ, განას ოლიმპიური ნაკრები ვერ გამოვა 2012 წელს ლონდონის ზაფხულის თამაშებზე. იქაურ სპორტსმენებს აგრეთვე აეკრძალათ ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა, ხოლო ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი სოკ-სგან სპონსორულ მხარდაჭერას არ მიიღებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი







THE HEATLES

ლებრონ ჯეიმსი ჯონ ლენონია, დუეინ უეიდი - პოლ მაკარტნი, კრის ბოში - რინგო სტარი

ამ ცოტა ხნის წინ, "მაიამი ჰიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ლებრონ ჯეისმა** გაზეთ Miami Herald-ს ინტერვიუ მისცა, სადაც საკუთარ თავს, **დუეინ უეიდსა** და **კრის ბოშს** საკალათბურთო "ბითლზი" უწოდა. *"თუ გნებავთ The Heatles ("მაიამი ჰიტის" სახელწოდებიდან გამომდინარე) დაგვიძახეთ"*, - თქვა ლებრონმა. ეს ფრაზა მაშინვე აიტაცეს ამერიკულმა ვებგვერდებმა და ლეგენდარული ლივერპულული ოთხეულის ალბომების გარეკანები ფოტოშოფში დაამუშავეს...

● ჩოგბურთი

კიმი ფინალშია

ამ კვირას ჩოგბურთელები ასრულებენ მზადებას ავსტრალიის ღია პირველობისთვის, რომელიც ორშაბათს "მელბურნ-პარკზე" აიღებს სტარტს. ბევრმა წამყვანმა ჩოგბურთელმა შეიკავა თავი ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობაზე და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატისთვის.

თუმცა ქალებს შორის რამდენიმე გამონაკლისი იყო. WTA-ის ტოპ-ათეულის რამდენიმე წევრმა მოიყარა თავი სიდნეიში და მათგან ყველაზე კარგად ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** გამოვიდა. მხოლოდ მან შეძლო სიდნეის ტურნირის ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლა, თანაც ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა. მეოთხედფინალში აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა გაანადგურა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**, თუმცა გუშინ, ნახევარფინალში გაუჭირდა რუსი **ალისა კლეიბანოვას** ძლევა.

აქამდე ეს ჩოგბურთელები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს - შარშან ინდიან უელსში სამ სეტში გამარჯვება რუსმა ჩოგბურთელმა მოიპოვა. ამჯერადაც გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო და კიმმა რევანშის აღება მოახერხა.

სასტარტო სეტში კლეიბანოვა უკეთ გამოიყურებოდა და მის ძალისმიერ ჩოგბურთს კლაისტერსმა ვერაფერი მოუხერხა - 4:6. მეორე პარტიაში რუსს მცირე ჩავარდნა ჰქონდა და ამით ბელგიელმა კარგად ისარგებლა - 6:3. და მაინც, ფინალში გასვლის უფრო კარგი შანსი კლეიბანოვას ჰქონდა - გადამწყვეტი სეტის შუამდე ის ბრეიკით იგებდა, თუმცა რაღაც მომენტში კონცენტრაცია დაკარგა და მეტოქეს ინიციატივა გადააბარა. საბოლოოდ, ჩოგბურთელებს ტაი-ბრეიკის თამაშმა მოუნიათ, სადაც პირველი ქულა კლეიბანოვამ აიღო, მაგრამ შემდეგ შვიდი ქულა დააგროვა კლაისტერსმა და შემოკლებული გეიმი 7:1 მოიგო. ფინალში ბელგიელი ჩინელ **ნა ლის** შეხვდება, რომელმაც მეორე ნახევარფინალში სერბი **იოვანოვსკი** დაამარცხა.

შარაპოვა პოზიორობს

რუსი **მარია შარაპოვა** ამ კვირას თავისუფალი იყო ტურნირებისგან. მელბურნში რუსი ჩოგბურთელის მიმართ დიდი ყურადღებაა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების მხრიდან, მარიამაც გაახარა ისინი და ავსტრალიის ღია პირველობისთვის განკუთვნილი კაბის საჯარო პრეზენტაცია მოაწყო. ამის შემდეგ შარაპოვამ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. პრესას, პირველ რიგში, "ნიუ ჯერსის" კალათბურთელ **საშა ვუიაჩიჩთან** ქორწილის თარიღი აინტერესებდა, რაზეც შარაპოვამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ქორწილი არ არის დაგეგმილი.

მარიამ აგრეთვე თავისი ჯანმრთელობის შესახებ ისაუბრა: *"როგორ არის ჩემი მხარი? ყველაფერი კარგადაა. შესანიშნავად ვგრძნობ თავს"*.

განთესვა ავსტრალიურად

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გუშინ განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს. პირველი ნომრები ATP-სა და WTA-ის რეიტინგების ლიდერებმა - ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და დანიელმა **კაროლინ ვოზნიაკიმ** მიიღეს.

განთესილი ჩოგბურთელების სრული სია ასე გამოიყურება:

კაცები

1. **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი). 2. **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია). 3. **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი). 4. **რობინ სიოდერლინგი** (შვედეთი). 5. **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი). 6. **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი). 7. **დავიდ ფერერი** (ესპანეთი). 8. **ენდი როდიკი** (აშშ). 9. **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი). 10. **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი). 11. **იურგენ მელცერი** (ავსტრია). 12. **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი). 13. **ჟოვილფრიდ ცონგა** (საფრანგეთი). 14. **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი). 15. **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია). 16. **მარდი ფიში** (აშშ). 17. **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია). 18. **სემ კუერი** (აშშ). 19. **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია). 20. **ჯონ ისნერი** (აშშ). 21. **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი). 22. **მიკაელ ლოდრა** (საფრანგეთი). 23. **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი). 24. **ერნესტ გულბისი** (ლატვია). 25. **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი). 26. **ხუან მონაკო** (არგენტინა). 27. **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა). 28. **რიშარ გასკე** (საფრანგეთი). 29. **ვიქტორ ტროიცკი** (სერბეთი). 30. **ტომაშ ბელუჩი** (ბრაზილია). 31. **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი). 32. **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი).

ქალები

1. **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია). 2. **ვერა ზვონარევა** (რუსეთი). 3. **კიმ კლაისტერსი** (ბელგია). 4. **ვენუს უილიამსი** (აშშ). 5. **სამანტა სტოსური** (ავსტრალია). 6. **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია). 7. **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი). 8. **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი). 9. **ნა ლი** (ჩინეთი). 10. **შაარ პეერი** (ისრაელი). 11. **ჟუსტინ ანენი** (ბელგია). 12. **აგნიეშკა რადვანსკა** (პოლონეთი). 13. **ნადეჟდა პეტროვა** (რუსეთი). 14. **მარია შარაპოვა** (რუსეთი). 15. **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი). 16. **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი). 17. **არავან რეზაი** (საფრანგეთი). 18. **მარია კირილენკო** (რუსეთი). 19. **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი). 20. **კაია კანეპი** (ესტონეთი). 21. **იანინა ვიკმაიერი** (ბელგია). 22. **ფლავია პენეტა** (იტალია). 23. **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი). 24. **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი). 25. **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი). 26. **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი** (ესპანეთი). 27. **ადექსანდრა დულგერუ** (რუმინეთი). 28. **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი). 29. **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი). 30. **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია). 31. **ლუსი საფაროვა** (ჩეხეთი). 32. **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი).

ავსტრალიის ღია პირველობის წილისყრა გვიან ღამით, თბილისის დროით 3 საათზე უნდა დაწყებულიყო.

● ფორმულა 1



რენოს ახალი ფერები

ბირმინგემში გამართულ სარბოლო გამოფენაზე ფორმულა 1-ის გუნდმა - "ლოტუს-რენომ" თავისი ბოლიდის ახალი ფერები წარმოადგინა, რომელსაც 2011 წელს გამოიყენებენ. შავი და ოქროსფერი შეხამებულია 70-80-იანი წლების "ლოტუსის" ფერებთან და კარგად გამოხატავს "ლოტუსისა" და "რენოს" ახალ ალიანსს.

ამ გუნდის ახალი მანქანის - R31-ის დებიუტი 31 იანვარს ვალენსიაში შედგება, ამიტომაც ბირმინგემის გამოფენაზე ახალ ფერებში შარშანდელი ბოლიდია შეღებილი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა